

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

ელენე კურდელია

ხანგრძლივი განსახლების (გრძელვადიანი გადაწყვეტის)
პროგრამის გავლენა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ
მოსახლეობაზე თბილისისა და ფოთის მაგალითებზე

სამაგისტრო პროგრამა - საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა,
საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

იძულებით გადაადგილებული პირები ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლად ჯგუფ წარმოადგენენ, რომელთა დიდი ნაწილი უკვე 26 წელია ქვეყანაში წარმოქმნილი სეპარატისტული კონფლიქტების შედეგად დევნილობაში ცხოვრობს. იძულებით გადაადგილების ხანგრძლივობასთან ერთად, დევნილთა ადგილობრივი ინტეგრაციისა და განსახლების აუცილებლობაც გაიზარდა.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი - „გრძელვადიანი განსახლების პროგრამის გავლენა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობაზე(ფოთისა და თბილისის მაგალითებზე)“ მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულება ადგილობრივი ინტეგრაციისა და ხანგრძლივი განსახლებისადი დამოკიდებულების განსაზღვრას. მიზნის მისაღწევად შერულდა ამოცანები : ინტეგრაციასთან და დევნილთა განსახლების ხანგრძლივ გადაწყვეტასთან დაკავშირებული ტერმინებისა და თეორიული მასალების გაცნობა. შესწავლილ იქნა ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან უშლიან დევნილთა ადგილობრივ ინტეგრაციას, ასევე განხილულ იქნა იძულებით გადაადგილებულ პირებთან და მათ განსახლებასთან დაკავშირებით შემუშავებული ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა. განხილულ იქნა დევნილთა გრძელვადიან განსახლებასთან და ინტეგრაციის სხვა ხელშემწყობი პროგრამების მოქმედების დაფინანსება შესაბამისი სტატისტიკური მასალით. ჩატარდა ინტერვიუები ექსპერტებთან, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები თბილისისა და ფოთის დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში.

თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფები იყვნენ თბილისსა და ფოთში კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილები.

ნაშრომის ძირითადი მიგნებაა -გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მუშაობა ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური ნების გამოხატვაცაა, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირებში გრძელვადიანი განსახლება-ადგილობრივი ინტეგრაცია დაბრუნების იდეის გაქრობის შიშს იწვევს.

Annotation

Internally displaced people are one of the most vulnerable groups of the country, many of them have been living in exile for the past 25 years, as a result of separatist conflicts. Along with the duration of internally displacement, the necessity of local integration and resettlement (durable solution) of IDPs has increased.

This master thesis „The impact of long-term resettlement (durable solution) program on compactly settled IDPs in Poti and Tbilisi” by Elene Kurdgelia (E. Kurdgelia) – aims to reveal the impact of durable solution on IDP’s and to identify the attitude of internally displaced people on local integration and long-term resettlement.

In order to achieve goal these tasks were accomplished: introducing the terms related to long – term resettlement and integration of IDPs. Has been studied the factors , which are promote or disrupt local integration of IDPs, also has been studied local and international legislation connected with IDPs and their resettlement. The paper deals about financing of integration programs, including long-term resettlement programs and provides relevant statistical material. In order to achieve goal , were conducted interviews with experts. Within the qualitative research, were held interviews with compactly settled IDPs in Poti and Tbilisi. The target groups of the qualitative research were compactly settled IDPs in Poti and Tbilisi.

The main finding of this thesis is – the durable solution program is based on economic issues and also depends on political will, while long – term resettlement – local integration causes fear of disappearance the idea of return among internal displaced people.

სარჩევი

| | |
|--|-------------|
| ანოტაცია ----- | 1 |
| Anotation ----- | 2 |
| შესავალი ----- | 5 |
| ლიტერატურისა და ცნებების მიმოხილვა----- | 9 |
| ინტეგრაცია -იძულებითი არჩევანი თუ აუცილებლობა? ----- | 13 |
| ინტეგრაციის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები----- | |
| -----17 | |
| ადგილობრივი ინტეგრაციის -გრძელვადიანი განსახლების სამართლებრივი საფუძვლები ----- | 27 |
| გრძელვადიანი განსახლების პროგრამის სამოქმედო გეგმაში | |
| გათვალისწინებული კრიტერიუმები----- | 33 |
| გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მიმართულებები და მათი | |
| დაფინანსება----- | 39 |
| ----- | |
| -----53 | |
| ადგილობრივი უწყებების მონიტორინგი----- | 58 |
| გრძელვადიანი განსახლების საკითხებისადმი დევნილთა | |
| დამოკიდებულების კვლევა----- | 62 |
| • ----- | 62 |
| • ----- | 65 ----- 65 |
| • <i>ობა</i> ----- | 68 |
| • <i>ადგილობრივი --71 -----76 -80დასკვნა</i> ----- | |
| ----- | 85 |
| • <i>გამოყენებული ლიტერატურა</i> ----- | 90 |

- *သင်္ဘော*-----93

შესავალი

დევნილები ნებისმიერ ქვეყანაში წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და გარიყულ ჯგუფს, რომელთა ინტეგრაცია საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესია, მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა და ნორმალური საცხოვრებელი გარემოს შექმნა, სახელმწიფოსთვის უმთავრესი გამოწვევაა. ცხადია, ეს განსაკუთრებით დიდ პრობლემას არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნისათვის წარმოადგენს. სწორედ ასეთ ქვეყანას წარმოადგენს საქართველო. წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში მოქმედი გრძელვადიანი განსახლების პროგრამის არსის შესწავლა და მისი იძულებით გადაადგილებულ პირებზე გავლენის ანალიზი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩენილ საქართველოში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული სამხედრო კონფლიქტებით, რომლებიც განვითარდა ე.წ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აღნიშნული კონფლიქტების შედეგად საქართველოს ოფიციალური მონაცემებით 227 896 იძულებით გადაადგილებული, ანუ - თავისსავე ქვეყანაში დევნილი პირი ჰყავს. ეს იყო საქართველოს ისტორიაში შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად წარმოქმნილი დევნილთა პირველი ტალღა, რისთვისაც სახელმწიფო სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ტალღა კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად გაჩნდა, მათი რაოდენობა 24 882 ადამიანია. დევნილთა უდიდესი ნაწილი (80 %) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებული პირია, რომლებიც თითქმის 26 წელია დევნილობაში, საკუთარი სახლიდან შორს ცხოვრობენ.

დევნილების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნების მთავარ პირობას მათი სრულყოფილი ინტეგრაცია და პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა წარმოადგენს. საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, დევნილები ზუსტად ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, რითაც - სხვა ადამიანები საკუთარ ქვეყანაში.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება გაეროს მიხედვით სამ თანაბარი მნიშვნელობის მოცემულობას გულისხმობს : (1) დაბრუნებას დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას, (2) ადგილობრივ ინტეგრაციას და (3) განსახლებას სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად სხვა ტერიტორიაზე. გრძელვადიანი განსახლების ყველა ფორმა გულისხმობს ინტეგრაციის აუცილებლობას და ხელს უწყობს მას. მიუხედავად იმისა, რომ თავად ადგილობრივი ინტეგრაცია ითვლება დაბრუნების საპირისპირო ცნებად, დევნილთათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა არ შეიძლება ითვლებოდეს ცუდ ტონად. ინტეგრაციას ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური, სამუშაო, სამართლებრივი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, თუმცა ის ვერ ცვლის დაბრუნებას. იძულებით გადაადგილება სრულდება მხოლოდ დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებით.

საქართველოს შემთხვევაში , გრძელვადიანი განსახლების სამი მოცემულობიდან მხოლოდ ბოლო ორის განხორციელება ხერხდება, თუმცა საკმაოდ მწირი დაფინანსებით. ამჟამად გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია დევნილი ოჯახების 42%, დაახლოებით 52 ათასი დევნილი ოჯახი კი ჯერაც ელოდება თავის რიგს. სამინისტროს ინფორმაციით, ამ ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი საცხოვრებლად გამოუსადეგარ, ავარიულ ბინებში ცხოვრობს.

გრძელვადიან განსახლებას საერთაშორისო სამართალთან ერთად ადგილობრივი კანონმდებლობაც არეგულირებს, თუმცა 2007 წლამდე სახელმწიფოს დევნილების გრძელვადიან განსახლებასთან დაკავშირებით არ ჰქონია რაიმე ტიპის რეალური სტრატეგია. ხოლო 2007 წელს შემუშავებულ იქნა პროგრამა დევნილთა განსახლების პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ. პროგრამის ამუშავებას მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად ხელი შეუშალა სამოქმედო გეგმის არარსებობამაც, რომელიც საბოლოოდ 2013 წელს იქნა შემუშავებული. შედეგად დაიწყო პროგრამა , რომელიც ახლა რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. გრძელვადიანი განსახლების პროგრამა ერთგვარად ინტეგრაციის პროგრამასაც წარმოადგენს.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარე. მისი გავლენა აფხაზეთიდან დევნილ, თბილისისა და ფოთის კოლექტიურ დასახლებებში მცხოვრებ დევნილებზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს დევნილთა ადგილობრივ გარემოსთან ინტეგრაციის ხარისხი და ამ მიზნით შექმნილი პროგრამების ბენეფიციარებზე გავლენა. ასევე მათი დამოკიდებულება ამ პროგრამის ცალკეული მიმართულების მიმართ. ნაშრომის მიზანია გაარკვიოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დევნილების ჩართულობის დონე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემუშავებულ იქნა რამდენიმე ამოცანა: 1. გავეცანი საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და დასკვნებს. 2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის და მათი ადგილობრივ გარემოსთან ადაპტაციის შესახებ თეორიულ და კვლევით მასალებს. 3. გავეცანი დევნილებთან მიმართებით

შემუშავებულ ეროვნულ და სამართლებრივ დოკუმენტებს, 4. ჩავატარე სიღრმისეული კვლევა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების რამდენიმე კატეგორიასთან თბილისსა და ფოთში, ასევე ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.

კვლევის საგანია თბილისსა და ფოთში კოლექტიურ დასახლებაში მცხოვრები დევნილების მაგალითზე ხანგრძლივი განსახლების პროგრამის გავლენის, მუშაობის ასევე ამ ადამიანების ინტეგრაციის ხარისხის შესწავლა. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული ადამიანები აფხაზეთიდან, რომლებიც ცხოვრობენ თბილისისა და ფოთის კომპაქტურ დასახლებებში. კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი.

ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მასალები ეფუძნება დევნილთა სამინისტროს ელექტრონულად ხელმისაწვდომ , ასევე საჯარო ინფორმაციის ფარგლებში გამოთხოვილ და მოწოდებულ მასალას, რომელიც ძირითადად ეხება დევნილთა განსახლების და სხვადასხვა ტიპის შემწეობის შესახებ ფინანსურ საკითხებს, გარდა ამისა სტატისტიკური მასალა ეყრდნობა ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ს ინფორმაციას.

ნაშრომი ასევე ეფუძნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევას, რომელიც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდოლოგიით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა საჭიროებებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა საკმაოდ ხშირად ხდება, ხოლო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს გრძელვადიან

განსახლებასა და ადგილობრივი ინტეგრაციის მიმართ დევნილთა დამოკიდებულების გარკვევა.

მოცემული ნაშრომი დაეხმარება დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხებით დაინტერესებულ პირებს, მათ შორის იმ ადამიანებს, რომელთაც აინტერესებთ გრძელვადიანი განსახლებისა და ადგილობრივი ინტეგრაციისადმი დევნილთა დამოკიდებულება. ასევე ნაშრომი გაზრდის ინფორმირებულობის დონეს, იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული უმნიშვნელოვანესი და მოქმედი გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მიმართ.

ლიტერატურისა და ცნებების მიმოხილვა

თ განსახლების პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის სამი განსხვავებული შესაძლებლობა არსებობს, (UNHCR, 2011, p. 28) ესენია :

1. ნებაყოფლობითი რეპატრაცია, როდესაც იძულებით გადაადგილებული პირები უბრუნდებიან საკუთარ სახლს, თავიანთი უსაფრთხოების და ღირსების შენარჩუნების გარანტიით.

2. ადგილობრივი ინტეგრაცია , რომლის დროსაც იძულებით გადაადგილებული პირები ახდენენ ინტეგრაციას მათი დროებითი განსახლების ადგილზე. საუბარია კანონიერ, ეკონომიკურ და სოციალურ სრულ ინტეგრაციაზე. რის შემდეგაც ისინი სარგებლობენ სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით.

3. განსახლება - განსახლება სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ქვეყნის სხვა ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ განსახლების სხვადასხვა ფორმაში თავისუფალი არჩევანის არსებობა იგულისხმება, ეს თავისუფალი არჩევანი ხშირად სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ხერხდება, განსაკუთრებით ეს

ეხება განსახლების პირველ ფორმას. ინტეგრაციის აუცილებლობას კი გულისხმობს სამივე ზემოთაღნიშნული მიმართულება და ის წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირების ადგილობრივ ადგილობრივ გარემოსთან ინტეგრაციის შესაძლებლობას. ინტეგრაციის აღნიშნულ პროცესზე საუბრისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე.

ყველაზე ხშირად სოციალური ინტეგრაცია განისაზღვრება , როგორც განსხვავებული ჯგუფების ერთ მთლიანობად გაერთიანების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ისეთ სისტემაში, სადაც განსხვავებული ელემენტები იმყოფებიან. ხოლო ინტეგრაცია ემყარება მათი თანაარსებობის სურვილს და დამოკიდებულია მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამერიკელი სოციოლოგი პარსონსი მიიჩნევდა, რომ სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების და შენარჩუნების პროცესი და აქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არის სოციალური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი პირობა(Parsons, 1951, p. 157). პარსონსი, მიიჩნევდა , ინტეგრაცია წარმოადგენს სოციალური სისტემის ფუნქციონალურ იმპერატორს და ფუნდამენტურ შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წევრების სოლიდარობას და ერთმანეთის მიმართ ერთგულებას სისტემაში, (Parsons, 1951, p. 64)ის მიიჩნევდა რომ საზოგადოებაში ინტეგრაციის სხვადასხვა დონე არსებობს, თუმცა აქვე მიუთითებდა, რომ სოციალური წესრიგი მოითხოვს ნათელ და მკაფიო ინტეგრაციას, რათა დამყარდეს სოციალური ჰარმონია და კოორდინაცია. მისი მოსაზრებით ინტეგრაცია სოციალიზაციის ორგანული ნაწილია, რომლის უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს ის კულტურა, რაც აქვს ადამიანს დაბადებიდან და გულისხმობს მის ღირებულებებს და რომელიც მას გამოარჩევს „სხვა ჯგუფებისგან“ მათთან ურთიერთობის პროცესში, მაგრამ ინტეგრაციის

პროცესში სხვადასხვა გჯუფებს შეუძლიათ გაითვალისწინონ საჭიროება იმისა, რომ იყვნენ სისტემის ნაწილი. (Parsons, 1951, p. 333) ხოლო მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ამერიკელი მეცნიერი ჩარლზ კული ინტეგრაციას განიხილავდა სოციალური ცნობიერებისა და თვითონ საზოგადოების ერთობის კონტექსტში. მისი აზრით „სოციალური ცნობიერების ერთიანობა“ არის არა მსგავსება არამედ სისტემაში ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება და ამ ურთიერთდამოკიდებულების მიზეზები. (Cooley, 1910, p. chapter 2) იგივე მოსაზრებას იზიარებდა ბრიტანელი სოციოლოგი გიდენსი და მიიჩნევდა, რომ ინტეგრაცია არ არის ერთგვაროვნების და კონსესუსის სინონიმი. ის განასხვავებდა ინტეგრაციის სოციალურ და სისტემურ ნაწილებს და მიიჩნევდა, რომ სოციალური ინტეგრაცია არის სუბიექტებს შორის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პიროვნული დონე, რაც შეიძლება გულისხმობდეს დროებით თანამშრომლობას, ხოლო სისტემური ინტეგრაცია ეს არის ჯგუფებისა და კოლექტივების ინტერაქცია, რაც მთლიანად საზოგადოების სისტემურ ხასიათს ქმნის. (Anthony Giddens, 1984) მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უნივერსალური ინტეგრაციის არცერთი ფორმა არ არის, ვინაიდან ინტეგრაცია იმ უამრავი ელემენტის გათვალისწინებას გულისხმობს, რომელიც ფუნქციონირებს ნებისმიერ სოციუმში, შესაბამისად სოციალურ ინტეგრაციას განიხილავენ როგორც პროცესების ერთობლიობას, რომლის საფუძველზეც ხდება ერთიანი სისტემის ფორმირება და მისი სტაბილურობისა და წონასწორობის შენარჩუნება.

ფართო თვალსაზრისით სოციალური ინტეგრაცია დინამიური და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც საზოგადოების ყველა წევრი უნდა მონაწილეობდეს, თუმცა ის არანაირად არ ნიშნავს იძულებით ასიმილაციას. ეს არის პროცესი, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხო და სტაბილური

მდგომარეობის შექმნაზე. შესაბამისად ის ეწინააღმდეგება სოციალურ ფრაგმენტაციასა და პოლარიზაციას. (Cooley, 1910, p. chapter 2) ინტეგრაციის რამდენიმე მიმართულება არსებობს, მაგრამ მათ შორის სოციალური ინტეგრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს განსხვავებული სოციალური ჯგუფების ინტეგრაციაზე, რომელთა შორისაა სხვადასხვა საზის იმიგრანტები, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები.

სოციალური ინტეგრაციის მაჩვენებელია სოციალური ქსელის არსებობა, რომელშიც იგულისხმება ნაცნობების წრე, რომელსაც მიგრანტები მათი ახალი განსახლების არეალში იძენენ, მიიჩნევა რომ ეს ფაქტორი ყველაზე მეტად უწყობს ხელს ინტეგრაციის პროცესს, ისევე როგორც ინტეგრაციის პროცესს ხელს უწყობს შერეული ქორწინებები ცალკეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის. ინტეგრაციის ხელშემწყობს ფაქტორად სახელდება ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობის სფეროებში მაქსიმალური ჩართვა და ეკონომიკური სტაბილურობა, (Cooley, 1910, p. chapter 2) ასევე შესაბამისი საცხოვრებელი პირობები. ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი ახდენს გავლენას იძულებით გადაადგილებული პირების ინტეგრაციის პროცესზე, მათ შორის ერთ - ერთი უმთავრესია ხანგრძლივი განსახლება, რაც ერთი მხრივ წყვეტს მუდმივ გადაადგილებას და ამით ხელს უწყობს ინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, რაც მათ საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან სეგრეგაციას შეუშლის ხელს.

ნაშრომს თეორიულ საფუძვლად უდევს 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის ბრძანება დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის და კრიტერიუმების

დამტკიცების შესახებ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი პროგრამის ცალკეული მიმართულებების და ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ხდება საცხოვრებლით უზრუნველყოფა. 2. გაეროს გენერალური ასამბლეის ადამიანთა უფლებების საბჭოს სპეციალური მომხსენებლის ჩალოკა ბეიანის ანგარიში, რომელიც აფასებს საქართველოში დევნილთა უფლებებს და საუბრობს გრძელვადიანი განსახლების საკითხებზე. ასევე გამოყენებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ანალიზი. 3. სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისთვის ასევე გამოყენებულია გაეროს მიერ შემუშავებული იძულებით გადაადგილების დროს სამოქმედო პრინციპები და განსახლების სახელმძღვანელო, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ დონეზე დევნილების მიმართ შემუშავებული კანონმდებლობის საფუძველს. 4. იოსებ სალუქვაძის, დავით სიჭინავასა და დავით გოგიშვილის ნაშრომი- „იძულებით გადაადგილებულ პირთა გაუცხოებისა და სეგრეგაციის სოციოეკონომიკური და სივრცული ფაქტორები საქართველოს ქალაქებში“, რომელშიც განხილულია დევნილთა სივრცეში კონცენტრირების ფაქტორები და მათი გავლენა ურბანულ გარემოზე. ამავე კონტექსტში გამოყენებულია პაულ ნოქსისა და სტივენ პინჩის ნაშრომი „ურბანული სოციალური გეოგრაფია. 5. გამოყენებულია პროფესორების პეტერ კაბაჩნიკი, ბეთ მიტჩნეკის და ჯოანა რეგულსკას ნაშრომი : „დაბრუნება თუ ინტეგრაცია? პოლიტიზირებული დევნა საქართველოში“ რომელშიც საუბარია იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უშლიდნენ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივ ინტეგრაციას და როგორი იყო ამაში სახელმწიფოს როლი. მის ნაშრომში ასევე საუბარია საქართველოს მთავრობების დევნილების საკითხებით მანიპულირების მცდელობასა და საკითხის მაქსიმალურად პოლიტიზირებაზე. მათი აზრით, სახელმწიფო დევნილებში დაბრუნების იდეის გაქრობის შიშით თავს არიდებდა ადგილობრივ ინტეგრაციას.

ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური მასალები ეფუძნება დევნილთა სამინისტროს ელექტრონულად ხელმისაწვდომ , ასევე საჯარო ინფორმაციის ფარგლებში გამოთხოვილ და მოწოდებულ მასალას, რომელიც ძირითადად ეხება დევნილთა განსახლების და სხვადასხვა ტიპის შემწეობის შესახებ ფინანსურ საკითხებს, გარდა ამისა სტატისტიკური მასალა ეყრდნობა ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ს ინფორმაციას.

ნაშრომი ასევე ეფუძნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევას, რომელიც ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდოლოგიით.

ინტეგრაცია - იძულებითი არჩევანი თუ აუცილებლობა?

საქართველოში დევნილთა ხანგრძლივი განსახლების პროგრამის შემუშავებაში თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართულნი არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი მხრიდან განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინტეგრაციის აუცილებლობაზე. იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ხშირად წარმოადგენენ პოლიტიკური მანიპულირების ობიექტებს. (Peter Kabachnik, 2016, p. 16) საქართველოს მთავრობას ჰქონდა და აქვს გამოწვევა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ღირსეული ცხოვრების პირობები შექმნას. საქართველოს მთავრობას 2006 წლამდე საერთოდ არ ჰქონია ერთიანი ჩამოყალიბებული სტრატეგია იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ პოლიტიკა არ ყოფილა ჩართული სახელმწიფო სტრატეგიაში. მაშინ, როდესაც უკვე თითქმის 15 წელი იყო გასული მას შემდეგ რაც საქართველომ მიიღო კონფლიქტების შედეგად პირველი, საკუთარ ქვეყანაშივე დევნილი მოსახლეობის დიდი ტალღა. 2006 წლამდე დაბრუნების იდეა

განიხილებოდა პრობლემის ერთადერთ გადაწყვეტად. ამ მიმართულებით თუნდაც საკანონმდებლო კუთხით გადამწყვეტი იყო 2007 წელი, როდესაც სტრატეგიის შემუშავება მოხერხდა, ამით სახელმწიფოს დამოკიდებულება დევნილებისადმი და მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფისადმი მთლიანად შეიცვალა. მანამდე საპირისპირო დამოკიდებულების მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ფინანსური საკითხი, ისე გარკვეული შიში ადგილობრივი ინტეგრაციისადმი. ცალკე საკამათო თემაა იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივად ცვალებადი რაოდენობა. მიუხედავად იმისა რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა ოფიციალურ წყაროებში სხვადასხვა პერიოდში მერყეობდა 250-280 ათას ადამიანს შორის, საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურ გამოსვლებში ბევრად უფრო მაღალ რიცხვებს ასახელებდა, ოფიციალური პირების მიერ ზოგჯერ 400-500 ათასი ადამიანი სახელდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირად. პროფესორები პეტერ კაბაჩნიკი, ბეთ მიტჩნეკი და ჯოანა რეგულსკა თავიანთ ნაშრომში „დაბრუნება თუ ინტეგრაცია? პოლიტიზირებული დევნა საქართველოში“ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ხელიუფლება ამით სიტუაციის უფრო პოლიტიზირებას და დაბრუნების უფლების უფრო მაღალ ლეგიტიმაციას ცდილობდა. (Peter Kabachnik, 2016, p. 6)¹ მათი აზრით, ვინაიდან 2007 წლამდე ძირითადი აქცენტი დაბრუნების იდეაზე კეთდებოდა, იძულებით გადაადგილებული პირების ადგილობრივი ინტეგრაციის ტემპები გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვინაიდან ადგილობრივი ინტეგრაციის როლის წინ წამოწევა ჩაითვლებოდა შეუთავსებლად დაბრუნების იდეასთან. მათივე აზრით ეს შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული რწმენასთან, რომ თუ კი დევნილები

¹ Return or Integration? Politicizing Displacement in Georgia

შეძლებდნენ ადგილობრივ ინტეგრაციას და ექნებოდათ ღირსეული საცხოვრებელი პირობები მათი იმ დროისათვის დროებითი განსახლების ადგილებში, მათ ნაკლებად მოუხდებოდათ დაბრუნება.

შესაძლოა თუ არა ადგილობრივი ინტეგრაცია აღქმულ იქნეს, როგორც დაბრუნების საპირისპირო ვარიანტი და რამდენად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ინტეგრაცია იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში დაბრუნების სურვილის განელებას, ამის შესახებ ჩვენ კითხვა დევნილთა სამინისტროს წარმომადგენელსაც დავუსვით, რაზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხები დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მურად აბლოთიამ განაცხადა: „ინტეგრაცია ვერასდროს შეცვლის დაბრუნებას, თუმცა კი რათქმაუნდა ყველა არ დაბრუნდება. ჩვენ ახლა უკვე გვყავს დევნილების ის თაობა, რომელიც აქაა დაბადებული, ცხადია რომ ბევრი მათგანი შეიძლება არ დაბრუნდეს. ვფიქრობ, რომ განსახლება ყველაზე კარგი ინტეგრაციაა. დიახ, სახელმწიფოს ხედვა 2007 წლამდე იყო მხოლოდ ერთი - დაბრუნება, თუმცა არ შეიძლება ამ ხალხის მსგავს პირობებში ცხოვრება უსასრულოდ გაგრძელდეს.“

თავისთავად ხანგრძლივი განსახლების პროგრამა და ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა არ შეიძლება აღქმულ იქნას ცუდ ტონად და ინტეგრაციის ხელშემშლელ ფაქტორად, თუმცა სამინისტრომ საინფორმაციო დონეზე მსგავს თემებზე დევნილებთან კომუნიკაცია უნდა გააძლიეროს, ვინაიდან თუნდაც ჩვენი კვლევის დროს არაერთხელ მოვისმინეთ დევნილებისგან, რომ სახელმწიფომ ხანგრძლივი განსახლების პროგრამაზე აქცენტი გააკეთა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თითქოს იმედი დაკარგა იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების. დევნილების აზრით ამის

საშიშროება განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გაიზარდა, როდესაც დევნილების განცხადებით ქართველი დევნილების აფხაზეთში დაბრუნების შანსი მინიმალური გახდა. ასეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ინტეგრაციის პროცესის გაძლიერების მსგავსი გზები დევნილების მხრიდან შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც იძულებითი ინტეგრაციის სახე, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირებს აშორებს მათ იდენტობასთან და გულისხმობს ასიმილაციის პროცესის გაძლიერებას. რეალურად, პრობლემაა ინტეგრაციის დეფინიციასთან დაკავშირებითაც, სამინისტროს წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში ინტეგრაციის სინონიმად არაერთხელ ახსენა სიტყვა ასიმილაცია, რაც საკმაოდ რთულად აღიქმება დევნილებში. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით იმ ფაქტით, რომ ისინი ყიდულობენ არა მთლიან კორპუსს, არამედ რამდენიმე ბინას ამ კორპუსში ხელს უწყობენ დევნილი მოსახლეობის ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციას. ჩვენი აზრით ამ კონტექსტში ინტეგრაციის გამოყენება უფრო უპრიანი იქნებოდა თავისი იდეიდან გამოდინარეც, ვინაიდან ინტეგრაცია არ გულისხმობს საკუთარი მახასიათებლების დაკარგვას, რასაც ვერ ვიტყვით ასიმილაციაზე, რომელიც უფრო ღრმა საკითხია და ძირითადად განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების შემთხვევებს შეესაბამება.

სინამდვილეში ინტეგრაციის პროცესს გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ნებისმიერი მიმართულება გულისხმობს, ის კი საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. თავისი არსით ინტეგრაციის პროცესი რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს უკავშირდება, მათ შორის მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. გარდა იმისა, რომ გაეროს მიერ შემუშავებული განსახლების პრინციპებიდან ერთ-ერთი მოიაზრებს გრძელვადიანი პროგრამის ისე განხორციელებას, რომ მან მინიმალურად შეცვალოს დევნილთა უკვე არსებული ეკონომიკური

და სოციალური გარემო და ადგილობრივ ხელისუფლებებს ამის მსგავსად განხორციელება ევალებათ, ეს გარკვეულწილად წარმოადგენს გზას თუ როგორ შეუძლია განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლებებს თავი აარიდოს დევნილებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობას, შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირებს ასახლებენ მაქსიმალურად ახლოს მათი ამჟამინდელი, დროებითი განსახლების ადგილთან. ჩვენ გვახსოვს ახლადშექმნილი კომპაქტური დასახლებების სიახლოვეს გახსნილი და შემდეგ დახურული ქარხნების შესახებ. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანას უჭირს შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები ახალი განსახლების არეალებზე. თავისთავად არც მხოლოდ საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა არ არის ინტეგრაციისთვის საკმარისი, მნიშვნელოვანია ბევრად უფრო კომპლექსური ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მაქსიმალურად ინტეგრირებულად იგრძნონ თავი ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის უნდა მოვიაზრებდეთ არსამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ მსგავსი თემების საჯარო სივრცეში განხილვას, რაც სამწუხაროდ არ ხდება. ინტეგრაციისთვის, რომ მხოლოდ საცხოვრებელი ფართების პრივატიზაცია არ არის საკმარისი ფოცხო-ეწერის შემთხვევამაც დაადასტურა. იმის გამო, რომ იქ შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური გარემო არ იყო შექმნილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ გაჩარდა. გარკვეულწილად იგივე შეიძლება ითქვას ფოთის დასახლებაზეც, სადაც ასევე არის მსგავსი შემთხვევები, მიუხედავად იმისა რომ ტერიტორიული ინტეგრაციის ხარისხი ფოთში უფრო მაღალია ვიდრე ვთქვათ ფოცხო-ეწერში, ეკონომიკური ინტეგრაციის დონე აქაც დაბალია, შესაბამისად ფოთის დევნილთა დასახლებაშიც დევნილთა უმარავი დაკეტილი ბინაა.

ინტეგრაციის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არჩევანის თავისუფლება. ხანგრძლივი განსახლების წესში ცალსახადაა ჩაწერილი, რომ იძულებით გადაადგილებულ დევნილს აქვს უფლება თავად გააკეთოს არჩევანი ხანგრძლივი განსახლების ფორმებს შორის, თუმცა საქართველოს შემთხვევაში ეს პუნქტი არაერთხელ დარღვეულა. ბოლო წლებში ეს მიდგომა გარკვეულწილად შეიცვალა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ისევ დგება თავისუფალი არჩევანის პრობლემა, როდესაც დევნილები არ ეთანხმებიან სამინისტროს შეთავაზებას. ასეთ შემთხვევაში სამინისტროს შეუვალი პოზიცია აქვს, რითაც ცდილობს რომ განსხვავებული პრეცედენტი არ შექმნას, რომელიც შემდგომში მსგავსი გამოვლინებების ზრდას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება საკუთრებაში ბინების გადაცემას, რომელიც ასევე წარმოადგენს ინტეგრაციის ერთ-ერთ ფორმას. ის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აქტიურად განხორციელდა. 2013 წლამდე პრივატიზაციის საკითხი საკმაოდ ქაოტური იყო არ არსებობდა კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა მომხდარიყო პრივატიზაცია, შესაბამისად არ არსებობდა არც საპრივატიზაციოდ გამზადებული ობიექტების ზუსტი სია, 2013 წელს კი განისაზღვრა პრივატიზაციის ძირითადი წესები, რომელთაგან ერთ-ერთია საცხოვრებლის არაავარიულობა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ასეთ კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრობენ არადევნილი ადამიანებიც, რომლებმაც ამ საცხოვრისებში ფული გადაიხადეს. ჩვენს კვლევაში მონაწილეობდა ისეთი დევნილიც, კი რომელიც ე.წ „ყოფილ სტუდენტულ ქალაქში“ არ შესახლებულა უფასოდ, არამედ მან მისი ამჟამინდელი ფართი სულაც იყიდა სხვა დევნილისაგან, შესაბამისად მასაც არავითარი დახმარებას

სახელმწიფოს მხირდან არ მიუღია, გარდა იმისა, რომ მის მიერ დევნილთა დასახლებაში შექმნილი ოთახი დაუკანონეს. ასეთი გაყიდვის ფაქტები ხდებოდა სრულიად ქოტურად და სამართლებრივად არასწორად, ვინაიდან ეს ადამიანები იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ არსებული საცხოვრისების კანონიერ მესაკუთრეს და არც გაყიდვის უფლება ჰქონდათ, ცალკე საკითხავია თავად ნოტარიუსი რის საფუძველზე დებდა ნასყიდობის ხელშეკრულებას.

ბინების პრივატიზების შემდეგ დევნილები ხდებიან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მართონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ქონება, რომლის საფუძველსაც უნდა წარმოადგენდეს წევრთა ურთიერთშეთანხმება. (საქართველოს პარლამენტი, 2011) იგივე ხდება ისეთ კოლექტიურ დასახლებებში, რომლებიც უკვე საკუთრებაში გადაეცათ დევნილებს. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ კორპუსთან დაკავშირებული საკითხები უკვე ამ ამხანაგობის მეშვეობით მოაგვარონ. თუმცა იმავე ჩვენმა კვლევამ აჩვენა რომ როგორც წესი ასეთ პირობებში მცხოვრებ დევნილებს თითქმის არ აქვთ ინფორმაცია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ და უკეთეს შემთხვევაში თუ აქვთ არ მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ინტეგრაციის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი უფლებების გათანაბრება ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებთან, ეს გულისხმობს მათთვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების სრულფასოვან შესაძლებლობასაც. იგივეს ითვალისწინებას გაეროს პრინციპებიც, რომლებიც ნებისმიერ ხელისუფლებას და მათ შორის საქართველოს ხელისუფლებასაც დევნილებთან მიმართებით ჰქონდა და აქვს გამოყენებული სამოქმედო ჩარჩო დოკუმენტად, თუმცა იმავე პრინციპებში გათვალისწინებულ უფლებებს წლების განმავლობაში არღვევდა საქართველოს ხელისუფლება.

პროფესორები პეტერ კაბაჩნიკი, ბეთ მიტჩნევი და ჯოანა რეგულსკა მიიჩნევენ, რომ შევარდნაძის ხელისუფლების დროს ადგილობრივ ინტეგრაციას ხელი შეეშალა საარჩევნო პოლიტიკის გავლენით ხდებოდა. (Peter Kabachnik, 2016, p. 7) მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა და ამასთანავე მის ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლება სულაც არ არის შეუთავსებელი. საქართველოს ორგანულ კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ , რომელიც 1995 წელს იქნა შემუშავებული , 33-ე პუნქტი მოიაზრებდა შემდეგ ჩანაწერს : „თუ დევნილის სტატუსის მქონე პირი აღმოჩნდება რეგისტრირებული რომელიმე საარჩევნო უბანის ტერიტორიაზე , იგი ამოღებულ იქნება დევნილთა საარჩევნო სიიდან“. (საქართველოს პარლამენტი, 1995) შესაბამისად ამ ხალხს წაერთვა უფლება ჰყოლოდათ მათი არჩეული წარმომადგენელი პარლამენტში. უფრო მეტიც ისინი ვერ აძლევდნენ ხმას იმ უბნის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევაშიც კი, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობდნენ ანუ მათი საარჩევნო განწყობა საერთოდ არ აისახებოდა არჩევნებზე. (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 1995, 1999). ასე საქართველოში დევნილებს 10 წელზე მეტხანს არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. ხელისუფლების სხვადასხვა შტოც, იძულებით გადაადგილებული პირების მიერ არჩევნებში სრულყოფილად მონაწილეობის მიღებას მიიჩნევდა , როგორც საშიშროებას აფაზეთის ოკუპაციის ერთგვარი დაკანონების, შესაბამისად საშიშროებად აღიქმებოდა იძულებით გადაადგილებული პირების სრულყოფილი ინტეგრაცია მათი დროებითი საცხოვრებლების ადგილზე. ბუნებრივია ეს ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო კანონმდებლობას.

ინტეგრაციის პროცესის გაძლიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საგანმანათლებლო სფეროში მაქსიმალურად ჩართვაც, რათა იძულებით გადაადგილებული ოჯახების შვილებმა ისეთივე პირობებში მიიღონ განათლება, როგორშიც მათი არადევნილი თანატოლები იღებენ. თავიდან ეს ეხებოდა მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებსაც მოუწიათ 1992-1993 წლებში იმის პერიოდში დაეტოვებინათ საკუთარი სახლები და სკოლები, თუმცა დღესდღეობით არის თაობა, რომელიც არ დაბადებულა აფხაზეთში და მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა. თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული მდოგომარეობით აფხაზეთის 13 საჯარო სკოლაა, მათთვის სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის გატარებას ახდენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. 2015 წლიდან დაიწყო ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ აფხაზეთის 13 საჯარო სკოლაში, სადაც მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა იძულებით გადაადგილებული ოჯახების შვილები არიან ისწავლიან აფხაზურ ენასა და ლიტერატურას. ეს სკოლები მდებარეობს თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, ჩხოროწყუსა და ბორჯომში. 1995-2005 წლებში 45 ასეთი სკოლა იყო იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, 2018) საქართველო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ამ მიმართულებითაც იწვევდა კრიტიკას, ვინაიდან მსგავსი გამოყოფა აღიქმებოდა როგორც ინტეგრაციისათვის ხელშემშლელი. (Sean Loughna, 2010).

ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირებთან კომუნიკაციის გაძლიერება ერთი მხრივ სახელმწიფო სტრუქტურების, ხოლო მეორე მხრივ სამოქალაქო

საზოგადოების მხრიდან. დევნილთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს დევნილებისთვის მათთვის განკუთვნილი დახმარებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ამავდროულად ბენეფიციარებისათვის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას.

ინტეგრაცია გულისხმობს იძულებით გადაადგილებული პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ამ მიზნით 2014 წელს შეიქმნა სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“, რომლის უპირველეს მიზანსაც წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად დევნილთა სამინისტროს დაქვემდებარებული სააგენტო შეიმუშავებს და ახორციელებს საარსებო წყაროების პროგრამებს, რომლებიც გათვლილია დევნილთა საჭიროებებზე. (დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, 2014) ჩვენ კითხვა დავუსვით დევნილებს აღნიშნული სააგენტოს და მის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ, თუმცა დევნილთა აბსოლუტურ უმეტესობას აღნიშნული სააგენტოს შესახებ ინფორმაცია არ აქვს. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დასაქმების დონის ზრდას. აღნიშნული პროექტის შესახებ დევნილებს გარკვეული ინფორმაცია ჰქონდათ.

ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის უმნიშვნელოვანესია საცხოვრებელ სტანდარტებთან სრულიად შეუსაბამო საცხოვრებელი გარემო, ეს განსაკუთრებით ეხება ე.წ ძველი დევნილების კოლექტიურ დასახლებებს, რომელთა უმეტესობის ისეთი მინიმალური საშუალებებით უზრუნველყოფა ჭირს როგორებიცაა დენი და წყალი. მაგალითად ქალაქის

ცენტრში ჭავჭავაძის 37-ში მდებარე დევნილთა კომპაქტური დასახლება სრულად ავარიულ მდგომარეობაშია, მოსახლეობას არ მიეწოდება ბუნებრივი აირი და ყველანაირი სტანდარტების გარეშეა გაყვანილი ელექტროსადენები, რის გამოც რამდენიმე თვის წინ გაჩნდა ცეცხლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპაქტურ დასახლებაში, როგორც დევნილთა სამინისტროს, ისე იქ მცხოვრები დევნილების მიერ მოთხოვნილი სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება ამ საცხოვრისის ავარიულობა და შეფასებულია, როგორც სიცოცხლისთვის საშიში, მიუხედავად ამისა ხანძრის დროს დაზარალებული ადამიანები დევნილთა სამინისტრომ 3 თვიანი ქირით გაიყვანა, გარდა იმისა, რომ იმ ძველი კომპაქტური დასახლებების უმეტესობაში, რომლიდანაც მოსახლეობის გაყვანის აუცილებლობა დადასტურებულია, ასეთივე მდგომარეობაა, ასევე ყველა ასეთ დასახლებაში ფართის სიმცირის პრობლემა დგას და უმეტესობაში ჰიგიენის ყველანაირი ნორმა დარღვეულია.

ჯერჯერობით კონსესუსი არაა მიღწეული იმაზე თუ როდის უნდა დასრულდეს იძულებით გადაადგილებული პირის შესაბამისი იდენტიფიცირება. დევნილობის შეწყვეტის წესი არ არსებობს, უბრალოდ დევნილობა სრულდება დაბრუნებასთან ერთად, რომელიც შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ რაც უკვე აღარ არსებობს თავდაპირველი გადაადგილების მიზეზი, ყველა დანარჩენი გადაწყვეტილება ინტეგრაციის მცდელობაა. დაბრუნება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ამ პერიოდში კი იძულებით გადაადგილებულ პირებს უნარჩუნდებათ დევნილების „იდენტურობა“, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ხელს უშლის ინტეგრაციას. სტატუსის შენარჩუნება კი შეიძლება მოხდეს ყველანაირი დახმარებების შენარჩუნების გარეშეც, ამ მხრივ გრძელვადიანი განსახლება სახელმწიფოებისთვის გარკვეულწილად ნიშნავს დევნილობის თუ არა გადაადგილების დასრულებას მაინც. სახელმწიფო გრძელვადიანი

პროგრამების ამუშავებით და დევნილების საცხოვრებლებით უზრუნველყოფით ხელს უწყობს ამ დევნილების ადგილობრივ ინტეგრაციას. თავისთავად, დევნილობის პროცესის ხანგრძლივობასთან ერთად დაბრუნების შესაძლებლობასთან ერთად დაბრუნების სურვილიც უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან რაც უფრო დიდხანს გრძელდება დევნილობის პროცესი მით მეტად მცირდება დაბრუნების სურვილი და იზრდება ნორმალური რეინტეგრაციის არ არსებობის შესაძლებლობა.

გრძელვადიანი განსახლება გულისხმობს სამი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის გამოყენებას და სრულდება მასთან ერთად, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს არ სჭირდებათ შემდგომი დახმარება, უბრალოდ მათი სჭიროება ვერ იქნება განსხვავებული სხვა მოქალაქეების საჭიროებებისგან. ასეთ შემთხვევაში მათი უფლებები დაცული იქნება საერთაშორისო სამართლით, ისევე როგორ ნებისმიერ მოქალაქის. საქართველოს შემთხვევაშიც ნებისმიერი იძულებით გადაადგილებული პირი ბუნებრივია ინარჩუნებს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს და ეს სტატუსი წყდება მხოლოდ დაბრუნების შემთხვევაში, ამასთანავე ინარჩუნებს ყველა იმ შეღავათს რაც სახელმწიფოს აქვს დაწესებული იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. ჩვენ მიერ გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ განსახლებით მათ სტატუსს საფრთხე არ ემუქრება, თუმცა რამდენად შეიცვლება შემწეობის საკითხი ეს საკამათოა, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით გამორიცხული არ არის. თეორიულად შესაძლებელია აღნიშნული სოციალური პროგრამა სოციალურად დაუცველთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას და მათთვის განკუთვნილი შეღავათების ნაწილი გახდეს და შენარჩუნებულ იქნეს იმავე ნიშნით რა ნიშნითაც აქვთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ანუ სიღარიბის დონის განსაზღვრის მიხედვით.

ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება კოლექტიური ცენტრების არსებობა, რაც ხშირად დევნილების დისკრიმინაციის და მათი არადევნილი მოსახლეობისაგან ხელოვნურად გამოყოფას და ცალკე ჯგუფად კონცენტრირებას უწყობს ხელს, განსაკუთრებით საქალაქო ტიპის დასახლებებში. მსგავსი კოლექტიური ცენტრები ნაკლებად ინტეგრირებულია ურბანულ გარემოსთან. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს კვლევაში მოხვედრილ დასახლებებზეც. მაგალითად თბილისის ცენტრში ჭავჭავაძის გამზირზე არსებული დევნილთა განსახლების კოლექტიური ცენტრები მთლიანად ამოვარდნილი არიან ურბანული გარემოდან, ხოლო ფოთში, მალთაყვაში, არსებული კოლექტიური დასახლება მდებარეობს ქალაქის განაპირას, რაც მის ურბანულ გარემოში ინტეგრაციას ხელს უშლის.

ნებისმიერ ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა საცხოვრებლად მიდის ურბანულ და ამის ხელშემწყობი ფაქტორა დასაქმების პერსპექტივა, ასევე ქალაქები უზრუნველყოფენ ანონიმურობის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების მაღალ ხარისხს სოფლებთან და ბანაკებთან შედარებით. ამასთანავე არაფორმალურ შრომით ბაზრებზე წვდომა გავლენას ახდენს იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომ გადაადგილდნენ ურბანული არელებისკენ. თუმცა ქალაქებში იძულებით გადაადგილებული პირები უერთდებიან ქალაქის ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ჯგუფს, რომლებიც ცხოვრობენ ყველაზე არახელსაყრელ და მარგინალიზებულ პირობებში. (internal displacement monitoring centre, 2018, p. 2) რაც მათ ინტეგრაციასა და სოციალურ მდგრადობას ხელს უშლის, ამასთანავე მათ არ შესწევთ ძალა გაუძლონ მთელ რიგ გამოწვევებს. თავად სოციალური მდგრადობა ამერიკელი მეცნიერისა და სოციალური ფსიქოლოგის ჯონ კაჩიოპოს აზრით, არის შესაძლებლობა ადამიანისთვის ხელი შეუწყოს, ჩაერთოს და დაამყაროს

დადებითი ურთიერთობები, ამავდროულად გაუძლოს და აღიდგინოს ძალები ცხოვრების სირთულეებისა და სოციალური იზოლაციის დროს. (John T. Cacioppo Harry T. Reis ; Alex J. Zautra, 2011, p. 44) იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში სოციალური მდგრადობის მაღალი ხარისხის მიღწევა ძალიან რთულია. ის ფაქტი, რომ ურბანულ ცხოვრებაში იძულებით გადაადგილებული პირები ვერ ერთვებიან სრულყოფილად სამსახურის ძიების დროს მათ აყენებს ექსპლოატაციის საფრთხის ქვეშ. დევნილები თამაშობენ მნიშვნელოვან როლ ურბანული გარემოს ფორმირებაში. მათ უდიდეს ნაწილს არ აქვს საკმარისი საცხოვრებელი ფართი და სრულფასოვანი საცხოვრებელი პირობები. ამჟამად ე.წ ძველი დევნილების მხოლოდ 19% ცხოვრობს სოფლად, ხოლო 81% ქალაქში. ახალ დევნილებს შორის კი ეს მაჩვენებელი შესაბამისად 64% და 36%-ია. (დევნილთა სამინისტრო, 2017) *(დანართი - იხ. ცხრილი 1; ცხრილი 2)*

სოფლებში მცხოვრები ახალი დევნილების შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ 2008 წლის კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დროებითი საცხოვრებლები სწორედ სასოფლო დასახლებებში შეიქმნა. იმ ფაქტმა, რომ დევნილთა უმეტესობა იძულებით გადაადგილებამდე ცხოვრობდა სასოფლო ტიპის დასახლებაში და იძულებით გადაადგილების შემდეგ მოუწიათ საქალაქო ტიპის დასახლებაში, სრულიად არადამაკმაყოფილებელ პირობებში დასახლება, საქალაქო ტიპის დასახლებაში მათ ინტეგრაცია ძალიან შეუშალა ხელი.

„ურბანული სოციალური გეოგრაფიის“ ავტორები პაულ ნოქსი და სტივენ პინჩი მიიჩნევენ რომ ამ სოციალური ჯგუფების უპირატესობაა სივრცეში ცალკე კონცენტრაცია, თუმცა მათ აქვთ უარყოფითი გავლენა ურბანულ გარემოზე. თავად ასეთ მცირე ჯგუფებს ერთად კონცენტრაცია ხელს უწყობს იმაში, რომ შეინარჩუნონ ძლიერი კავშირი და თავიანთი

კულტურული და ტრადიციული ფასეულობები, ამავდროულად თავიდან აიცილონ ასიმილაცია ძირითად საქალაქო საზოგადოებასთან. (Paul Knox; Steven Pinch, 2010) ამასთანავე ასეთმა გრძელვადიანმა გამოყოფამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური გაუცხოება მათსა და ქალაქებში მცხოვრებ სხვა ჯგუფებს შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის შემთხვევაში კოლექტიურ დასახლებებში ჩასახლება არა სურვილი, არამედ იძულებითი ნაბიჯი იყო, შესაბამისად ზემოთაღნიშნული მოვლენები ნამდვილად შეიძლება მიმდინარეობდეს, მაგრამ ნაკლებად იძულებით გადაადგილებული პირების სურვილის საფუძველზე. იმავე ავტორების მიხედვით, ზემოთაღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მიჩნეულ იქნეს იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ქორწინების მაღალი დონე, გარდა ამისა მსგავსი კონცენტრირება ასეთ ჯგუფებს საშუალებას აძლევს უკეთესად გამოიყენონ საკუთარი საარჩევნო უფლებები და ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენლობა (Joseph SALUKVADZE, David SICHINAVA, David GOGISHVILI) საქართველოს შემთხვევაში დევნილების დასახლებების ცალკე საარჩევნო ოლქებად გამოყოფა არ ხდება, თუმცა არსებობს რამდენიმე საარჩევნო უბანი, სადაც დევნილები საკუთარი კოლექტიური განსახლებიდან გამომდინარე აძლევენ ხმას. მაგალითად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ანალიზი აჩვენებს, რომ დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ადამიანების (მცირე გამონაკლისი უბნების გარდა) მხარი დაუჭირ მმართველ პარტიას. ეს მაშინდელ მმართველ პარტიას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ეს მხარდაჭერა კი განსაკუთრებით დიდი იყო ახლადშექმნილ კოლექტიურ დასახლებებში, მათ შორის ფოთში და მკვეთრად განსხვავდებოდა საოლქო მონაცემებისაგან. (სიჭინავა, 2014, გვ. 116)

რაც შეეხება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს ფოთის ე.წ ახალი უბნის დევნილთა დასახლებაში გახსნილი ორი უბნიდან პროპორციული

სიით ერთ-ერთში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო ხმების 43 %, მართველი პარტიის „ქართული ოცნების“ 35 %-ის საპირისპიროდ, ხოლო მეორე უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ მაჩვენებელი იყო 46%, ხოლო „ქართული ოცნების 36%. (ცესკო, 2016) აღსანიშნავია , რომ მსგავსი რამ მოხდა ფოთის კიდევ ერთ უბანზე, კერძოდ ახალ ე.წ სამხედრო დასახლებაში, რომელიც ასევე კომპაქტური დასახლებაა, ხოლო დანარჩენ არცერთ უბანზე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ფოთში არჩევნები არ მოუგია.

რაც შეეხება თბილისის დევნილთა კომპაქტური დასახლებების 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ქცევას , აქ შესაძლებელია ცალკე უბნად გამოიყოს ვაკის ე.წ ყოფილი სტუდენტთა ქუჩის, რომლებიც ბუნებრივად ცალკე უბანზე აძლევდნენ ხმას, აქ მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციული სიით საერთო ხმების 58% მიიღო, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების სულ რაღაც 20%. (ცესკო, 2016) აღმოჩნდა, რომ თბილისსა და ფოთში კომპაქტურად ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირები სხვადასხვა საარჩევნო ქცევას ავლენდნენ. ფოთის დევნილთა კომპაქტური დასახლების საარჩევნო ქცევა არ შეესაბამებოდა ამავე ქალაქის არადევნილი მოსახლეობის საარჩევნო ქცევას, ხოლო თბილისში არსებული კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების საარჩევნო ქცევა შეესაბამებოდა თბილისის მოსახლეობის გადაწყვეტილებას. ერთის მხრივ ეს შესაძლოა მიუთითებდეს ინტეგრაციის ხარისხზე, ვინაიდან თბილისში დევნილთა ეს კომპაქტური დასახლება უკვე არსებობს 25 წელია, ხოლო ფოთში შეიქმნა 2011 წელს.

ადგილობრივი ინტეგრაციის -გრძელვადიანი განსახლების სამართლებრივი საფუძვლები

ადგილობრივი ინტეგრაცია არის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციო-კულტურული პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას. მის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ხანგრძლივი და ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა წარმოადგენს, რომლებიც რეგულირდება როგორც საერთაშორისო სამართლით ისე ადგილობრივი კანონმდებლობით.

საერთაშორისო დონეზე დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მარეგულირებელ დოკუმენტს გაეროს მიერ შემუშავებული: „სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ წარმოადგენს. აღნიშნული სახელმძღვანელო ეხება მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციფიკურ პრობლემებს. მასში მოცემულია ის უფლებები და გარანტიები, რომლებიც გააჩნიათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, დაკავშირებულია მათ დაცვასთან, ინტეგრაციასთან და თავიანთი მუდმივი დასახლების ადგილზე დაბრუნების უფლებასთან, ყველა მათგანი კი ეხმიანება გრძელვადიანი განსახლების უფლებას. აღნიშნული პრინციპები ეხმიანება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. მოცემული პრინციპები წარმოადგენენ სახელმძღვანელოს იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც წამოიჭრება იძულებით გადაადგილების პრობლემა. ის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას დევნილთა წინაშე ადგილობრივ ხელისუფლებებს აკისრებს. ეს ვალდებულება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უსაფრთხო და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნაში.

გაეროს მიერ შემუშავებულ ამავე სახელმძღვანელოში საუბარია თვითნებური გადაადგილებისგან დაცვის აუცილებლობაზეც და

მიუთითებს, რომ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში შესაძლოა დაშვებულ იქნას თვითნებური გადაადგილება. ერთ-ერთ ასეთ უკიდურეს შემთხვევად განხილულია შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების არარსებობა, ასევე ეთნიკური წმენდა. (principle 7) (UNITED NATIONS - Office for the Coordination of Humanitarian Affairs) აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მაგალითი სწორედ ამ კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ.

გაეროს მიერ შემუშავებულ პრინციპებში საუბარია უსაფრთხო გადაადგილებაში ხელისუფლების ვალდებულებაზეც, თუმცა შეიარაღებულ კონფლიქტებში, სადაც სახელმწიფო ერთ-ერთ აქტორად გვევლინება გადაადგილების ორგანიზება და უსაფრთხოების გარანტირება საკმაოდ რთული და ხშირად შეუძლებელიც ხდება სახელმწიფოს მხრიდან. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთის კონფლიქტზეც. ათასობით ადამიანმა კონფლიქტური რეგიონის საზღვრები ქაოტურად და სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების დაგეგმვისაგან დამოუკიდებლად გადმოკვეთა, რა დროსაც თავისთავად მათი უსაფრთხოების დონე ძალიან დაბალი იყო. ასეთ პირობებში ერთმანეთის მიყოლებით ირღვეოდა გაეროს მიერ შემუშავებული პრინციპები უსაფრთხო გადაადგილების, ღირსების, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებები.

სამოქმედო პრინციპები მოიცავს საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტს. პრინციპების მიხედვით ნებისმიერ იძულებით გადაადგილებულ პირს აქვს თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. (principle 28) (UNITED NATIONS - Office for the Coordination of Humanitarian Affairs) ზემოთაღნიშნული პრინციპები პრაქტიკაში რთულად მუშაობს. ასევე მოხდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების შემთვევაშიც. მათ შორის საუბარია იძულებით გადაადგილებული

პირების საკუთრებაში არსებული ქონების დაცვის შესახებაც. ამ პრინციპების მიხედვით, ის ქონება, რომლის დატოვებაც მოუწიათ იძულებით გადაადგილებულ პირებს მათი გადაადგილების გამო, დაცულ უნდა იქნეს სხვადასხვა სახის ვანდალიზმისა და მითვისებისგან. (Principle 12) აღნიშნული პუნქტები თითქოს შანსს უტოვებენ იძულებით გადაადგილებულ პირებს დაბრუნების შემთხვევაში დაიბრუნონ თავიანთი ქონება და დანაშაულად იქნეს აღიარებული ნებისმიერ ტიპის ზემოთ აღნიშნული მოქმედება, თუმცა პრაქტიკაში ამ უკნასკნელის განხორციელებაც თითქმის შეუძლებელია. ისევე როგორც 2003 წლამდე, საქართველოს „დევილთა შესახებ კანონის“ მიხედვით დევნილებს გარკვეულწილად ეზღუდებოდათ საკუთრების უფლება, ვინაიდან ეს ხდებოდა მათთვის სტატუსის შეცვლის წინაპირობა. რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი მოსახლეობისათვის სტატუსის ჩამორთმევა არ შეიძლება ჩაითვალოს მათი ინტეგრირების მცდელობად, პირიქით, ეს იყო ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორი.

რაც შეეხება, უშუალოდ განსახლების პირობებს, ამ სამოქმედო პრინციპების ერთ-ერთი თავი სწორედ დაბრუნების, განსახლების და რეინტეგრაციის საკითხებს ეხება, რომელშიც გაწერილია, რომ ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს დევნილებისთვის განსახლების შესაძლებლობა. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსახლეობის ინტეგრაციას. ამავე სახელმძღვანელო ხელისუფლებას მოუწოდებს განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართონ დაბრუნების, რეინტეგრაციისა და ადგილობრივი განსახლების დაგეგმვის და მართვის პროცესში დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფისკენ. (Guiding Principles on Internal Displacement)

ადგილობრივ დონეებზე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებასთან დაკავშირებით შემუშავებული პროგრამა თავისი არსით

უნდა ეხმიანებოდეს ზემოთაღნიშნულ „სახელმძღვანელო პრინციპებს“, რომელიც საქართველოს დევნილთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ განსახლების პრინციპებსაც უდევს საფუძვლად შესაბამისად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ განსახლების პროცესი არ უნდა შეიცავდეს ძალდატანების ელემენტებს. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013) ძალდატანებითი მიდგომა იდეაშივე გამორიცხავს ინტეგრაციას.

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სტანდარტების პაკეტი, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრისებით დაკმაყოფილება. რაც შეეხება საცხოვრისის ადგილს, მისი არჩევის უფლება როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი სამართლით დევნილს აქვს, თუმცა ის საქართველოში ნაწილობრივ მოქმედებს. 2013 წლის დევნილთა საყოველთაო რეგისტრაციის დროს ამ მიმართულებით მხოლოდ ქალაქ თბილისზე იყო გამახვილებული ყურადღება, სადაც დარეგისტრირებულ დევნილებს საშუალება ეძლევატ ბინა თბილისშივე მიიღონ. საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ერთ-ერთ მთავარ პრინციპად ზემოთაღნიშნულის წარმოჩენის მთავარი ფაქტორი იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მაქსიმალურად უმტკივნეულო გადაადგილების პირობების შექმნაა, რომელსაც არ უნდა ახლდეს მისი ამჟამინდელი სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუარესება.

მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობა, ამ მიმართულებით კი არასამთავრობო ორგანიზაციების , როგორც ნეიტრალური მხარის მაქსიმალური ჩართულობა. იგივეს ითვალისწინებს გაეროს პრინციპებიც, რომელიც ყველა შესაბამის უწყებებს ეროვნულ დონეებზე მოუწოდებს მაქსიმალურად

შეუწყონ ხელი სხვადასხვა ჰუმანიტარული და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისცენ შეუზღუდავი მოქმედების შესაძლებლობა. (UNITED NATIONS - Office for the Coordination of Humanitarian Affairs) ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოშიც, გადაწყვეტილების მიღების პროცესს აკვირდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც გამჭვირვალობის ხარისხს ზრდის.

რაც შეეხება ადგილობრივ დონეზე სტრატეგიის შემუშავებას და მის განხორციელებაზე ზრუნვას, 1992 წლიდან საქართველოს სხვადასხვა მთავრობამ შეიმუშავა 200-ზე მეტი საკანონმდებლო აქტი დევნილებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკანონმდებლო დებულებები არეგულირებენ დევნილთა უფლებებს საქართველოს ტერიტორიაზე. საწყის ეტაპზე აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ძირითადად ემსახურებოდა შერიგებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებს, რასაც მოჰყვა დევნილთა სპონტანური დაბრუნება გალში. საქართველოს მთავრობა ოფიციალურ მოლაპარაკებებში ყურადღებას ამახვილებდა ფართომასშტაბიან დაბრუნებაზე. ექსპერტების ანალიზით სახელმწიფო ამით ცდილობდა დაბრუნებულების „გამოყენებას“ გეოპოლიტიკური ძალაუფლების გასაძლიერებლად. (Peter Kabachnik; Beth Mitchneck; Joanna Regulska) სხვადასხვა შეფასებით გალის რაიონში დაბრუნდა 45000-65000 იძლებით გადაადგილებული პირი. (Human Right Watch, 2011) (Sean Loughna; Tamar Bregvadze; Nino Partskhaladze , 2010, p. 13) ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მიიჩნევს , რომ საქართველოს მთავრობის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, როგორც აფხაზეთში ისე ე.წ სამხრეთ ოსეთში დაბრუნებული ქართველები თავს ვერ გრძნობენ მშვიდად, ვინაიდან იმყოფებიან მუდმივი საფრთხის ქვეშ. (Amnesty International , 1998, p. 15) (Human Right Watch, 2011); (Johnson, 2010) მთავრობის ზოგიერთი

წარმომადგენელი ღიად აკრიტიკებდა დაბრუნებულებს და „მშიშარა და მოლაღატეებად“ (Peter Kabachnik, 2016, p. 10)

გრძელვადიანი განსახლების პროგრამის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული კრიტერიუმები

რაც შეეხება დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხს. 2007 წლამდე საქართველოს არ გააჩნდა გამოკვეთილი სტრატეგია იძულებით გადაადგილებული პირების ხანგრძლივი განსახლების შესახებ, ხოლო 2007 წლის 2 თებერვალს დამტკიცებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია“ , (სახელმწიფო სამთავრობო კომისია, 2007). 2008 წლის ბოლოს საქართველომ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფინანსური დახმარება მიიღო, რომლის მოცულობა 4.5 მლრდ-ზე ოდნავ მეტი იყო, დახმარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად განისაზღვრა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით პირველ ხელშეკრულებად ითვლება ევროგაერთიანებასთან დადებული ორი ხელშეკრულება, პირველი მათგანი მოიცავდა უშუალოდ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად წარმოქმნილ დევნილთა დახმარებას, ხოლო მეორე ე.წ „ძველ დევნილებსაც“. (დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის დონორთა მიერ გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების ხარჯვის მონიტორინგის ანგარიში 2010, თ. გ.). სტრატეგიის განსახორციელებლად აუცილებელი სამოქმედო გეგმის შემუშავება მხოლოდ 5 წლის შემდეგ მოხერხდა, რომელიც 2013 წელს იქნა შემუშავებული საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობი გათვალისწინებით შეიმუშავა ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოხდებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილება. ზემოთაღნიშნული თითოეული

კრიტერიუმი უტოლდება გარკვეულ ქულას ოჯახის საჭიროების და მათთვის პრიორიტეტული საჭიროებების მიხედვით. სწორედ აღნიშნული ქულებით მონაწილეობენ იძულებით გადაადგილბული პირები საცხოვრებლით უზრუნველყოფის კონკურსში.

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღების მსურველი დევნილები თავად ავსებდნენ განაცხადს საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე. გარდა ამისა ისინი ავსებდნენ კითხვარს, რომლის მიზანი იყო დევნილი ოჯახის მდგომარეობის შესწავლა, რათა მისთვის გრძელვადიანი განსახლების პროგრამაში ჩართვა მაქსიმალურად ეფექტურად მომხდარყო სწორედ მათი საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნულ კითხვარში კითხვები დასმულია როგორც დევნილი ოჯახის წევრების, ისე უახლოესი ნათესავების შესახებ. დევნილი ოჯახის წევრების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ, ასევე ოჯახის რომელიმე წევრის ჯანმრთელობის და სპეციალური საჭიროებების შესახებ. აღნიშნულ კითხვარში ცალკე ბლოკი ეთმობა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას რაც ითვალისწინებს ოჯახის წევრების სამუშაო მდგომარეობისა და ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების ფლობის შესახებ დეტალურ ინფორმაციის მოპოვებას, ასევე ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლისა და ხარჯის შესახებ. პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთ დევნილ ოჯახებზე, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის დაძლევის პროგრამაში და რომელთა სარეიტინგო ქულა დაბალია. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013)

2013 წლის ოქტომბერში განისაზღვრა თუ რამდენი ქულით იქნებოდა შეფასებული კონკრეტული კრიტერიუმი. აღნიშნული კრიტერიუმები ორ ნაწილად იყოფა : საცხოვრებელი ფართით საგრებლობის შესაძლებლობის

შეფასების და სოციალური კრიტერიუმები. თითოეული მათგანი რამდენიმე ქვეპუნქტს მოიცავს, რომლებიც განსხვავებულ ქულებად ფასდებიან. დევნილი ოჯახები შესაძლებელია, კრიტერიუმთა რომელიმე ჯგუფიდან ერთდროულად რამდენიმე ქვეკრიტერიუმს აკმაყოფილებდნენ, შესაბამისად მათი საკონკურსო ქულები იზრდება და სახელმწიფოს მიერაც ასეთი დევნილების საცხოვრებლით დაკმაყოფილება წარმოადგენს პრიორიტეტს. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013)

პირველი ჯგუფიდან 3-3 ქულით ფასდება, პირველი, ისეთი შემთხვევები, როდესაც იძულებით გადაადგილებული პირები ცხოვრობენ კერძო საკუთრებაში და კერძო მესაკუთრე მათ გასახლებას ითხოვს, მათ შორის კანონის ფარგლებში და მეორე, საცხოვრებელი პირობები არის განსაკუთრებით მძიმე და რადიკალურად არ შეესაბამება მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს, ასეთი საცხოვრებელი პირობების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია და გულისხმობს ავტოფარეხში, შენობის კიბის უჯრედში, სხვადასხვა სახის ჯიხურებსა და ფიცრულ/მიწურ შენობებში ცხოვრების მაგალითებს. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013, გვ. დანართი 6)

პირველი ქვეკომპონენტისგან განსხვავებით სულ 2 ქულა ენიჭებოდა ისეთ შემთხვევას, როდესაც იძულებით გადაადგილებული პირების ამჟამინდელ საცხოვრებელ ფართს/კორპუსს ფლობს არა კერძო მფლობელი, არამედ სახელმწიფო. ასეთ შემთხვევაში თვითმართველობის ან სხვა რომელიმე საჯარო უწყების მიერ აღნიშნული ინტერესი მკაფიოდ უნდა ყოფილიყო გამოხატული. აღნიშნული ქვეკომპონენტის 2 ქულა მარტივად აიხსნება იმით, რომ დევნილთა სამინისტროს მხრიდან სახელმწიფო

სტრუქტურასთან მოლაპარაკება შესაძლოა გაცილებით იოლი იყოს და ასეთ პირობებში დევნილთა ოჯახებისათვის 2 ქულის მინიჭება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისათვის გამოცხადებულ კონკურსში, ასეთ ოჯახებს მოცდის რეჟიმში უფრო დიდხანს ამყოფებს. თუმცა 2017 წელს შევიდა შესწორება, რითაც აღნიშნული ქვეპუნქტიც 3 ქულად ფასდება. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013, გვ. დანართი 6)

გარდა ამისა კრიტერიუმები ნაკლებად წყალობს იმ ოჯახებს, რომლებმაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ორჯერ მაინც შეიცვალეს საცხოვრებელი. (სამინისტრო, 2013) რაც საკმაოდ სადაო კომპონენტია, მიუხედავად იმისა რომ ამავე ქვეპუნქტში ჩაწერილია წინადადება „კერძო სექტორში მაცხოვრებელი ოჯახის საცხოვრებლის სტაბილურობა“ არსად არ არის აღნიშნული ამ კერძო საკუთრების მფლობელის შესახებ ინფორმაცია. ანუ თეორიულად შესაძლებელია იძულებით გადაადგილებული ოჯახი საცხოვრებელს იცვლიდეს ქირით და სრულიად რეალურია ეს 5 წელიწადში 2-ჯერ მაინც მოხდეს, მიუხედავად ამისა კრიტერიუმების მიხედვით ისინიც ამ ქვეპუნქტში მოხვდებიან და მიიღებენ სულ რაღაც 1 საკონკურსო ქულას, თუმცა კი რეალურად გრძელვადიანი საცხოვრებლის საჭიროება ყველაზე მეტად სწორედ მათ წინაშე შეიძლება იდგეს.

რაც შეეხება სოციალურ კრიტერიუმებს, თავდაპირველად შემუშავებული სოციალური კრიტერიუმების პირველი პუნქტი ორ განსხვავებულ მოცემულობას მოიაზრებდა: პირველი იყო დაბალი შემოსავალი, ხოლო მეორე სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა. ოჯახს ორივე კომპონენტში შესაძლებელი იყო ცალ-ცალკე მინიჭებოდა ქულები საერთო ჯამით 1-დან 6.5-მდე. დაბალი შემოსავლის კომპონენტი გულისხმობდა ოჯახის შემოსავლების ჯამის დადგენილ საარსებო

მინიმუმთან შესადარისობას, ყველაზე არადადამაკმაყოფილებელ შემთხვევაში, რაც მოიაზრებდა საარსებო მინიმუმთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები შემოსავლის ქონას ოჯახს მაქსიმუმ 2 ქულა ენიჭებოდა. ამჟამად ეს კომპონენტი არ არსებობს. ძალაშია ამ პუნქტის მხოლოდ მეორე ნაწილი, სადაც საუბარია სოციალურ პროგრამაში მონაწილეობაზე ანუ იმაზე არის თუ არა ოჯახი დარეგისტრირებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ამ პროგრამაში ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულით ხდებოდა მათთვის 1-დან 3 ქულამდე მინიჭება. თუ 2013 წლის კრიტერიუმების მიხედვით 57001 ქულა იყო საკმარისი 3 ქულის მისაღებად, ახლა იმისათვის რომ ოჯახმა 3 ქულა მიიღოს მხოლოდ 30001 საკონკურსო ქულა უნდა ჰქონდეს, სხვა სიტყვებით ეს უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრებას გულისხმობს. არნიშნული ორი ცვლილებით, თუ უკიდურესი გაჭირვების ქვეშ მყოფ დევნილ ოჯახს თეორიულად შეეძლო მიეღო 6.5 ქულა, ახლა მაქსიმუმ 3 ქულის მიღება შესაძლებელია.

ცვლილებები შევიდა განსაკუთრებით რთული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის მისანიჭებელ ქულათ-ა კატეგორიაში. თუ აქამდე ოჯახს 3 ქულა ენიჭებოდა მუდმივად მწოლიარე წევრზე, ფსიქიკური აშლილობის მქონე ავადმყოფზე 2 ქულა, ხოლო ონკოლოგიურ ავადმყოფზე 1 ქულა, დღეს კრიტერიუმებში დარჩენილია მხოლოდ ონკოლოგიურ ავადმყოფზე 1 ქულა, პირველი ორი კი ამოღებულია. 2013 წელს შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძლებული იყო მარტო გაეზარდა შვილები იღებდა 2 ქულას, შემდგომი წლების შესწორებებით ახლა ეს ქულა 1.5-ს შეადგენს.

კრიტერიუმების სოციალურ ბლოკში ცალკეა ყურადღება გამახვილებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ან გარდაცვლილი ადამიანების ოჯახებზე, რომლებიც

განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ. ზოგიერთ ასეთ მიმართულებას 2017 წლიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო.

იმავე 2013 წელს შემუშავებულ იქნა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის სტანდარტები დევნილი ოჯახის წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. ამ სტანდარტებში საუბარია როგორც მინიმალურ საცხოვრებელ სტანდარტზე, ისე საცხოვრებელ ფართში ოთახების რაოდენობზე დევნილი ოჯახების წევრთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტები მისი შემუშავებიდან დღემდე არ შეცვლილა. სტანდარტი გულისხმობს დაახლოებით 15 კვადრატული მეტრი ფართის გათვალისწინებას ოჯახის თითო წევრზე. ყველაზე მცირე, 1-2 მოსახლიანი ოჯახისათვის ეს არის 25-40 კვადრატული მეტრი, ხოლო ყველაზე დიდი 7-8 მოსახლიან ოჯახში 85-100 კვადრატული მეტრი. ოჯახში წევრთა რაოდენობის მონიტორინგს თვითონ სახელმწიფო ახდენს და ავსებს შესაბამის ანკეტას თითოეული ოჯახისათვის. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013, გვ. დანართი 8)

დევნილის დროებითი განსახლების თაობაზე მიღებული განცხადების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს კრიტერიუმებით გათვალისწინებული ქულათა ჯამის მიხედვით. დევნილი ოჯახი მისი განცხადების უარყოფის შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ იმით, რომ ისინი არ არიან განსახლებულთა სიაში, თუმცა მას არ ახლავს უარყოფის მიზეზების ახსნა.

გადაწყვეტილების მიღების შესახებ მთლიანი პროცესის სამართლებრივი მხარე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის

ჩარჩოებშია მოქცეული, რაც პირს უფლებას აძლევს გაასაჩივროს კონკრეტული გადაწყვეტილება.

გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მიმართულებები და მათი დაფინანსება

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს :

1. ნგრევად და სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილი ოჯახების გაყვანა.
2. სასამართლოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებისა და სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით.
3. კრიტერიუმების შესაბამისად , დევნილთა გრძელვადიანი განსახლება.

დევნილთა განსახლების პროგრამის განსახორციელებლად სამინისტრო რამდენიმე პროექტს ახორციელებს. ესენია:

- ✓ არსებული შენობების რეაბილიტაცია
- ✓ ახალი მშენებლობები
- ✓ „სოფლად სახლის“-ს პროექტი
- ✓ „ჰუალინგ ჯგუფი“-სგან ბინების გამოსყიდვა
- ✓ სხვა მენაშენებისგან ბინების გამოსყიდვა
- ✓ იმ ობიექტების გამოსყიდვა, რომლებშიც ცხოვრობენ დევნილები, მაგრამ ჰყავს კერძო მესაკუთრე
- ✓ დროებითი საცხოვრებლების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

- ✓ 2016 წლის 1-ლ იანვრამდე იპოთეკური სესხით დატვირთული ბინების გამოსყიდვის პროექტი.

დევნილთა სამინისტროს მიერ პროგრამის მთავარ პრობლემად ფინანსების არასაკმარისობა სახელდება. ჩვენ დავინტერესდით, რას უდრის დევნილთა მიმართ არსებული სხვადასხვა პროგრამის ყოველწილიური ბიუჯეტი და რამდენად ეფექტურად იხარჯება ის.

დევნილთა სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში 273 944 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს (*იხ. დიაგრამა 1*), რაც 88 542 ოჯახს შეადგენს. მათი 90 % ე.წ ძველი ტალღის დევნილია. (*იხ.ცხრილი 3*) იძულებით გადაადგილებულთა თითქმის ნახევარი (48.7%) კოლექტიურ დასახლებებში ცხოვრობს. (*იხ.ცხრილი 4*) დევნილთა ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს თბილისში და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (*იხ.ცხრილი 5: ცხრილი 6*) (*იხ. რუკა 1*)

2008 – 2016 წლებში გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ იქნა 35 475 დევნილი ოჯახი, (*იხ. ცხრილი 7; ცხრილი 8*) კიდევ 5387 ოჯახს ანაზღაურება მიღებული აქვს საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ. აღნიშნული 5387 ოჯახიდან ფულადი კომპენსაცია სახელმწიფოსგან 2009-2010 წლებში მიიღო 1932-მა ოჯახმა, დარჩენილი 3455 ოჯახი დაკმაყოფილებულ იქნა სხვადასხვა ინვესტორების მიერ. სამინისტროს ინფორმაციით, შესაძლოა ფულადი კომპენსაცია არ ასახულიყო საცხოვრებლით უზრუნველყოფაში ანუ დევნილებს სახელმწიფოსგან აღებული ერთჯერადი ფულადი კომპენსაციით არ ჰქონდეთ საცხოვრებელი შეძენილი. ამავდროულად სამინისტროს ინფორმაციით, იმ დევნილების 15%-მა , რომელსაც სახელმწიფომ ბინა გადასცა გაყიდა ის, ხოლო 12%-მა იპოთეკით დატვირთა და მის ნაცვლად სხვა არ შეუძენია. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო, 2017) (დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი)

2013 წლამდე რეაბილიტირებულ და ახალშენებულ შენობებში დევნილთა განსახლების პროგრამას მთლიანად ახორციელებდა სსიპ „ მუნიციპალური განვითარების ფონდი“, (იხ. ცხრილი 9) რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას, ხელი შეუწყოს ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზების შექმნას. ფონდის დამფინანსებლებს საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ. 2013 წლიდან პროგრამის განხორციელების ფინანსურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოსაც ეკისრება, შესაბამისად აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია სახელმწიფოსა და დევნილთა სამინისტროს ბიუჯეტში. 2013-2016 წლებში თანხა პროგრამის განხორციელებაზე გაიღო როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდმა , ისე სახელმწიფომ.

2008 – 2016 წლებში დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად მშენებლობა- რეაბილიტაციაზე დახარჯული თანხა ორ ნაწილად უნდა გაიყოს : მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაღებული თანხა და სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხა. 2008-2015 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდმა საბოლოო ჯამში სამინისტროს ინფორმაციით აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე 244 611 984 ლარი დახარჯა. ყველაზე მეტი 2011 წელს - 74 109 842 ლარი, ხოლო ყველაზე ნაკლები 2012 წელს- 3 135 319 ლარი. ზოგადი ტენდენციის მიხედვით, მას შემდეგ რაც სახელმწიფო პროგრამის დამფინანსებლად გამოჩნდა, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაწეული

დანახარჯი შემცირდა 3-4 - ჯერ, ხოლო 2016 წლიდან პროგრამის განხორციელებაზე მთლიანი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება. 2013 წლიდან სახელმწიფო მუდმივად ზრდის დევილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის თანხას, ეს ზრდა განსაკუთრებით დიდი იყო 2015-2016 წლებში, ვინაიდან სახელმწიფო იქცა პროექტის ერთადერთ დამფინანსებლად, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროგრამის განხორციელებისთვის ყველაზე მეტი თანხა 57 842 963 ლარი დაიხარჯა 2016 წელს, ჯამში 2013-2016 წლებში სახელმწიფოს დანახარჯი შეადგენს 121 313 610 ლარს და მუნიციპალური განვითარების ფონდის დანახარჯზე ორჯერ ნაკლებია. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2016)

მუნიციპალური ფონდის ინფორმაციით ამავე ფონდის დანახარჯი დევილთა ოჯახების გრძელვადიანი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები წლების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება სამინისტროს ინფორმაციისგან. მუნიციპალური განვითარების ფონდის ცნობით , რომელიც მან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს მიაწოდა ნათქვამია , რომ 2009 – 2016 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის დანახარჯი შეადგენდა არა 244 611 984 ლარს, არამედ თითქმის ორჯერ მეტ თანხას - 472,732,420 ლარს. ამავე დოკუმენტში დეტალურადაა ასახული თუ რომელი ორგანიზაციები იყვნენ მუნიციპალური განვითარების ფონდის მთავარი დონორები აღნიშნული პროგრამის განხორციელებისას და როგორი იყო თითოეული მათგანის წვლილი. 2009 წელს ფონდს აღნიშნულ პროგრამაში 2 დამფინანსებელი ჰყავდა : 1. ევროკავშირი და 2. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი, სწორედ ამ ორი ორგანიზაციის როლია უდიდესი 2008 წლის ომის შედეგად დევნილი

ადამიანების საცხოვრებლით უზრუნველყოფაში. ორივე ორგანიზაციის დანახარჯი ჯამში შეადგენდა 78 928 89 ლარს , მისი თითქმის 98% ევროკავშირზე მოდიოდა. მუნიციპალური განვითარების ფონდის მონაწილეობის პერიოდში ერთადერთი წელი, როდესაც თანადამფინანსებელი არ იყო ევროკავშირი 2016 წელი იყო. 2010 წლიდან მათ შეუერთდა მსოფლიო ბანკი გადაუდებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტის ფარგლებში. მსოფლიო ბანკი აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 2010-2012 წლებში და სამი საანგარიშო წლის განმავლობაში სულ დახარჯა 8 254 940 ლარი. 2011 წლიდან მუნიციპალური განვითარების ფონდს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების პროგრამაში გამოუჩნდა ახალი დამფინანსებელი - USAID, რომელმაც 2011-2016 წლებში მთლიანობაში პროგრამის განხორციელებისათვის ყველაზე მასშტაბური ინვესტიცია - 231 412 500 ლარი ჩადო. (თუშურაშვილი & (IDFI), 2017)²

2008-2016 წლებში როგორც სახელმწიფოს ისე მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში ბინა მიიღო 18 654-მა დევნილმა, (*იხ.ცხრილი 10*) (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2016) მათი უმეტესობა ბუნებრივია დაკმაყოფილდა 2009 წელს და ეს დაკავშირებულია ისევ და ისევ 2008 წლის ომში დაზარალებული იძულებით გადაადგილებული პირებისთვის აშენებულ საცხოვრებლებთან, შესაბამისად პროგრამის მუშაობაზე საუბარი უფრო უპრიანი იქნება თუ ათვლას დავიწყებთ 2013 წლიდან, როდესაც პროგრამის ოფიციალური სამოქმედო გეგმა იქნა შემუშავებული. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით

² მონაცემები ეყრდნობა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ IDFI-სთვის მიწოდებულ ინფორმაციას

საქართველოს 5 ქალაქში განხორციელდა კორპუსების მშენებლობა, მათ შორის არ არის თბილისი, ვინაიდან აქ ბინები დევნილებს ე.წ „ჰუალინგის კორპუსებში“ გადაეცათ. აღნიშნულ 5 ქალაქში, სულ აშენდა 30 კორპუსი, მათგან 16 აშენებულია ზუგდიდში. ამავე ქალაქებში ახალაშენებულ კორპუსებში ბინები გადაეცა 2124 ოჯახს და მთლიანობაში დაიხარჯა 5 424 081 ლარი. რაც შეეხება რეაბილიტაციას, 2013-2017 წლებში მოხდა 25 კორპუსის რეაბილიტირება, რაზეც მთლიანად დახარჯულია 26 784 842 ლარი.³ (იხ. ცხრილი 11; იხ.ცხრილი 15) ყოველ წელს თანხის ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა იმ დევნილ ოჯახთა რიცხვი, რომლებმაც ფართი მიიღეს ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში. ყველაზე ნაკლები ასეთი ოჯახების რიცხვი 2014 წელს იყო, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა სწორედ 2014 წელს იყო მაქსიმალური 98 მილიონ ლარზე მეტი, ამავდროულად თანადადფინანსებლად უკვე გვევლინებოდა სახელმწიფოც, რომელმაც 2014 წელს თითქმის 21 მილიონი ლარი გამოყო დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამისთვის. საბოლოო ჯამში ეს იყო თითქმის 120 მილიონიანი დაფინანსება. ფართი ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში 2014 წელს 758-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო. თუმცა ამავე წელს გაიზარდა პროგრამის სხვა მიმართულებების განხორციელება.

გარდა მსგავსი მშენებლობებისა, სახელმწიფომ 2013-2017 წლებში გამოისყიდა ბინები კერძო მენაშენებლისგან, ასეთს წარმოადგენს „ჰუალინგ ჯგუფიც“. 2013-2017 წლებში საქართველოს 4 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, მარნეული) მენაშენებლისგან გამოსყიდულ იქნა 1530 ბინა, რომლისთვისაც დაიხარჯა 57 819 789 ლარი, ხოლო ჩინური კომპანია „

³ მონაცემები ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა , განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 17.06.2018-ში გამოგზავნილ წერილს N 04/07/14335

Hualing Group”- სგან 2013-2017 წლებში გამოსყიდულ იქნა 629 ბინა, რისთვისაც სახელმწიფომ ჯამში გაიღო 44 495 148 ლარი. ⁴მათ შორისაა 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში აშენებული ე.წ ოლიმპიური სოფლის ბინები. (იხ. ცხრილი 12)

„სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, დევნილი ოჯახი თავად არჩევს კერძო სახლს მიწის ნაკვეთით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. თუ აღნიშნული საცხოვრებელი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს სამინისტრო სახლს შეისყიდის. იმისათვის, რომ კომისიამ დევნილი ოჯახის განცხადება განიხილოს აუცილებელია მათ უკვე მინიჭებული ჰქონდეთ 3.5 ქულა, აღსანიშნავია, რომ პროექტებს შორის ეს ყველაზე ნაკლებქულიანია, როგორც სამინისტროში გვითხრეს ის საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამჟამად 12 ათასამდე ოჯახს აქვს გაკეთებული განაცხადი. (სიგუა, 2018) ამ პროექტით 2013 წლიდან დღემდე ისარგებლა 1910-მა ოჯახმა, რომელთაგან ყველაზე მეტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდანაა.⁵ აღნიშნული პროგრამის დაფინანსება 17000-დან იწყება და თითო ოჯახის წევრზე 3000 ლარით იმატებს, რაც საკმაოდ მწირი დაფინანსებაა. (იხ. ცხრილი 13)

დევნილთა სამინისტრომ შესაძლებელია საცხოვრებლის შეძენაში მონაწილეობა მიიღოს თანადაფინანსების სახით. პროცედურულად, საწყის ეტაპზე ხდება განაცხადის დაკმაყოფილება, ხოლო შემდგომ დევნილი ოჯახს ეძლევა 3 თვიანი ვადა სახლის შესარჩევად. მანამ სანამ სახელმწიფო გამოყოფს შესაბამის თანხას, დევნილთა სამინისტრო ატარებს აუდიტორულ შეფასებას საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, საჭიროების

⁴ მონაცემები ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 17.06.2018-ში გამოგზავნილ წერილს

⁵ მონაცემები ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 17.06.2018-ში გამოგზავნილ წერილს N 04/07/14335

შემთხვევაში კი ატარებს შესაბამის ექსპერტიზას ფართის უსაფრთხოების და ტექნიკური მდგრადობის შესამოწმებლად. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, თ. გ.)

სამინისტროსთან არსებული საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, USAID-თან ერთად , იმ დევნილ ოჯახებს, რომლებსაც უკვე გადაეცათ სახლი „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, გრანტებს გადასცემს სასათბურე მეურნეობის დასაწყებად და გასავითარებლად. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტი 200 ათასი ლარია, თითოეულ დევნილ ოჯახზე კი ასეთი სახით გაცემული გრანტის მოცულობა 10 ათასი ლარი იქნება. (საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, 2018)

სამინისტროს წარმომადგენლის თქმით აღნიშნული პროექტის მთავარი მიზანია, რომ დევნილებს საცხოვრებელი ფართის გარდა დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდეთ იმ მიწის ნაკვეთების სახით, რომლის შეძენაც ხდება სახლთან ერთად. გარდა ამისა, ეს პროექტი საინტერესოა განსახლების მიმართულებითაც, რადგან აქცენტს აკეთებს სასოფლო დასახლების უპირატესობაზე. (აბლოთია, 2018)

2013 -2017 წლებში ინდივიდუალური სახლების შეძენის პროგრამის ფარგლებში სულ გაწეულია 37 923 463 ლარის ხარჯი, რომელის ფარგლებში შეძენილ იქნა 1910 სახლი. მათი უმეტესობა შეძენილ იქნა 2016 წელს - 707 სახლი, რომელზედაც დაიხარჯა 14 083 618 ლარი. ⁶ სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წელს ეს დანახარჯი 20 მილიონამდე გაიზრდება, რაც განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული უპირატესობის მინიჭება მოხდეს „სოფლად სახლის“ პროექტისათვის.

⁶ მონაცემები ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა , განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 17.06.2018-ში გამოგზავნილ წერილს N 04/07/14335

(საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2016)

კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც სამინისტრო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახორციელებს არის იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - კერძო საკუთრებაში არსებული დევნილთა ჩასახლების ობიექტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან, რომელიც 2013 წლიდან დაიწყო. ეს არის კომპაქტურად განსახლების ობიექტებში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემის პროცესი. ამავე პროექტის პარალელურად დაიწყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კოლექტიური ცენტრების დევნილი ოჯახებისათვის საკუთრებაში გადაცემაც. აღნიშნული პროცესი 2016 წელს დასრულდა. (აბლოთია, 2018)

ზემოთაღნიშნული პროექტის ფარგლებში ხდებოდა დევნილთა იმ განსახლების ობიექტების შეძენა, რომლებიც წარმოადგენდნენ კერძო საკუთრებას, საცხოვრებელი პირობები აკმაყოფილებდა მინიმალურ სტანდარტებს და დევნილებს ჰქონდათ სურვილი ამ ობიექტებში მიეღოთ ბინა საკუთრებაში და გაეგრძელებინათ იქ ცხოვრება. აღნიშნულ პროექტში მოხვდა ჩვენი ერთ-ერთი საკვლევი ზონა, ჭავჭავაძის გამზირზე ნომერ 37-ში არსებული საცხოვრებელი, რომელიც საკუთრებაში იქ მცხოვრებ ადამიანებს 2013 წელს გადაეცათ. ახლა ობიექტში 105 ოჯახი ცხოვრობს. აღნიშნული ობიექტი გამოსყიდულ იქნა სს „ბაზისბანკისგან“. 3680.56 კვ/მ ფართისთვის სახელმწიფოს მხრიდან გადახდილ იქნა 1 104 168 აშშ დოლარი, საშუალოდ 1 კვ/მ-ზე 300\$. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2013) მთლიანობაში, საქართველოს მასშტაბით, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთა ოჯახებისათვის კერძო საკუთრებაში არსებული

დევნილთა ჩასახლების ობიექტების გამოსყიდვის პროექტის ფარგლებში 2013-2016 წლებში დაიხარჯა 18 470 109 ლარი, რითაც შესაძლებელი გახდა 1108 ოჯახისთვის მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა. ყველაზე აქტიურად ეს პროექტი 2014 წელს განხორციელდა, როდესაც 459 ოჯახს გადაეცა დროებითი საცხოვრებელი საკუთრებაში და დაიხარჯა 3 635 234 ლარი. თუმცა 2014 წელს გაწეულ დანახარჯზე მეტი დაიხარჯა 2015-2016 წლებში, თუმცა გამოსყიდულ იქნა თითქმის 2-3-ჯერ ნაკლები რაოდენობის საცხოვრებელი ბინა, იგივე მოხდა 2013 წელსაც, (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2016) რის მიზეზიცაა ის, რომ 2013 წელს ობიექტების გამოსყიდვა მოხდა თბილისში, სადაც საბაზრო ფასი უფრო მაღალია რეგიონებთან შედარებით, ხოლო 2015-2016 წლებში გაზრდილი თანხის ოდენობა ლარებში განპირობებულია ლარის გაუფასურებით, ვინაიდან 1 კვ/მ ფართის გამოსყიდვა მიმდინარეობს დოლარში, ხოლო დოლარის ღირებულება სწორედ ამ წლებში ლართან მიმართებით სწორედ ამ წლებში გაიზარდა, თუ 2013 წელს 1 ამერიკული დოლარის ღირებულების მაქსიმალური ნიშნული ლართან მიმართებით იყო 1.73 ლარი, 2016 წლის მაქსიმალური მაჩვენებელი იყო 2.78 ლარი ანუ ლარი თითქმის 60%-ით გაუფასურდა. (საქართველოს ეროვნული ბანკი, თ. გ.)

გარდა ამისა 2015-2017 წლებში სამინისტროს განმარტებით 166 ოჯახს ნაწილობრივ ან მთლიანად დაეფარა იპოთეკური სესხი. ქვეყანამ აღნიშნული პროექტისთვის 4 957 597 ლარი დახარჯა. ლარის კურსმა ამ პროექტზეც იმოქმედა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, რომ მაქსიმალური თანხა, რომელის მიღებაც ოჯახს შეუძლია არის 20000 ლარი ან მისი ექვივალენტი უცხოურ ვალუტაში. იმ ოჯახებისთვის კი რომლებსაც იპოთეკური სესხი დოლარში აქვთ ზემოთაღნიშნული უარყოფითი

მოვლენაა. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო, 2017) (იხ. ცხრილი 16)

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე გაწეული ანალიზის მიხედვით თუ მთლიანობაში დავაჯამებთ ხარჯს აღმოჩნდება, რომ 2008-2016 წლებში დახარჯულია თითქმის 670 მლნ ლარი, ხოლო ამ თანხიდან 70%-ზე ოდნავ მეტი, რაც მთლიანობაში შეადგენს 470 მილიონამდე ლარს გაღებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ.

2016 წლის 1 დეკემბრისთვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 35 475 ოჯახი, ხოლო საცხოვრებლით დაკმაყოფილებას ჯერაც ელოდება 52 ათასზე მეტი ოჯახი. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით მათგან 31 ათასამდე ოჯახს არ გააჩნია არავითარი ალტერნატიული საცხოვრებელი და ცხოვრობს უკიდურესად ცუდ , ხშირად ავარიულ პირობებში. (აბლოთია, 2018) საცხოვრებლის მოლოდინში ყველაზე მეტი ოჯახი თბილისშია. საშუალოდ, ყოველწლიურად 1500-1600 ოჯახის უზრუნველყოფა ხდება. ამ ტემპით და ამავე დაფინანსებით პროცესი შესაძლოა ძალიან გაიწელოს. სამინისტროს მიახლოებითი გათვლებით ოჯახების უზრუნველსაყოფად 1.5 მილიარდი ლარია საჭირო, თუ სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურ საშუალო დაფინანსებას ავიღებთ , ის დაახლოებით 80 მილიონამდე ლარია. ყველაზე მარტივი გათვლებით, საშუალოდ ამავე დაფინანსებით უკეთეს შემთხვევაში პროგრამის განხორციელებას თითქმის 19 წელი დასჭირდება ანუ დევნილების დიდ ნაწილს კიდევ წლები მოუწევს ლოდინი. თავისთავად დადებითად არის შესაფასებელი სახელმწიფოს ძალისხმევა, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ძალისხმევა პროგრამის ეფექტურად წარმართვისთვის საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებითი სახსრების მოძიება როგორც

საერთაშორისო ისე ადგილობრივი დონორების მხრიდან და სახელმწიფო ბიუჯეტშიც მეტად დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მეტად გათვალისწინება.

დღესდღეობით, ახალ დევნილთა 90% დაკმაყოფილებულია საცხოვრებლით, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2008 წლის ომის შემდგომ საერთაშორისო დონორების ჩარევით მაქსიმალურად ოპერატიულად მოხდა დევნილთა განსახლება. გრძელვადიანი განსახლების პროგრამის მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ე.წ ძველ დევნილებს შორის. გარადა ამისა ახალი დევნილების განსახლება ორგანიზებული იყო სახელმწიფოს მიერ, მაშინ როდესაც ძველი დევნილების განსახლების პროცესი იყო ქაოტური და იძულებით გადაადგილებული პირები თვითონ ცდილობდნენ თავშესაფრის მოძიებას. ხშირად ეს პროცესი არ მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ამჟამად , დევნილთა თითქმის ნახევარი ცხოვრობს კოლექტიურ ცენტრებში. (დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი)

არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა- IDFI-მ საკმაოდ საინტერესო კვლევა აწარმოა, რის შედეგადაც დადო დასკვნა, რომ 2008 წლიდან დღემდე შესაძლებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მოძიება , რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას. ამ ანალიზის მიხედვით 2008 წლის აგვისტოდან 2016 წლამდე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიებისა და დანამატების სახით გაცემულია გაცილებით მეტი თანხა ვიდრე 1.5 მლრდ ლარია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით კი 2011-2016 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ სამტატო თანამშრომლებზე პრემიების და დანამატის სახით გაცემულია 1.7 მლრდ ლარზე მეტი. 2011 წლამდე პერიოდის მონაცემები არ არსებობს, მაგრამ თუ

ჩავთვლით რომ ტენდენცია იმავე იყო აღმოჩნდება, რომ თუ სახელმწიფო გასცემდა 50%-ით ნაკლებ პრემიას დღეს ყველა დევნილ ოჯახს ექნებოდა გრძელვადიანი საცხოვრებელი. (თუმურაშვილი & (IDFI), 2017)

სამინისტროსთვის დამატებითი ფინანსების მოძიების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი. აღნიშნული ფონდი გათვლილია ისეთი გადასახდელების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელია ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ობიექტური მიზეზების გამო, გარდა ამისა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე (საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მუხლი 1, პუნქტი 3 -ე). მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაიცა 595 მლნ ლარზე მეტი, მათგან ყველაზე მეტი 172 მლნ ლარი გაიცა მხოლოდ 2016 წელს. ყველაზე მეტი თანხა სარეზერვო ფონდიდან გაიცა გაუთვალისწინებელ ხარჯებზე - ჯამში 26% და ეს სრულებით ნორმალურია, ვინაიდან სარეზერვო ფონდი სწორედ ამისთვის არსებობს. იგივე 26 % ერგო ღონისძიებებს, 9% სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირებისთვის დაიხარჯა. სოციალურ დანახარჯებზე კი სულ რაღაც 7% გაიცა. სოციალურ კატეგორიაში შეგვიძლია მოვიაზროთ სხვადასხვა სახის სუბსიდიები და დახმარებები ოჯახებისთვის, მათ შორის დევნილი ოჯახებისთვისაც. ყველაზე საინტერესო ღონისძიებების ნაწილის განხილვაა. მონაცემების მიხედვით ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის (მთლიანობაში 2013-2017 წლებში 155 მლნ ლარამდე) 33% დაიხარჯა სასოფლო სამეურნეო ღონისძიებაზე (მათ შორის უდიდესია რთველი - 48 მლნ), მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი დანახარჯი მოდის სპორტულ ღონისძიებებზე , რომლისთვისაც 32 მილიონი ლარი დაიხარჯა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. რამდენიმე სახელმწიფო უწყება ყოველწლიურად

ითხოვდა თანხას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, მათ შორის გამოირჩევა სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო (100 მლნ-ზე მეტი), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (40 მლნ. ლარი), საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (40 მლნ. ლარი). (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017) აღნიშნული პრობლემა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე დაშვებულ შეცდომებთან, მეორე უმთავრეს პრობლემას კი წარმოადგენს შესაძლო არამიზნობრივი დანახარჯები. აქვე აღსანიშნავია, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების მომთხოვნ სახელმწიფო უწყებებს შორის არ არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. მიუხედავად იმისა რომ ამ სამინისტროს შეუძლია მოითხოვოს თანხა . თუ საერთაშორისო პრაქტიკას გადავხედავთ სამთავრობო და სხვა სახის სარეზერვო ფონდები ძირითადად ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს გამოიყენება, თუმცა შესაძლოა გამოიყენებულ იქნეს არაფორს-მაჟორულ სიტუაციაშიც, თუ დადასტურდება რომ დაფინანსება გადაუდებელი აუცილებლობითაა გამოწვეული, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან სახელმწიფო ინტერესებს. (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2016) . აღნიშნული პირდაპირ შეესაბამება მთელი რიგ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ მდგომარეობას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით ძველ კომპაქტურ დასახლებებში) სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ცხოვრობენ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კი ნამდვილად გამოიყოფა თანხები არამხოლოდ გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, არამედ ისეთი ხარჯებისთვის რომელთა წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელი იყო. მაგ: იმ ღონისძიებების უმეტესობა , რომელზედაც თანხა გამოიყო საქართველოს მთავრობის

სარეზერვო ფონდიდან, ატარებს ყოველწლიურ ხასიათს და არ უკავშირდება რაიმე ტიპის გაუთვალისწინებელ შემთხვევას. თუმცა ვუბრუნდებით ისევ იმ მოცემულობას რომ კანონი არ აკონტროლებს ასეთი სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებულ შესყიდვებს და უწყებები არც არიან ვალდებული გამოაქვეყნონ შესყიდვების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად არსებობს თანხის არაეფექტურად განკარგვის მაღალი რისკი.

დევნილთა, როგორც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის სხვა ტიპის შემწეობები და მათი დაფინანსება

გრძელვადიანი განსახლება ხშირად არ წარმოადგენს დევნილთა ყველა პრობლემის გადაწყვეტის გზას. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სხვა ტიპის დახმარებების აღმოჩენა, რომელიც ხელს შეუწყობს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას და ადგილობრივ სრულყოფილ ინტეგრაციას.

დევნილთა დახმარებებს შორის უპირველესია ის ყოველთვიური შემწეობა, რომელსაც სახელმწიფო გასცემს. დღეს მოქმედი კანონით 45 ლარიან დახმარებას ის დევნილები იღებენ , რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 1250 ლარს არ აღემატება. (იხ. ცხრილი 17; დიაგრამა2) მთავარი ცვლილება კანონში 2014 წელს შევიდა, როდესაც დევნილის ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა 45 ლარამდე, თუმცა აქვე კანონში ჩაიწერა რომ გაუქმდა დევნილთა კომპაქტური და კერძო დასახლების ობიექტის ცნება და ყველა დევნილი მიიღებდა თანაბარი ოდენობის შემწეობას. შედეგად კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები დევნილები დარჩნენ სხვადასხვა ტიპის დახმარებების , მათ შორის კომუნალურ გადასახადში შეღავათიანი პირობების გარეშე. აქვე ჩაიწერა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირს არ

შეუჩერდებოდა დევნილის დახმარება ისეთ შემთხვევებში თუ დევნილი საქართველოს საზღვრებს გარეთ ორ თვეზე მეტს გაატარებდა, მხოლოდ ეს გასვლა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სამსახურებრივ მივლინებასთან, სწავლასთან ან სამედიცინო მომსახურების მიღების აუცილებლობასთან. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო, 2017) აქვე აღსანიშნავია, რომ დევნილთა ყოველთვიური შემწეობა ამ ადამიანების იძულებით გადაადგილების შემდეგ სხვადასხვა ტიპის ბენეფიციარებისთვის გაიზარდა 4-5-ჯერ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დევნილები ახლა მეტად უზრუნველყოფილნი არიან. თუ წინა წლების ზრდის ტენდენციებს შევადარებთ შევამჩნევთ, რომ პირველ 12 წელიწადში დევნილის შემწეობა ემთხვეოდა იმჟამინდელი საბაზისო ასაკობრივი პენსიის ოდენობას და განისაზღვრებოდა ჯერ 11.8 ლარით, ხოლო მოგვიანებით 14 ლარით. 2016 წლისთვის პენსია 4-ჯერ აღემატება დევნილის შემწეობას. ამავე პერიოდში ქვეყანაში თითქმის ორჯერ გაიზარდა საარსებო მინიმუმი და ის რამდენჯერმე აღემატება დევნილის შემწეობის ოდენობას. 2016 წლის მონაცემებით სამინისტროს ინფორმაციით, რეგისტრირებულ დევნილთა 83 % იღებდა დევნილის 45 ლარიან შემწეობას და 11 % იყო მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარი, ხოლო იმ დევნილების რაოდენობა, რომელთაც 1250 ლარიანი ან მეტი შემოსავლის გამო შეუწყდათ დევნილის დახმარება 2016 წლისთვის იყო 9213 იძულებით გადაადგილებული პირი ანუ დევნილთა სულ რაღაც 3.4%. (დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი).⁷ (იხ. ცხრილი 21; ცხრილი 22) ჯამში წელიწადში ცენტრალური ბიუჯეტიდან სამინისტროს ინფორმაციით

⁷ სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულებზე:
<http://netgazeti.ge/life/170867/>
<http://factcheck.ge/article/sheutsqhdaba-thu-ara-devnilebis-did-natsils-kuthvnili-45-lariani-dakhmareba/>

დევილთა დახმარებაზე იხარჯება 140 მლნ, მათგან 121 მლნ მხოლოდ აღნიშნულ ყოველთვიურ შემწეობაზე. ამ თანხის უდიდესი ნაწილი - 121 მლნ. ლარი მოდის უშუალოდ აღნიშნული 45 ლარიანი შემწეობით უზრუნველყოფაზე. გრძელვადიანი განსახლების პროგრამისთვის გაღებული ყოველწლიური დანახარჯი ამ თანხაზე თითქმის 2.5-ჯერ ნაკლებია. (იხ. დიაგრამა 3) იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში საარსებო მინიმუმად მიჩნეულია 160 ლარი და სხვადასხვა წყაროდან ჩანს, რომ უმუშევრობის დონე დევნილებში უფრო მაღალია. (დევილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი). 45 ლარიანი შემწეობა არ არის საჭიროებებზე სათანადოდ მორგებული თანხის ოდენობა. თვითდასაქმებულ დევნილთა პროცენტული მაჩვენებელი არადევნილთა იმავე ტიპის პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით დაბალია, ხოლო იმ დევნილთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დამოკიდებულნი არიან პენსიასა და დახმარებებზე, ასევე საზღვარგარეთიდან ფულად გზავნილებზე გაცილებით უფრო მაღალია არადევნილი მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ისედაც თვითდასაქმებულია ძირითადად სასოფლო გარემოში. სამინისტროს ინფორმაციით ამჟამად დევნილთა 73%-ს დარეგისტრირებული აქვს საცხოვრებელი საკუთრებაში, არადევნილ მოსახლეობაში კი ეს მაჩვენებელი 95%-ია. (დევილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი)

2017 წელს დაიწყო დევნილთა შემწეობების ალტერნატიულ პროექტზე საუბარი. (იხ. ცხრილი 18; ცხრილი 19) (იხ. ცხრილი 20), ამ ალტერნატივის ერთ-ერთი პუნქტი კი ითვალისწინებს 1250 ლარიანი ზღვრის დაწევას. ახალი ზღვარი უკვე განისაზღვრებოდა საარსებო მინიმუმით (162 ლარი), საშუალო თვიური შემოსავლითა, საშუალო ხელფასის ოდენობისა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით. (დევილის

შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი) სამინისტრო აპელირებს იმ თემით, რომ დევნილთა შემწეობის არსებული პოლიტიკით ვერ ხდება დევნილთა განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება და დევნილები არ არიან დიფერენცირებული მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ანუ სამინისტრო ხაზს უსვამს იმას, რომ დევნილის 45 ლარიანი შემწეობა ყველასთვის ერთნაირად საჭირო არ არის, შესაბამისად ამავე დამოკიდებულებით შეიძლება სახელმწიფომ ჩათვალოს რომ ვიღაც საერთოდ არ საჭიროებს აღნიშნულ 45 ლარიან შემწეობას. აღნიშნული კანონის სამუშაო ვერსიაში აღნიშნულია, რომ დევნილთა შემწეობა , ისევე როგორც ყველა ტიპის დახმარება, ბენეფიციარებს დამოკიდებულს ხდის ამ დახმარებებზე, რაც მათ ხელს უშლის სიღარიბის დაძლევაში. სახელმწიფოს მხრიდან რწმენა იმისა, რომ 45 ლარიანი შემწეობა, რომელიც ზოგჯერ ერთადერთ ფულად შემოსავალს წარმოადგენს დევნილი ოჯახისთვის , შეიძლება ჩაითვალოს სიღარიბის დაძლევის ბარიერად თავისთავად არის ამ მოწყვლადი ჯგუფის მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულების მანიშნებელი.

თავისთავად ხარვეზი აქვს ახლა არსებულ პოლიტიკასაც. მაგალითად კანონში არაფერი არ წერია რეგულარული შემოსავლის შესახებ. ანუ არსებული 1250 ლარი არ იანგარიშება ყოველთვიური საშუალო შემოსავლით ან ხელფასით. ასეთი რამ კი ბადებს შესაძლებლობას , რომ თუ კი დევნილის შემოსავალი თუნდაც ერთჯერადად გადააჭარბებს 1250 ლარს ის კარგავს 45 ლარიან დახმარებას და აღუდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი მომდევნო თვეს საპირისპირო დამტკიცდება. იმისათვის, რომ არ იყოს მსგავსი ბიუროკრატია და ადამიანს არ დაეკარგოს თვეები სახელმწიფოს უბრალოდ შეუძლია კანონის აამოქმედოს მხოლოდ იმ ადამიანებზე ვისაც საშუალო ყოველთვიური ხელფასი აქვთ 1250 ლარზე მეტი, თუმცა ცხადია ამ შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტიანობა შედარებით დაბალი იქნება. გარდა

ამისა კანონი საუბრობს არა დევნილ ოჯახზე , არამედ უშუალოდ დევნილზე, რის გამოც თეორიულად შესაძლებელია დევნილი ოჯახის ერთ წევრს ჰქონდეს მოცემულ თვეს 1250 ლარიანი შემოსავალი და ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ის დაკარგავს დევნილის სახელმწიფო შემწეობას. ასეთ დროს შეიძლება დაფიქსირდეს შემთხვევები, როცა მრავალსულიან ოჯახში 1-ს აღმოაჩნდება ერთჯერადი 1250 ლარიანი შემოსავალი და ის მართალია დროებით , მაგრამ მაინც დაკარგავს შემწეობას, ხოლო მეორე მხრივ შეიძლება არსებობდნენ დევნილი ოჯახები, რომელთა თითოეულ წევრს აქვს 1250 ლარზე ოდნავ ნაკლები შემოსავალი, მაგრამ ყველა მათგანმა შეინარჩუნოს დევნილის შემწეობა. თუმცა საშიშროება იმის, რომ უკიდურესად ღარიბი დევნილი დევნილთა შემწეობის გარეშე ხანგრძლივად დარჩეს არის ძალიან დაბალი.

რაც შეეხება სხვა ტიპის სოციალურ დახმარებასთან გადაკვეთას, მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემაში დევნილებსაც ეძლევათ ისეთივე შეღავათიანი პირობები ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, როგორც იმ სოციალურად დაუცველ ადამიანებს , რომელთა სარეიტინგო ქულა 70000-ზე დაბალია. დევნილს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ორი შესაძლო ფულადი დახმარებიდან ერთ-ერთი. (დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი) . 2016 წლის მდგომარეობით სოციალურ დახმარებას 31 981 (დევნილთა 11%) დევნილი იღებს, ხოლო შეფასებულია 74 107 დევნილი, (დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი) რაც მიუთითებს იმაზე, რომ დევნილები სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის შესაძლოა დევნილის სტატუსის დაკარგვის შიშით ან სოციალური დახმარების შედარებით არასაიმედოობით, უპირატესობას ანიჭებენ დევნილის ყოველთვიურ შემწეობას. აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების მიმღები დევნილების 97 % - ის სარეიტინგო ქულა არის 57000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ანუ არის

უკიდურესად ღარიბი. ამავე პროგრამით მათ მაქსიმუმ 60 ლარის მიღების შესაძლებლობა აქვთ. დღესდღეობით სოციალურ დახმარებას უფრო მეტად ე.წ ახალი ტალღის დევნილები იღებენ, რომელთა მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ ისინი იძულებით გადაადგილებისთანავე ავტომატურად აღმოჩნდნენ მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციართა რიგებში. რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილებს, ისინი მიზნობრივ სოციალურ დახმარებას ვერ იღებენ .

არსებული კანონპროექტით კი, რომელიც განიხილება ალტერნატივად მოხდება 1250 ლარიანი ზღვრის დაწევა და ის გახდება სტატუსზე მორგებული, ანუ გარკვეული ყოველთვიური შემოსავლის მქონე დევნილები შემწეობას ვეღარ მიიღებენ. (დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი) ახალ ალტერნატივაში განიხილება ოჯახზე განვრცობის იდეაც, ანუ თუ ერთ-ერთ მათგანს ზღვრულ თანხაზე მეტი დაუფიქსირდება არამარტო დევნილი, არამედ მთელი ოჯახი დაკარგავს შემწეობას. თუ ეს უკანასკნელი ამოქმედდება , მაშინ აღნიშნული რეფორმა შეეხება დაახლოებით 60000 დევნილს, ხოლო სახელმწიფოს მოსალოდნელი წლიური დანაზოგი იქნება 33 მლნ ლარი. შორეულ პერსპექტივაში კი განიხილება ყველა დევნილის მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე გადაყვანა, თუმცა ბუნებრივია სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც დაზოგავს თანხას, ვინაიდან ყველა დევნილის , როგორც სოციალურად დაუცველის შეფასება ვერ მოხდება. ალტერნატივებს შორისაა განსახლებული დევნილებისთვის დევნილის შემწეობის მოხსნის შესაძლო ვარიანტიც, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიანი განსახლება არ ნიშნავს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. ეს უკანასკნელი ახლა რომ ამოქმედდეს გვექნება შემდეგი შედეგი: ამჟამად განსახლებულია 35500-მდე დევნილი ოჯახი ანუ დაახლოებით 101 000- ზე მეტი დევნილი. მათი

შემწეობითვის ყოველწლიურად ახლა იხარჯება დაახლოებით 43 მლნ ლარი. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო, 2017) რათქმაუნდა მათი ნაწილი სოციალურად დაუცველია და იღებს სოციალურ დახმარებას, ასეთი განსახლებული დევნილების რაოდენობა არის 12800-ზე ოდნავ მეტი, (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო, 2017) ისინი სოციალურ დახმარებას ავტომატურად შეინარჩუნებენ, მაგრამ განსახლებულ, თუმცა არა-სოციალურად დაუცველი დევნილებისთვის შემწეობის შეწყვეტით სახელმწიფო შეძლებს 30 მლნ-ზე მეტი თანხის ეკონომიას. ალტერნატივებს შორისაა „დევნილების თაობებად“ დაყოფაც ანუ ასეთ შემთხვევაში დევნილის შემწეობას მიიღებენ მხოლოდ აფხაზეთში დაბადებული დევნილები, რაც ნიშნავს იმას, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ავტომატურად ყველა დევნილი დაკარგავს შემწეობას.

აღნიშნული რეფორმების მიმართ საზოგადოების და სხვადასხვა უწყების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მაგალითად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით ყოვლად დაუშვებელია დევნილების თაობებად დაყოფა და რომ დევნილთა სამინისტრომ მთავარი ყურადღება პოლიტიკურიდან გადაიტანა საბუღალტრო-ეკონომიკურ გათვლებზე და მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რეფორმები უარყოფითად იმოქმედებენ როგორც დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ, ისე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

ოკუპირებული ტერიტორიები მიმართ საქართველოს პოლიტიკის თანახმად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამშვიდობო პროცესის საინიციატივო წინადადებები და მაქიმალურად შეუწყოს ხელი მის განხორციელებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ამ მიმართულებით არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პაციენტების

მკურნალობის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017) ეს არის „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა“ და ამ მისით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ არასაქართველოს მოქალაქეებს. აღნიშნული პროგრამის ფუნქციონირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014-2017 წლებში ჯამში დაიხარჯა 16 935 074 ლარი, ხოლო სამედიცინო მომსახურება სულ 6188 პაციენტმა მიიღო, მათ შორის უფრო მეტი იყო ეთნიკურად აფხაზი (3595). 2013-2016 წლებში აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე პაციენტთა ოდენობა როგორც აფხაზეთიდან ისე ე.წ სამხრეთ ოსეთიდან იზრდებოდა ამ პაციენტების რაოდენობა თითქმის 3.5-ჯერაა გაზრდილი, ხოლო მათ სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯული თანხაც გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ. აღნიშნული მომსახურებით ყველა წელს უფრო აქტიურად სარგებლობდნენ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება არამხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების მკურნალობის ხარჯები, არამედ მათი სამედიცინო ტრანსპორტირებაც. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017) .⁸ მგავსი პროექტები უწყობს ხელს პიროვნული კავშირების ზრდას და ქმნის დადებით განწყობას საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებში საქართველოს მიმართ.

საქართველოში დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა და პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის საერთაშორისო შეფასებები

⁸ ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებს. სტატისტიკური მასალა ხელმისაწვდომია საიტზე :

https://idfi.ge/ge/medical_care_expenses_of_patients_living_in_occupied_territories

ვინაიდან დევნილთა სამართლებრივ უფლებებს, მათ შორის გრძელვადიანი განსახლების საკითხებს, ადგილობრივთან ერთად საერთაშორისო კანონმდებლობა არეგულირებს, საინტერესოა როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები საქართველოში დევნილთა მიმართ განხორციელებულ პროგრამებზე.

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭოს ოცდამეექვსე სესიაზე განხილულ იქნა დევნილთა უფლებების სპეციალური რეპორტიორის ჩალოკა ბაიანის ანგარიში საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ჩალოკა ბაიანის მისია საქართველოში მიმდინარეობდა 2013 წლის ივნისში და მიზნად ისახავდა არამარტო არსებული მდგომარეობის ანალიზს , არამედ კონკრეტული რეკომენდაციების გაცემასაც. ამავდროულად ამ მისიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მანამდე 2010 წელს იმავე გაეროს მისიით მყოფი ვალტერ კლინის ანგარიშის შემდეგ არსებული ცვლილებების ანალიზი. გაეროს მიერაც ეს პერიოდი განსაკუთრებულ მონაკვეთად იქნა მიჩნეული ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში მოხდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისა და ხანგრძლივი განსახლების ფორმების შეთავაზების მხრივ პროგრესი, რასაც თან ახლდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ცვლილებებიც, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა გაეროს ადამიანთა უფლებების კომისიარიატის მისიით წარდგენილ პირებში. ისინი პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ ფაქტორებს ასახელებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლების მთავარ დაბრკოლებად. გაეროს წარმომადგენელი მოუწოდებდა მხარეებს საშუალება მიეცათ დევნილებისთვის მოეხდინათ გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთი მთავარი ფორმა-დაბრუნება მათი მუდმივი განსახლების ადგილზე. (Beyani, 2014)

2014 წელს გაეროს კომისარი მისი წინამორბედების ნაცვლად მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას და ყველა პარტიას აქტიურად განხორციელებინათ ხანგრძლივი განსახლების პროგრამა, მაქსიმალურად შეეწყობთ ხელი გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის და შეექმნათ თავისუფალი არჩევანის პირობა, რომელიც გულისხმობს შესაძლებლობას ხანგრძლივი განსახლების პროგრამის მიმართულებებს შორის დევნილმა თავად აირჩიოს მისთვის სასურველი. (Beyani, 2014)

სპეციალური მომხსენებელი მიესალმა საქართველოს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლებისა და საკანონმდებლო მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, მათ შორის საკანონმდებლო ნაწილში გაეროს მიერ აღიარებული პრინციპების გათვალისწინებას და ხაზი გაუსვა ამ პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის აუცილებლობას.

უცხოელი მომხსენებლები დადებითად აფასებენ იმას , რომ „იძულებით გადაადგილების შესახებ“ კანონში განისაზღვრა , რომ საქართველოს ნებიზისმიერი მცხოვრები და არამართო მოქალაქე დაცულნი არიან იძულებით გადაადგილებისგან. თუმცა ასევე აღნიშნავენ , რომ იძულებით გადაადგილებული პირის განმარტებას გარკვეული „ექსკლუზიურობა“ უნდა მოეხსნას. (Beyani, 2014)ამჟამად იძულებით გადაადგილებულ პირად ითვლება ადამიანი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის , საყოველთაო ძალადობის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო. არაერთ ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულ ადამიანად ითვლება ეკომიგრანტიც და ე.წ განვითარების პროექტების შედეგად წარმოქმნილი მიგრანტი, რომელიც ასევე იძულებული ხდება დატოვოს საკუთარი

საცხოვრებელი გარემო. კომისარმა დადებითად შეაფასა 2012 წელს მიღებული 2012-2014 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში მთავარი ცვლილება 2013 წელს შევიდა, როდესაც უკვე მიღებული სამოქმედო გეგმიდან ამოიღო პუნქტი, რომლის მიხედვითაც იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ახალი საცხოვრებელი კორპუსების თბილისის ტერიტორიაზე აშენება იკრძალებოდა, მის საპირისპიროდ, კი იქნა ჩაწერილი პუნქტი, რომლის მიხედვით თბილისში დევნილთათვის ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა შესაძლებელი გახდა, თუმცა დარჩა ჩანაწერი, რომ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია უვადოა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროცესი შესაძლოა ძალიან ხანგრძლივი აღმოჩნდეს და ის საკანონმდებლო კუთხით რაიმე ჩარჩოში მოქცეული არ არის. (Beyani, 2014)

გარდა ამისა, გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის განცხადებით გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს გრძელვადიანად თუ ის არის მდგრადი და მასში გათვალისწინებული პირობები მეტწილად შესრულებულია მათ შორის თავისუფალი არჩევანის, უსაფრთხოებების (მათ შორის უსაფრთხო დაბრუნების), უძრავი ქონების დაბრუნების ან კომპენსაციის და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით, შესაბამისად გრძელვადიანი განსახლება არ გულისხმობს მხოლოდ საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას. ამით დამკვირვებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფომ ერთი მხრივ ხელი უნდა შეუწყოს დევნილების უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ აქტიურად უნდა იზრუნოს მათ დაბრუნებაზე, ამავდროულად ხელი უნდა შეუწყოს ინტეგრაციის პროცესს, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს პრინციპებში დევნილთა შესახებ. (Beyani, 2014)

დევნილთა მდგომარეობაზე თავის ანგარიშს აქვეყნებს ევროკავშირიც. საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ

არსებულ ანგარიშში მიჩნეულია, რომ მას შემდეგ რაც 2007 წელს შემუშავებულ იქნა სტრატეგია რამდენიმე ფაქტორმა ხელი შეუშალა ამ სტრატეგიის განხორციელებას. ასეთ ფაქტორებს შორის ანგარიშში საუბარია 2007 წლის ნოემბრის არეულობაზე, 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და იმავე წლის მაისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე, რაც დევნილთა მაშინდელი სამინისტროსთვის სამოქმედო გეგმის მიღების ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. მოგვიანებით, იმავე წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა სამოქმედო გეგმა, თუმცა ზუსტად ერთ კვირაში დაიწყო რუსული ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე, რამაც გაურკვეველი გახადა დევნილთა საკითხი. სამინისტრო სამოქმედო გეგმას 2008 წლის დეკემბერში დაუბრუნდა და მანამდე არსებული სამოქმედო გეგმა გააუქმა იმ მიზნით, რომ ახალ გეგმაში ასახული უნდა ყოფილიყო 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შეცვლილი გარემოება და ყურადღება გამახვილებული უნდა ყოფილიყო დევნილთა ინტეგრირების საკითხზე. ევროკავშირის მაშინდელი სადამკვირებლო მისიის წარმომადგენელი ჰანსიორგ ჰაბერი მიიჩნევდა რომ ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად გამოწვეული ემოციური ფონის ქვეშ იქნა მიღებული და ის საჭიროებდა დახვეწას. (ჰაბერი, თ. გ.) (EU, n.d.)

ადგილობრივი უწყებების მონიტორინგი

გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა, იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის, მათ შორის განსახლების საკითხების მონიტორინგს აქტიურად ახორციელებს საქართველოს სახალხო დაცველის აპარატი. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება ვიზიტები დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში. სახალხო დამცველის აპარატი მონაწილეობს ხანგრძლივი განსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისიის საქმიანობაში. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

სახალხო დამცველის აპარატი რეგულარულად მიუთითებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითად პრობლემებზე, რომელთა უმეტესობა წლიდან წლამდე უცვლელია. სახალხო დამცველი რეკომენდაციას უწევს დევნილთა მაქსიმალურ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც მათი ინფორმირებულობის დონის ზრდას შეუწყობს ხელს. სახალხო დამცველის აპარატი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დევნილთა მძიმე საცხოვრებელ პირობებსა და ყოფილი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის დაბალ ხარისხზე.

ომბუდსმენის აპარატი დადებითად აფასებს ბინების განაწილების პროცესში განსაზღვრული პრიორიტეტების არსებობას და ამ პრიორიტეტების შესაბამისად ბინების გადაცემას ისეთი ოჯახებისათვის, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროების წინაშე დგანან. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016) სახალხო დამცველი საუბრობს იმ ობიექტებზეც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საცხოვრებელ სტანდარტებს, სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დევნილთა პრობლემებზე მუშაობისას მუნიციპალიტეტების ჩართულობის დონე არასაკმარისია. ობიექტის დაკანონების შემდეგ მთავარი პასუხისმგებლობა ენიჭებათ შესაბამის მინიციპალიტეტებს, თუმცა მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ დევნილთა პრობლემები აღმოფხვრან. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

სახალხო დამცველი ცალკე გამოყოფს ე.წ ნახევრად დაკანონებული ობიექტების საკითხს, სადაც რამდენიმეჯერაა ჩატარებული აზომვითი სამუშაოები, თუმცა ობიექტები არ არის დაკანონებული. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016) ასეთ მდგომარეობაში მყოფი დევნილები ვერ ახერხებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნას და ქონების განკარგვას. აღნიშნულ პრობლემაზე სახალხო დამცველი რეგულარულად საუბრობს

თავის ყოველწლიურ ანგარიშში ბოლო წლების განმავლობაში. ამ მიმართულებით ცალკე გამოსაყოფია შენობა ნაგებობებზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების დადგენის პრობლემა. ამის გამო დევნილები ვერ სარგებლობენ მთელი რიგი მუნიციპალური რესურსებით, მათ შორის ვერ ახერხებენ ეზოების კეთილმოწყობას. მსგავსი პრობლემა იყო ფოთის დევნილთა დასახლებაში, რომელიც წარმოადგენს ახალაშენებულ კორპუსებს და თბილისის იმ კოლექტიურ დასახლებებშიც, რომელთა პრივატიზაცია მოხდა.

სახალხო დამცველის სამსახური მუდმივად ამახვილებს ყურადღებას განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ავარიული სახლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სასწრაფოდ გაყვანის აუცილებლობაზე და გამოყოფს ასეთი ობიექტების ნუსხას. მაგ: თბილისში მდებარე სასტუმრო „უშბა“, „ჰიდროლოგიის ყოფილი ბიურო“, 78-ე ბაღი ნავთლუდის დასახლებაში, ასევე „საქწიგნის“ შენობა ქიზიყის ქუჩაზე და სხვა. ყველა ამ ობიექტზე არსებობს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობაში ცხოვრება საფრთხისშემცველია. მსგავსი შენობების სია შემუშავებული საქართველოს სხვა ნაწილში მდებარე კოლექტიური დასახლებების მაგალითებზეც. მაგ: ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე არსებული ე.წ „მუხრანის“ ბაზა, შპს „ქუთაისი 99“, ყოფილი დისპანსერი, სასტუმრო „თბილისი“ და სხვა. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016)

დევნილთა სამინისტრო კომპაქტურ ჩასახლებებს ადმინისტრაციულად „ხურავს“ იმ შემთხვევაში თუ ამ კომპაქტურ დასახლებაში ყველა დევნილი დაკმაყოფილებულია გრძელვადიანი საცხოვრებლით. პრივატიზებული ობიექტების „დახურვის“ პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს, ესენია:

1. პრივატიზება : ასეთ შემთხვევაში კომპაქტური ჩასახლება სრულად პრივატიზებულია, ბინები წარმოადგენენ კერძო საკუთრებას და შესაბამისად კორპუსის მოვლა-პატრონობა უკვე წარმოადგენს მესაკუთრეების მოვალეობას.
2. დაცლა: ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დევნილები გაჰყავთ შენობიდან დროებით ან მუდმივად ამ შენობის პოტენციური ან ფაქტობრივი ნგრევის გამო. ასეთ შემთხვევებში შენობაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან მუნიციპალიტეტი.
3. დაცლა: დევნილები სამინისტროს პროგრამის ფარგლებში გაიყვანეს სხვაგან, თუმცა კომპაქტური ჩასახლება ექვემდებარება მის რეაბილიტაციას ან არ არის ავარიული, შესაბამისად არ ინგრევა. ასეთ შემთხვევაშიც შენობაზე პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან მუნიციპალიტეტი.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ყველა ასეთი ტიპის „დახურვის“ მიუხედავად დევნილების გარკვეული ნაწილი კვლავ რჩებიან ასეთ შენობაში, ამასთანავე არის შემთხვევები, როდესაც მსგავს შენობებს იკავებენ უსახლკაროები და აგრძელებენ შენობაში ცხოვრებას. ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში იძულებით გადაადგილებული პირები დაკმაყოფილებულები არიან გრძელვადიანი საცხოვრებლით. ომბუდსმენის აპარატის ცნობით ასეთი, თვითნებურად დაკავებული, ობიექტი მხოლოდ თბილისში 23-ია. (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016) ამის მიზეზია ის რომ დახურვა არ გულისხმობს ობიექტის ფიზიკურად დახურვას.

გრძელვადიანი განსახლების საკითხებისადმი დევნილთა დამოკიდებულების კვლევა

იმის გამო, რომ არ მომხდარიყო საკითხის მხოლოდ თეორიულ ჭრილში და ცალმხრივად განხილვა ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა გრძელვადიანი განსახლების, დაბრუნების და ინტეგრაციისადმი აფხაზეთიდან დევნილი კომპაქტურად დასახლებული დევნილების დამოკიდებულების განსაზღვრას. ვინაიდან საკვლევი თემა ძალიან დიდია და შეუძლებელია დევნილთა დიდ მასაზე მისი აღნიშნული რესურსებით კვლევა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კვლევისთვის აგველო თბილისისა და ფოთის კომპაქტური დასახლებების მაგალითი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარდა 24 სიღრმისეული ინტერვიუ თბილისსა და ფოთში, როგორც განსახლებულ ისე გრძელვადიანი განსახლების მომლოდინე კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შორის. მათ შორის 8 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ქალაქ ფოთში, მალთაყვის უბანში 2011 წელს შექმნილ დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც „ახალ რაიონს“. აღნიშნული დაახლება მოიცავს 32 საცხოვრებელ კორპუსს, თითოეულ ასეთ კორპუსში 32-40 ბინაა. გარდა საცხოვრებელი კორპუსებისა დასახლება უზრუნველყოფილია სკოლით, ბაღით და სკვერებით. აღნიშნული დასახლება 2011 წელს აშენდა თუმცა 2015 წელს მას გარკვეული რეაბილიტაცია დასჭირდა. კერძოდ, ჩატარდა საცხოვრებელი კორპუსების გარე ჰიდრო და თბოსაიზოლაციო სამუშაოები, რომელიც მუნიციპალური

განვითარების ფონდმა დააფინანსა 2 382 657 ლარად. სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ დასახლებაში ოფიციალურად 1168-ს გადაეცა საცხოვრებელი. დასახლება ფოთის ცენტრიდან დაახლოებით 6 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ბინები ე.წ „ახალ რაიონში“ გადაეცა დევნილებს, რომლებიც საქართველოს მიერ კონტროლირებად სხვადასხვა რაიონში მძიმე ავარიულ პირობებში ცხოვრობდნენ, აქ დევნილები ძირითადად გადმოიყვანეს სამეგრელოსა და იმერეთის სხვადასხვა რაიონებიდან.

კვლევის ფარგლებში 6 ინტერვიუ ჩატარდა თბილისში იმ დევნილებთან, რომლებმაც დროებითი საცხოვრებლები მიიღეს საკუთრებაში ანუ მოხდა კორპუსების დაკანონება, ვინაიდან შენობები არაავარიულია. აღნიშნული 6 ინტერვიუდან 3 ჩატარდა ვაკეში ჭავჭავაძის ნომერ 37/3-ში, ხოლო დანარჩენი სამი ინტერვიუ ჩატარდა გლდანის მე-3 მიკრორაიონში არსებულ დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. დანარჩენი 10 ინტერვიუდან 6 ინტერვიუ ჩატარდა ვაკეში ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებულ დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში, რომელშიც მცხოვრები დევნილები დღემდე უმძიმეს, ავარიულ საცხოვრებელ პირობებში ელოდებიან გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ხოლო 4 ინტერვიუ ჩატარდა თბილისის ზღვის ე.წ ჰუალინგის კორპუსებში, სადაც დევნილებმა აღნიშნული პროგრამის შედეგად მიიღეს ბინები.

გამოკითხულ დევნილთა შორის 14 ქალი და 10 მამაკაცი იყო, რომელთა ასაკი მერყეობდა 17-დან 72 წლამდე. გამოკითხულ დევნილთა შორის 17-ს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება, 3 გამოკითხული იყო სტუდენტი, 1 სკოლის მოსწავლე, ხოლო 3-ს ჰქონდა საშუალო ან ტექნიკური განათლება. ვგამოკითხული დევნილებიდან 13 დაბადებულია აფხაზეთში, 6 არ არის დაბადებული, მაგრამ ცხოვრობდა აფხაზეთში, ხოლო ხუთი დაბადებულია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დევნილ

ოჯახში. კვლევაში მონაწილე იმ 19 დევნილის საშუალო ასაკი, რომლებიც ცხოვრობდნენ აფხაზეთში იძულებით გადაადგილების დროს შეადგენდა 28 წელს. დევნილად ქცევის დროს ჩვენი კვლევის მონაწილეთა შორის მაქსიმალური ასაკი იყო 45 წელი, მინიმალური კი 9. კვლევაში მონაწილე დევნილებიდან უმეტესობა წარმოშობით არის სოხუმის, გულრიფშისა და გაგრის რაიონებიდან.

აფხაზეთში მცხოვრები კვლევაში მონაწილე 19 დევნილიდან უმეტესობა (12) ცხოვრობდა სასოფლო ტიპის დასახლებაში, ხოლო 7 საქალაქოში.

კვლევაში მონაწილე დევნილთა ოჯახების საშუალო ზომა იყო 4.2. ოჯახის მაქსიმალური ზომა იყო 6 სული, ხოლო მინიმალური 2. ოჯახის საშუალო ზომა ოდნავ უფრო მაღალი იყო საცხოვრებლის მომლოდინე ოჯახებში. რაც შეეხება საცხოვრებლის ფართს, ის მერყეობდა 24 კვადრატული მეტრიდან 72 კვადრატულ მეტრამდე, საშუალო ფართი კი წარმოადგენდა 32 კვადრატულ მეტრს, ერთ სულზე გაანგარიშებით კი საშუალო ფართი იყო 7.6 კვადრატული მეტრი, თუმცა იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც 1 სულზე სულაც 4.8 კვადრატული მეტრი მოდიოდა.

კვლევაში მონაწილე 20 იძულებით გადაადგილებულ პირს მისი დევნილობის პერიოდში უცხოვრია მინიმუმ 2 ან მეტ განსხვავებულ ადგილას. შიდა გადაადგილების მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო იმ დევნილებს შორის, რომლებიც ახლა ცხოვრობენ ფოთის ე.წ ახალი რაიონის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში, ხოლო ყველაზე ნაკლები იყო თბილისში მცხოვრებ იმ დევნილებს შორის, რომლებიც დღემდე ელოდებიან განსახლებას. იძულებით გადაადგილების შემდეგ დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან დომინირებდა სამეგრელოს რაიონები და თბილისი. დევნილთა აბსოლუტურმა უმეტესობამ აფხაზეთიდან

გადმოსვლის შემდეგ საწყის ეტაპზე ნათესავებთან შეაფარა თავი. თუ არ ჩავთვლით მსგავს მცირე, რამდენიმეთვიან, პერიოდს კვლევაში მონაწილე ყველა დევნილი ცხოვრობდა კოლექტიურ დასახლებაში. ხოლო იმ დევნილებს შორის, რომლებიც ფოთში დაკმაყოფილებულნი არიან ბინებით, უმეტესობა აღნიშნულ საცხოვრებელში გადმოსვლამდე ცხოვრობდა ზუგდიდში, აბაშაში, წყალტუბოსა და საკუთრივ ფოთში. იმ დევნილებს შორის კი, რომლებმაც გრძელვადიანი საცხოვრისი მიიღეს თბილისში, ამ ბინაში გადმოსვლამდე ასევე ცხოვრობდნენ თბილისის ტერიტორიაზე და აქვე გაიარეს 2013 წლის დევნილთა რეგისტრაცია. კვლევის დროს დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც დევნილები შეიჭრნენ შენობებში იძულებით გადაადგილების შემდეგ.

რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობას. აღმოჩნდა რომ უმუშევრობის დონე მაღალია, როგორც თბილისში, ისე ფოთში კომპაქტურად მცხოვრებ დევნილებს შორის. იმ 18 დევნილს შორის რომელიც ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა და რომელთა ასაკი იყო 18-დან 65 წლამდე ოფიციალურად უმუშევარი იყო 12 და ჰქონდა რეგულარული შემოსავლის პრობლემა. გამოკითხული 24 დევნილის ოჯახიდან, მხოლოდ 17-ში ცხოვრობდა ერთი დასაქმებული პირი მაინც, თუმცა მათ შორის რამდენიმეს ჰქონდა სტაბილური სამსახურის არარსებობის პრობლემა. უმუშევრობის დონე უფრო მაღალი იყო ფოთში, ვიდრე თბილისში. რაც შეეხება ჩვენს მიერ გამოკითხულ დევნილთა ოჯახების საშუალო თვიურ შემოსავალს 360 ლარამდე, სახელმწიფო შემწეობების ჩათვლით. საშუალო თვიური შემოსავალი უფრო მაღალი იყო თბილისში მცხოვრებ განსახლებულ დევნილებს შორის და შეადგენდა 480 ლარამდე. დანარჩენ ორ შემთხვევაში როგორც ფოთში, ისე თბილისში ფიქსირდებოდა შემთხვევები, როცა დევნილის ოჯახის ერთადერთ ფულად შემოსავალს რომელიმე სახის შემწეობა ან პენსია წარმოადგენდა.

გამოკითხული 24 დევნილიდან 21 იღებდა დევნილის შემწეობას, ხოლო 3 მიზობრივ სოციალურ დახმარებას. ჩვენ დევნილებს დავუსვით კითხვა რაში იხარჯებოდა მათი შემოსავლის დიდი ნაწილი და როგორ შეაფასებდნენ ისინი დევნილთათვის განკუთვნილი სხვადასხვა დახმარების მნიშვნელობას მათი ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. პირველ კითხვაზე დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა პასუხობდა, რომ მათი შემოსავლის უდიდესი ნაწილი მიდის საკვებზე, კომუნალურებსა და მედიკამენტებზე, ხოლო მეორე კითხვაზე პასუხები შედარებით მრავალფეროვანი იყო. ფოთში მცხოვრები განსახლებული დევნილები შედარებით უფრო მნიშვნელოვნად აფასებდნენ არსებული შემწეობების მნიშვნელობას მათი ოჯახებისთვის. ამ შემწეობების როლი დიდი იყო თბილისის იმ დევნილებში, რომლებიც დღემდე ელოდებიან განსახლებას. მხოლოდ თბილისის განსახლებული დევნილები მიუთითებდნენ 45 ლარიანი დევნილთა შემწეობის შედარებით უმნიშვნელობაზე, მაგრამ აქვე მიუთითებდნენ, რომ ამ როლის სიმწირე გამოწვეულია იმით, რომ შემწეობა არ არის ადეკვატური.

„ არავითარი როლი არ აქვს ამ შემწეობას. როგორ შეიძლება მაგის იმედად იყოს ვინმე? მემგონი დაგვცვიანიათ ამ 45 ლარით. მე არ მახსოვს ზამთარ-ზაფხულ, რომელიმე თვეს ერთხელ მაინც დაეფაროს ამ 45 ლარს კომუნალური გადასახადები მაინც“ - განსახლებული დევნილი მამაკაცი თბილისიდან.

გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა მათი ოჯახის მთავარ პრობლემად ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს მიიჩნევენ , როგორებიცაა საცხოვრებელი ფართი და უმუშევრობის დაბალი დონე. გამოკითხული 24 რესპოდენტიდან , რომელთაც უნდა ეპასუხათ ღია კითხვაზე - „რას მიიჩნევთ თქვენი ოჯახის მთავარ პრობლემად“ მხოლოდ 4-მა უპასუხა აფხაზეთში დაბრუნები პრობლემა, დანარჩენი გამოკითხულების

მიერ მთავარ პრობლემად სოციალურ -ეკონომიკური ფაქტორები სახელდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს დევნილების უკიდურეს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

ვინაიდან გრძელვადიანი განსახლება მოიცავს სამ განსხვავებულ მოცემულობას, ჩვენ ვეცადეთ დევნილებისთვის კითხვები დაგვესვა როგორც განსახლების პროგრამის, ისე ინტეგრაციისა და დაბრუნების თემებთან დაკავშირებით.

ადგილობრივი თლ

დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილი საუბრობდა არადევნილი მოსახლების მხრიდან მათ მიმართ არასრულფასოვან დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებით ხშირად იყო საუბარი მათი, როგორც „დევნილების“ იდენტიფიცირებასა და საზოგადოების ცალკეული წევრების მხრიდან მათ მარგინალიზებაზე.

„ რაც არ უნდა განხორციელდეს , ჩემი აზრით, ბოლომდე ინტეგრაცია შეუძლებელია. შეიძლება მომავალმა თაობებმა შეძლონ, მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ. როდესაც სტატუსი გაქვს დევნილის, რასაც არ უნდა მიაღწიო, როგორი რეალიზებულიც არ უნდა იყო, რა თანამდებობაც არ უნდა გქონდეს პირველი რასაც იტყვიან არის ის რომ ხარ დევნილი“ - დევნილი ქალი ფოთიდან

„სკოლაში რომ მივიყვანეთ ბავშვი რამდენიმე წლის წინ, მასწავლებლიან მოსწავლიანად ყველა ამბობდა დევნილიო. ეს ძალიან ცუდია, რა იცის ბავშვმა რა არის დევნილი?“ - დევნილი ქალი თბილისიდან

„ინტეგრაციასთან დაკავშირებით ერთ რამეს გეტყვით, რაც ყველაზე ხშირად შემხვედრია. ყველაზე დიდი პრობლემა დევნილობა ოჯახის შექმნის დროსაა. იძახიან ამას ვინ მოიყვანს, ნახე სად ცხოვრობს - დევნილია.

ეს ხდება აქ დაბადებულებზე, წარმოგიდგენია? 25 წელია გასული და ამ ხალხმა (ავტ.არადევნილები) ვერ დაივიწყა ის აზრი, რომ დევნილობა რამე ცუდს არ ნიშნავს. ჩვენ ხომ არ ვართ დამნაშავეები? ხშირად გამიგია ქორწინება იმიტომ, არ შემდგარა რომ ერთი რომელიმე დევნილია. შეიძლება სახელმწიფოს დამოკიდებულება არაა ასეთი და არ გვჩაგრავენ, მაგრამ ხალხის ასეთია“ - დევნილი ქალი თბილისიდან

„სახელმწიფო დევნილებს კი არ უნდა დაეხმაროს ინტეგრაციაში, არამედ საზოგადოებას უნდა დაეხმაროს დევნილების მიღებაში. მე ვიცი დევნილები, რომლებმაც იმაზე არანაკლებ მიაღწიეს, ვიდრე იქ ჰქონდათ იმიტომ, რომ გაჭირვებამ გამოაწრო. ვინმესთვის რამე ხომ არ წაურთმევია, იშრომა და აქვს“ - დევნილი მამაკაცი თბილისიდან

დევნილების დამოკიდებულება გრძელვადიანი პროგრამის მიმართ.

ფოთში მცხოვრები დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ დევნილები იმ ფაქტით , რომ 2011 წელს მათ ბინები გადაეცათ მხოლოდ სულადობის მიხედვით და არა ოჯახის სტრუქტურის მიხედვით, როგორც ეს ახლაა გათვალისწინებული კანონში.

„ფართი პატარაა, 48 კვადრატული მეტრი. ჩვენ სამნი ვიყავით ოჯახში და სულადობის მიხედვით ეს გვეკუთნოდა , მაგრამ არავის გაუთვალისწინებია ის, რომ მე ორი ბიჭი მყავდა. მაშინაც კი , როცა ეს ბინა მივიღეთ, ორივე სრულწლოვანები იყვნენ.“ - დევნილი ქალი ფოთიდან.

საცხოვრებლის მდებარეობით კმაყოფილების დონე შედარებით დაბალია ფოთში მცხოვრებ დევნილებს შორის, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს მის წინა საცხოვრებელ ადგილს. რაც შეეხება თბილისს აქ მაღალია საცხოვრებლის მდებარეობით კმაყოფილების დონე, თუმცა უკიდურესად დაბალია საცხოვრებლის მდგომარეობით კმაყოფილების დონე. ფოთში მცხოვრებ დევნილთა უმეტესი ნაწილი უკმაყოფილოა მათთვის საკუთრებაში გადაცემული ბინების მდგომარეობით და ძირითად აქცენტს აკეთებენ მოუწერიგებელ წყალგაყვანილობასა და ჩამოშლილ კედლებზე. ფოთის დასახლების დევნილთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული დასახლების მშენებლობის ხარისხი არის დაბალი, ნაჩქარევად აშენებული და არ შეესაბამება ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს.

„ბევრი რამ ჩვენ გავაკეთეთ და დღემდე ვერ მიმაღწიეთ იმას, რომ ნორმალური პირობები იყოს. მართალია მეტალო-პლასტმასის ფანჯრებია, მაგრამ ამ ფანჯრებიდან წყალი შემოდის წვიმის დროს. ამას ხომ ნესტს ვერ დავაბრალებთ. ეს არის უხარისხოდ გაკეთებული“. - დევნილი ქალი ფოთიდან

საცხოვრებელი პირობებით უკმაყოფილონი არიან თბილისში მცხოვრები დევნილები, თუმცა კმაყოფილების დონე უფრო მაღალია იმ დევნილებს, შორის რომლებმაც ბინა მიიღეს ე.წ ჰუალინგის კორპუსებში. საცხოვრებელი პირობები უკიდურესაც არაადამაკმაყოფილებელია ჭავჭავაძის 37-ში დევნილთა იმ კომპაქტურ დასახლებაში, რომელშიც დევნილები ავარიულ პირობებში დღემდე ელოდებიან ბინებით უზრუნველყოფას. ამ კორპუსებში არ არსებობს გაზომომარაგება, ჩამონგრეულია ჭერი, არის ელექტროენერჯის ცუდი გაყვანილობა, რის გამოც რამდენიმე თვის წინ ცეცხლიც გაჩნდა. ამ კორპუსში დაახლოებით 15

ოჯახი სარგებლობს ერთი აბაზანით და 1 საპირფარეშოთი, რაც ბუნებრივია ყველანაირ ჰიგიენურ ნორმას სცილდება.

„ზამთარში დაბანის საშუალება არაა იმიტომ, რომ აბაზანა, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი სახსრებით არ არის შესაბამისად გაკეთებული. გარედან ჰაერი შემოდის, რაც შეუძლებელს ხდის იქ ზამთარში ბანაობას, მითუმეტეს ბავშვების.“- განსახლების მომლოდინე დევნილი ქალი თბილისიდან (ვაკის ე.წ ყოფილი სტუდექლაქი)

„ცუდი ელექტროგაყვანილობის გამო ცეცხლი გაჩნდა. ახლა ფაქტიურად ვმორიგეობთ მეზობლები, რომ ისევ არ გაჩნდეს ცეცხლი ან რომ გაჩნდეს უფრო ფხიზლად რომ ვიყოთ“ - განსახლების მომლოდინე დევნილი მამაკაცი თბილისიდან (ვაკის ე.წ ყოფილი სტუდექლაქი)

მსგავსი ცუდი მდგომარეობა არ არის თბილისში მდებარე იმ კომპაქტურ დასახლებებში, სადაც დევნილებს ბინები დაუკანონეს, თუმცა იქ მთავარ პრობლემად დევნილები საცხოვრებელი ფართის არასაკმარისობას მიიჩნევენ და მიუთითებენ , რომ სახელმწიფო მათ მიმართ არასამართლიანად მოიქცა, ვინაიდან 5-6 სულიან ოჯახებს დაუკანონა 30 კვადრატულ მეტრიანი საცხოვრებელი ფართები, რომელთა გაყიდვის შანსი მინიმალურია. ასეთ გარემოში მცხოვრები დევნილები მიუთითებენ ალტერნატივის აუცილებლობაზე, თუმცა აცხადებენ რომ მათ არჩევანის უფლება არ მისცემიათ. რაც შეეხება ჰუალინგის კორპუსებში ბინებით დაკმაყოფილებულ დევნილებს, ისინი შედარებით კმაყოფილნი არიან ბინების მდგმარეობით, თუმცა მაინც საუბრობენ მშენებლობის დროს მცირე, მაგრამ არსებულ ხარვეზებზე.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ დევნილთა უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია საცხოვრებლით დაკმაყოფილებისათვის შემუშავებული კრიტერიუმების შესახებ, ამის მთავარ მიზეზად კი

დევნილები კრიტერიუმებთან ნაკლებ წვდომას ასახელებენ. აღნიშნული კრიტერიუმები ხელმისაწვდომია ყველასთვის დევნილთა სამინისტროს საიტზე, თუმცა სამინისტრომ როგორც ჩანს დევნილებთან კომუნიკაცია ამ მხრივ უნდა გააძლიერეს და დეტალურად გააცნოს მათ აღნიშნული კრიტერიუმები, რაც დევნილებს შესაძლებლობას მისცემს ზუსტად იცოდნენ თუ რომელ შემთხვევაში რამდენ ქულას მიიღებენ, რაც გაზრდის მათ ნდობას პროგრამის მიმართ. მეორე ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ დევნილთა აბსოლუტურ უმეტესობას არავითარი მონაწილეობა აღნიშნული პროგრამისა და კრიტერიუმების შემუშავებაში არ მიუღია. გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა თვლის, რომ მათი მხრიდან პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა შეუძლებელი იყო და ფიქრობენ, რომ მათ ხედვას სახელმწიფო არ გაითვალისწინებდა, თუმცა უფრო რადიკალური მიდგომა აქვთ უშუალოდ პროგრამის ფარგლებში არსებულ შემოთავაზებებს შორის არჩევანის გაკეთების საკითხზე. ფოთში განსახლებულ დევნილთა განაცხადებით, მათთვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ მიუციათ. არჩევანის არარსებობაზე მიუთითებენ ის დევნილებიც, რომლებსაც თბილისში დროებითი საცხოვრებლები კერძო საკუთრებაში გადაეცათ. შედარებით ნაკლებად აქვთ მსგავსი დამოკიდებულება თბილისში ბინებით დაკმაყოფილებულ დევნილებს, რომლებიც კმაყოფილნი არიან პროგრამის მუშაობით, მაგრამ შედარებით ნაკლებად კმაყოფილნი არიან იმ ფაქტით, რომ უშუალოდ კორპუსების და უბნების არჩევის საშუალება არ ჰქონიათ. დევნილთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათი არაკომპაქტურ დასახლებაში გადაყვანა განპირობებულია მათი ერთაინობის დაშლისა და არადევნილ მოსახლეობასთან რაც შეიძლება სწრაფად ინტეგრაციის სურვილით. იმ გამოკითხულ 18 დევნილს შორის, რომლებიც უკვე უზრუნველყოფილ იქნენ გრძელვადიანი საცხოვრებლით (დაუკანონდათ არსებული საცხოვრებელი

ან გადაეცათ ახალი ბინა) 13 აცხადებს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში არჩევანს სხვა ალტერნატივაზე გააკეთებდნენ. განსაკუთრებით მაღალი ეს მაჩვენებელი ფოთის დევნილების შემთხვევაში იყო, სადაც გამოკითხულ დევნილთა უმეტესობამ განაცხადა, რომ არჩევანს მათ განსახლებამდე არსებული საცხოვრებელი ტერიტორიის სასარგებლოდ გააკეთებდნენ. გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა ენდობა საცხოვრებლით დაკმაყოფილების კომისიის მუშაობას.

„კმაყოფილები როგორ უნდა ვიყოთ, მაგრამ საერთოდ ყველაფრის გარეშე რომ არ დაგვტოვებს მაგითვის მაინც მადლობლები ვართ“- პრივატიზებულ კორპუსში მცხოვრები დევნილი მამაკაცი თბილისიდან

„ჩვენ, ვინც ზუგდიდის კომპაქტურ დასახლებაში ვცხოვრობდით, ყველა აქ გადმოვიყვანეს. ვთხოვეთ მაიც ყველა კორპუსი ცარიელია და იქნებ ყველა ერთში შეგვასახლოთო, მაგრამ არ გაითვალისწინეს. კანონში არ წერია ასეო. რა დაშავდებოდა ყველა ერთად რომ დავესახლებინეთ? ჩვენს კორპუსში მარტო 2 ოჯახი მოვხვდით. ახლაც ყველა დღესასწაულს ზუგდიდიდან გადმოსული დევნილები მაინც ერთად აღვნიშნავთ. ამათ (ავტ. დევნილთა სამინისტროს) დაშალე და იბატონეს პრინციპი აქვთ. ჩვენ კი მერამდენე ინტეგრაცია გავიაროთ?“ - დევნილი მამაკაცი ფოთიდან

„აქ კი დაგვასახლეს არეულად, მაგრამ მაინც იგრძნობა - ის სოხუმელია, ის გაგრელი, ის ზუგდიდიდან გადმოვიდა, ის სამტრედიიდან და ა.შ - დევნილი ქალი ფოთიდან.

დევნილთა უმეტესობა მიესალმება არნიშნული პროგრამის განხორციელებას, თუმცა თვლის რომ ამით სახელმწიფო მათ ინტეგრაციას ცდილობს, რაც დროთა განმავლობაში ხელს შეუშლის აფხაზეთში დაბრუნების საკითხს. გამოკითხულ დევნილთა აბსოლუტური უმეტესობა ასევე მიიჩნევს, რომ ეს პროგრამა შემუშავებულ იქნა იმიტომ, რომ

სახელმწიფოს არ აქვს იძულებით გადაადგილებული პირების მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების იმედი.

დევნილთა დამოკიდებულება ადგილობრივი ინტეგრაციისადმი

კვლევის მეორე ნაწილი ეხებოდა ინტეგრაციის საკითხს, რომელს ფარგლებშიც ჩვენთვის საინტერესო იყო რამდენად სწრაფად და უმტკივნეულოდ მოხდა დევნილთა სამუშაო და საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვა მათი იძულებით გადაადგილების შემდეგ. კვლევამ აჩვენა რომ სამუშაო პროცესში ჩართვა გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე საგანმანათლებლო პროცესში. დევნილები მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათთვის სამუშაო ადგილების შეთავაზება, რის გამოც დევნილების აბსოლუტურ უმეტესობას მოუწია პროფესიასთან შეუსაბამო სამუშაოების მოძიება, სადაც უმეტეს შემთხვევაში იყო მძიმე სამუშაო პირობები და ძალიან დაბალი ანაზღაურება. დევნილთა ის ნაწილი, რომლებიც აფხაზეთში ჩართული იყვნენ საგანმანათლებლო პროცესში, შედარებით მარტივად ჩაერთვნენ მათი დროებითი განსახლების ადგილებზეც. დევნილები მიუთითებდნენ, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო შეძლო დევნილები უზრუნველყო განათლების მიღების შესაძლებლობით, თუმცა საერთოდ ვერ შეძლო დახმარება მათთვის სამუშაოს შეთავაზების კუთხით. ჩვენს კვლევაში მონაწილე დევნილები, რომლებმაც 2011 წელს ბინა მიიღეს ახალ დასახლებაში, ხშირ შემთხვევაში მათი მაშინდელი დროებითი დასახლების ადგილიდან შორს, ხელახლა აღმოჩნდნენ მოწყვეტილი არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, რომელთანაც შედარებით მეტად იყვნენ ადაპტირებულნი. გარდა ამისა ადაპტაცია რთული აღმოჩნდა იმ დევნილი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ფოთში გადმოსვლათან

ერთად მოუწიათ სასწავლებლის შეცვლა. ამჟამად ე.წ ახალი რაიონის სიახლოვეს 2 სკოლაა, ერთი ჩვეულებრივი საჯარო სკოლა, ხოლო მეორე აფხაზეთის #21-ე საჯარო სკოლა, რომელშიც ძირითადად დევნილი ბავშვები სწავლობენ. სხვადასხვა რაიონებიდან ფოთში გადმოსახლებული დევნილი ბავშვების უმეტესობა სწორედ ამ სკოლებში სწავლობენ. მსგავსი შემთხვევები ნაკლები იყო თბილისის განსახლებულ დევნილებში, რომლებიც გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილებამდეც თბილისში ცხოვრობდნენ, შესაბამისად მათ დიდ ნაწილს განსახლების პროგრამის გამო არც სამუშაო და არც საგანმანათლებლო დაწესებულება არ შეუცვლია.

გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა თავს მიიჩნევს არაინტეგრირებულად. დასახლების ადგილებიდან ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია ფოთში მცხოვრებ დევნილებს შორის, ხოლო განსახლების მხრივ ნაკლებად ინტეგრირებულად გრძნობენ თავს გრძელვადიანი განსახლების მომლოდინე დევნილები, თუმცა აქვე მიუთითებენ , რომ მხოლოდ განსახლება ვერ იქნება ინტეგრაციის ერთადერთი პირობა. დევნილთა უმეტესობა ინტეგრაციის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად ასახელებენ სამუშაო ადგილების არსებობას და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს. ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორებზე განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ კვლევაში მონაწილე დევნილებს. ფოთში მცხოვრები დევნილები ძირითადად ასახელებდნენ ორ ფაქტორს: 1. სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობა და 2. ნაკლები იზოლაცია. ვინაიდან ე.წ ახალი რაიონი მდებარეობს ფოთიდან მოშორებით და წარმოადგენს დევნილთა კომპაქტურ დასახლებას, აქ მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს ნაკლებად აქვთ ყოველდღიური კონტაქტი არადევნილ მოსახლეობასთან. რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ფოთის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში უამრავი ბინა დაკეტილია.

„ ასე იზოლირებული არ უნდა ვიყოთ. ჩვენ არ გვაქვს ყოველდღიური კონტაქტი ადგილობრივებთან.“ - დევნილი ახალგაზრდა ფოთიდან

„ აქ ფოთელები ცოტანი არიან. დანარჩენები სამეგრელოს და იმერეთის სხვა რაიონებიდან არიან გადმოსახლებულნი. ზოგიერთი თბილისიდანაც. ისინი წლების განმავლობაში ინტეგრირებულნი იყვნენ იმ საცხოვრებელ ადგილებთან. მაგალითად მე ზუგდიდიდან ვარ, იქ ყველა რაღაცას აკეთებდა აქ კი ერთადერთი სამსახური პორტია და ამდენი სამუშაო ადგილი პორტშიც არაა. ეს ხელახალი ინტეგრაცია ძალიან გაჭირდა. ჩვენ მეორედ დევნილები გვგონია თავი. აქ უამრავი ისეთი ოჯახია 45 ლარიანი შემწეობით რომ ცხოვრობენ, სოციალურ დახმარებას არ აძლევენ. მაცივარი და ტელევიზორი არ უნდა გქონდეთო... ხომ წარმოგიდგენია, როგორი სიღარიბეა საჭირო სახელმწიფომ 70 ლარი რომ გაიმეტოს?“ - დევნილი მამაკაცი ფოთიდან

„ მე სკოლაში ვსწავლობდი, როდესაც გადმოგვიყვანეს. ძალიან რთული იყო, აქ არცერთი მეგობარი არ მყავდა. ისევ ჩემს იქაურ მეზობლებს ვეძებდი აქაც, მაგრამ ერთ კორპუსში ვერ მოვხვდით“ - დევნილი ახალგაზრდა ფოთიდან.

რაც შეეხება იმ დევნილებს, რომლებიც ელოდებიან გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას მიიჩნევენ, რომ ინტეგრაციის პროცესისთვის აუცილებელია ნორმალური საცხოვრებლის არსებობა. განსაკუთრებით ეს პრობლემა აწუხებდათ ვაკეში ე.წ სტუდენტალაქის ავარიულ კორპუსებში მცხოვრებ დევნილებს. მათი აზრით შეუძლებელია ინტეგრაცია ადგილობრივ გარემოსთან მანამ სანამ მათი საცხოვრებელი პირობები არ გაუმჯობესდება.

„ საერთოდ არ ვართ ინტეგრირებულნი. აქ ირგვლივ მდიდრული კორპუსებია. ჩვენ თითქოს გალიაში ვართ გამომწყვდეული. ბევრჯერ

მინახავს უცხოელები როგორ უღებდნენ ფოტოებს ჩვენს კორპუსებს. უკვირთ ალბათ ასეთი კორპუსები ქალაქის ცენტრში. გარედან მაინც შეელამაზებინათ, რომ დასაცინები არ გავმხდარიყავით.“- განსახლების მომლოდინე დევნილი ქალი თბილისიდან

„აქ ბავშვები მეცოდება. როგორ შეიძლება ბავშვები აქ იზრდებოდნენ. ესენი ყველაფერს მოწყვეტილნი არიან. არც სპორტზე დადიან, არც მუსიკაზე. არადა ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან. მოედანიც კი არ დაუტოვეს და კორპუსი ჩადგეს. მეგობრები არ მოჰყავთ სახლში ან როგორ უნდა მოიყვანონ. აქ ვაკის სკოლებში სწავლობენ, ხომ იცი აქ როგორი მშობლების ბავშვები სწავლობენ? იმ კლასელებმა არ იციან ესენი სად ცხოვრობენ...“- განსახლების მომლოდინე დევნილი ქალი თბილისიდან

ჩვენ მივმართეთ დევნილებს კითხვით თუ რომელ ორგანიზაციას მიმართავდნენ და მიმართავენ პრობლემების მოგვარების თხოვნით. ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია რამდენად იცნობენ საკუთარ სამართლებრივ უფლებებს დევნილები და რამდენად იციან იმ ორგანიზაციების შესახებ , რომლებიც ამა თუ იმ პროექტს ახორციელებს მათთვის. გარდა ამისა განსახლებულ და განსახლების მომლოდინე დევნილებს შორის უნდა იყოს განსხვავება პრობლემების მოგვარების ადრესატებს შორის, ვინაიდან მას შემდეგ, რაც დევნილები იღებენ გრძელვადიან საცხოვრისს, მათზე პასუხისმგებლობა დევნილთა სამინისტროდან გადადის ადგილობრივ თვითმართველობებზე. კვლევამ აჩვენა , რომ განსახლების მომლოდინე დევნილები ყველაზე ხშირად მიმართავენ დევნილთა სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს. ხოლო განსახლებულ დევნილებს არ ჰქონდათ განსაზღვრული პასუხი და მიუთითებდნენ, რომ არ გრძნობენ არცერთი ორგანიზაციის ჩართულობას მათი პრობლემების მოგვარებაში. იმ ორგანიზაციებს შორის , რომლებიც ყველაზე მეტად ინტერესდებიან დევნილთა პრობლემებით გამოკითხულ იძულებით გადაადგილებულ

პირთა შორის ყველაზე ხშირად სახელდება დევნილთა სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო. რაც შეეხება აფხაზეთის მთავრობას დევნილთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მისი არსებობა უფრო პოლიტიკური ფაქტორია და არავითარ ეკონომიკურ დასაყრდენს არ წარმოადგენს დევნილებისთვის. რაც შეეხება მთავრობისა და ცალკეული პარტიებს მიმართ დამოკიდებულებას. გამოკითხულ დევნილთა უმეტესობას ორივე შემთხვევაში უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, დევნილთა უმეტესობას დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებზე ინფორმაცია არ აქვთ, ასევე არ ფლობენ ინფორმაციას გასახლების პროგრამაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობასა და მათ როლზე.

ჩვენ დევნილებს ვთხოვეთ გრძელვადიანი განსახლების სამი ასპექტიდან არჩევანი გაეკეთებინათ რომელიმე ერთზე. ესენია: 1.საცხოვრებლის დაკანონება, 2. სხვა გრძელვადიან საცხოვრებელში გადასვლა და 3. დევნილობამდე საცხოვრებელში დაბრუნება და ამავდროულად განემარტათ მათი არჩევანის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი. დევნილებს არჩევანის გაკეთებისას უნდა გაეთვალისწინებინათ საცხოვრებლად გადასვლის საკითხი. გამოკითხული 24 დევნილიდან 17-მა უპირატესობა მიანიჭა დევნილობამდე საცხოვრებელში დაბრუნებას. ხოლო დანარჩენი 7 რესპოდენტიდან უმეტესობამ უპირატესობა მიანიჭა სხვა გრძელვადიან საცხოვრებელში გადასვლის ვარიანტს. ამ უკანასკნელთა მოტივი უმეტეს შემთხვევაში არასტაბილურობის შიში, უსაფრთხოების და მათი მუდმივი განსახლების ადგილზე ნორმალური საცხოვრებელი პირობების არსებობა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ იმ გამოკითხულ დევნილთა შორის, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს პირველი ორიდან რომელიმე ერთზე უმეტესობა ახალგაზრდა იყო, რომლეთა უმეტესობა აცხადებდა, რომ აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლის შანსი მათი

მხრიდან იყო ნალკები, ვინაიდან ისინი ადგილობრივ გარემოსთან არიან ინტეგრირებულნი და გაუჭირდებათ ხელახალი ინტეგრაცია, თუმცა ყველა ამ ახალგაზრდამ ისაუბრა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების აუცილებლობაზე.

„ დაბრუნებაა პრიორიტეტული. ყველა დევნილისთვის ასე უნდა იყოს. აქ დაბადებულ ბავშვებსაც რომ ჰკითხო გეტყვიან გაგრელი ვარ, სოხუმელი ვარ, გუდაუთელი ვარ. მაგრამ ალბათ დროთა განმავლობაში დაბრუნების მსურველთა რაოდენობა შემცირდება“ - დევნილი მამაკაცი ფოთიდან

„ დაბრუნება ყველაფერს სჯობს, მაგრამ მეორე არჩევანს ავირჩევდი. ვითვალისწინებ იმას, რომ დაბრუნება არარეალურია.“ - დევნილი ქალი თბილისიდან

„ არვიცი რა გითხრა. საცხოვრებლად ალბათ ვერ. მე არადევნილი ცოლი მყავს და ჩემი შვილი აქ დაიბადა. იქ რა პირობები დაგვხვდება არავინ იცის. უპირველეს ყოვლისა საშიშია, გარდა ამისა მე აქ დავიბადე და გავიზარდე. მესმის რომ იქიდან არიან ჩემი მშობლები და მეც ჩავალ, მაგრამ არა მუდმივად საცხოვრებლად“ - დევნილი ახალგაზრდა თბილისიდან

„რა იციან ახლა ამ ბავშვებმა აფხაზეთზე? ან ვინ შეუწყო ხელი , რომ რამე იცოდნენ? არავინ. კიდევ 20-30 წელი და მემგონი არავინ მოინდომებს საცხოვრებლად დაბრუნებას“ - დევნილი მამაკაცი ფოთიდან

დევნილების დამოკიდებულება დაბრუნებისადმი

შემდეგი კითხვა გულისხმობდა იმ მიზეზების გარკვევას, რომელის გამოც სურთ დევნილებს აფხაზეთში დაბრუნება. დევნილთა აბოლუტურმა უმეტესობა დაასახელა ემოციური კავშირი აფხაზეთთან. დევნილთა გარკვეულმა ნაწილმა დაბრუნების მთავარ მიზეზად საქართველოს მიერ

იურისდიქციის აღდგენა დაასახელა. ასევე ერთ-ერთ მთავარ მიზეზად გვევლინება იმ საცხოვრებელი სახლების დაბრუნების სურვილი, რომლებშიც დევნილები, ცხოვრობდნენ იძულებით გადაადგილებამდე . დევნილთა ძალიან მცირე რაოდენობამ გაამახვილა ყურადღება ეკონომიკურ შესაძლებლობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ მსგავსი კარგი ეკონომიკური შესაძლებლობა ამჟამად აფხაზეთში არ არსებობს.

„ ჩემი ქვეყნი გაერთიანება მინდა. უბრალოდ აფხაზეთში დაბრუნება არ მინდა. მინდა ჩემი ქვეყანა აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო იყოს“ - დევნილი ქალი ფოთიდან

„ ჩემთვის ძვირფასი ადამიანების საფლავები იქ არის . ყოველთვის მეტირება, როცა აღდგომას ხალხი სასაფლაოებისკენ მიდის, ჩვენ ამის შესაძლებლობა 26 წელია არ გვაქვს. ვიღაცის საფლავზე მიმაქვს ხოლმე კვერცხი და სანთელი აღდგომის დღესასწაულზე“ - დევნილი ქალი თბილისიდან

„ რატომ მინდა დაბრუნება? ჩვენია და იმიტომ. ჩვენ თუ არ დავბრუნდით , მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქზე იქნება თუ არა ჩვენი. თუ არ დავბრუნდით - ისევ დავკარგავთ.“ - ახალგაზრდა დევნილი ფოთიდან

გამოკითხულ დევნილთა აბსოლუტური უმეტესობა აფხაზეთში უახლოეს ეტაპზე დაბრუნების პერსპექტივას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ დაბრუნების შანსი დროის გასვლასთან ერთად სულ უფრო მცირდება. დევნილების უმეტესობა ამ მხრივ განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე და მიიჩნევს, რომ ამ ომმა აფხაზეთის და სამაჩაბლოს შემადგენლობაში დაბრუნების პერსპექტივა ძალიან არარეალური გახადა.

გამოკითხული დევნილების დიდი ნაწილი კონფლიქტის დარეგულირების მთავარ პირობად საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას მიიჩნევს და ფიქრობს, რომ თუ საქართველოს შეძლებს მეტად იზრუნოს აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურად აფხაზებზე ამით აფხაზეთზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შანსი გაიზრდება. დევნილთა უმეტესობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად პირადი კავშირების გაზრდის აუცილებლობას ასახელებს და აქვე მიუთითებს, რომ რაც ნაკლები იქნება სამთავრობო დონეზე ჩარევა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გაჩნდება ურთიერთობის მოგვარების. ნაწილის აზრით კი საქართველო ამ ეტაპზე ვერაფერს შეცვლის, რადგან მათი აზრით აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება საქართველოზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

„ აფხაზე არაა ჩვენი ურთიერთობის აღდგენა დამოკიდებული და არც ქართველზე როგორც ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პროვოცირებული იყო, ჩვენ რომ გონიერები ვყოფილიყავით თავიდან ავირიდებდით. სომხებმა ხომ ხედავ - აირიდეს. თავისი ტერიტორიის დაქუცმაცება კი არა სხვისი ტერიტორიაც შერჩათ ხელში. მოლაპარაკებას წინ არაფერი უდგას. ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ ქვეყნის გასამთლიანებლად , მათ შორის რუსეთთან საუბარიც“ - დევნილი მამაკაცი თბილისიდან

„ხალხს მისცენ ერთმანეთთან საუბრის შესაძლებლობა. მთავრობა თუ არ ჩაერევა საერთოდ უკეთესია“ - დევნილი ქალი ფოთიდან

„ ვიცი რომ აფხაზი პაციენტები გადმოყავთ საქართველოში სამკურნალოდ და ქვეყანა მკურნალობს. ეს კარგი პოლიტიკაა. შეიძლება იქ ჩასულმა აფხაზებმა ამაზე საჯაროდ ვერ ისაუბრონ , მაგრამ ადამიანს რომ

შვილს გადაურჩენ როგორ შეიძლება ის შენს მიმართ დადებითად არ განეწყოს“ - დევნილი ქალი თბილისიდან

დევნილთა უმეტესობა ამჟამად აფხაზეთში დაბრუნების შემთხვევაში ყველაზე დიდ პრობლემად უსაფრთხოების არარსებობას მიიჩნევენ. შესაბამისად თვლიან რომ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციის ქვეშ დაბრუნება და იქ ქართველი სამართალდამცავების ყოფნა აუცილებელია მათი აფხაზეთში დაბრუნებისა და იქ უსაფრთხო ცხოვრებისთვის. დევნილთა დიდი ნაწილი პრობლემებს შორის ასახელებს ამჟამად აფხაზეთის მიერ დაკავებულ მათ საცხოვრებლებსაც, თუმცა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ შეთანხმების შემთხვევაში ეს პრობლემა შეიძლება მოიხსნას, მაგრამ აქვე მიუთითებს რომ მსგავსი პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან დიდი ფინანსური მხარდაჭერა დასჭირდება.

„ მე ვიცი, რომ ჩემი საცხოვრებელი ვილაცამ დაიკავა. ამაზე ინფორმაცია მაქვს. მე ზღვასთან ახლოს ვცხოვრობდი. თურმე სახლზე მესამე სართული დაუშენებია და სასტუმრო გაუკეთებია. მაგრამ მე არაფერი მინდა მისი. ჩემით ვერაფერს ვიყიდი, მაგრამ დაბრუნების შემთხვევაში თუ ცოტა ფულს ის ან მთავრობა თუ მომცემს ჩემთვის ერთ პატარა ოთახს ვიყიდი აფხაზეთში. მე არ შევეცილებოდი. ალბათ ასე აჯობებდა სიმშვიდისთვის.“ - დევნილი ქალი თბილისიდან

კვლევის ფარგლებში ჩვენ შევხვდით როგორც სამინისტროს ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით ნებისმიერი პროექტი, რომელიც ხორციელდება განსახლებასთან მიმართებით არის ინტეგრაციის ხელშემწყობი პროექტი და ნორმალური საცხოვრებელი პირობები ინტეგრაციის საუკეთესო გზაა. გარდა ამისა საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მურად აბლოთიას განცხადებით USAID-ის კვლევის მიხედვით გამოკითხულ დევნილთა 90% თავს ინტეგრირებულად გრძნობს. ჩვენ დავინტერესდით აღნიშნული კვლევით და მოვიძიეთ USAID-ის მიერ ჩატარებული კვლევა. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ნამდვილად არსებობს ასეთი კვლევა, ოღონდ ის არ ჩატარებია USAID-ს არამედ ორგანიზებული იყო გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაციის მიერ და ჩაატარა საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა და ასოციაცია „დეამ“. ამ კვლევაში ნამდვილად არის საუბარი ინტეგრაციის საკითხზე და აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დევნილები ახლა უფრო მეტად ინტეგრირებულნი არიან, მაგრამ საუბარი არ არის კონკრეტულ პროცენტზე. გარდა ამისა კვლევა ეხება დევნილთა მხოლოდ ცალკეულ ჯგუფს - დევნილ ქალებს. (საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი; ასოციაცია „დეა“, 2014). სამინისტროს წარმომადგენლები რადიკალურად არ ეთანხმებიან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ინტეგრაციის პროცესი დევნილებში დაბრუნების სურვილის განვლას შეუწყობს ხელს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველოს უფროსის ლევან სიგუას განცხადებით: „ მე არ მგონია, რომ ადგილობრივი ინტეგრაცია დევნილებში უკან დაბრუნების სურვილს დაწევს, პირიქით , მგონია რომ ეს ორი საკითხი საერთოდ არ არის ერთმანეთთან მიბმული. ის რომ ადამიანს საკუთრება გააჩნდეს, არანაირად არ ცვლის ადამიანის საკუთარ სახლში დაბრუნების მოტივაციას“. დევნილთა სამინისტროს წარმომადგენლებთან საუბრით ირკვევა, რომ სამინისტროს არ აქვს გრძელვადიანი გეგმა, რაშიც დაახლოებით მაინც იქნება გაწერილი პროგრამის მოქმედების ვადები და

აღნიშნულ ფაქტს მწირ და ცვალებად დაფინანსებას უკავშირებენ. სამინისტროს წარმომადგენლები ასევე მიესალმებიან არასამთავრობო ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას. ჩვენ დავუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ერთ-ერთ ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“- IDFI , რომელიც აქტიურად მუშაობს დევნილთა საკითხებზე. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელის გოგა თუშურაშვილის განცხადებით ძალიან მნიშვნელოვანია განსახლების პროგრამის განხორციელების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობა, რათა თავიდან იქნას აცილებული კორუფციის ნებისმიერი გამოვლინება და ამავდროულად მაქსიმალურად სამართლიანად მოხდეს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლებით დაკმაყოფილება, რაც თავად დევნილებშიც გაზრდიდა როგორც პროგრამის ისე ბინებით დაკმაყოფილების კომისიის მიმართ დევნილთა ნდობას. თუმცა ორგანიზაციის წარმომადგენელი ასევე მიუთითებს კრიტერიუმებში არსებულ იმ ხარვეზებზე, რომლებიც თავად დევნილებს აძლევს შესაძლებლობას გარკვეული მაქინაციების განხორციელებას, ის გამოც არსებობს შემთხვევები, როდესაც ფაქტობრივად ერთი ოჯახის წარმომადგენლები ცალ-ცალკე იღებენ ბინებს. (თუშურაშვილი, 2018)

დასკვნა

დევნილები იძულებით გადაადგილების გამო სოციალურ-ეკონომიკურად, სამართლებრივად, საყოფაცხოვრებო პირობების თვალსაზრისით ხდებიან საზოგადოების განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფი. მათთვის ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელია სამსახური, განათლება, ნორმალური საცხოვრებელი პირობები და საკუთარ სახლში დაბრუნების შესაძლებლობა. ეს გადაადგილება შესაძლოა წლები გაგრძელდეს, რაც ქმნის აუცილებლობას იმისა, რომ სახელმწიფომ იზრუნოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ხანგრძლივ განსახლებაზე, ინტეგრაციაზე, ღირსეულ პირობებში ცხოვრებასა და უსაფრთხოებაზე. ამასთანავე მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დევნილთა ერთ-ერთი მთავარი უფლების, საკუთარ საკუთარ სახლში უსაფრთხოდ დაბრუნების განხორციელებას. თუმცა რიგი ქვეყნები და მათ შორის საქართველოც, წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ დევნილების ამ ფუნდამენტური და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებებით უზრუნველყოფას.

გრძელვადიანი განსახლება, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას (1. დაბრუნება დევნილობამდე საცხოვრებელ ადგილას , 2. ადგილობრივი ინტეგრაცია და 3. განსახლება სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად სხვა ტერიტორიაზე) თავისი არსით გულისხმობს დევნილთათვის სწორედ ზემოთჩამოთვლილი უფლებებით უზრუნველყოფას და მათ ადგილობრივ გარემოსთან მაქსიმალურ ინტეგრაციას.

საქართველოს 270 000-მდე დევნილი ჰყავს, რომელთა დიდი ნაწილი უკვე 26 წელია საკუთარს სახლში დაბრუნების უფლებით ვერ სარგებლობს, რამაც აუცილებელი გახადა სახელმწიფოს ჰქონოდა ერთიანი და სწორი სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა განსახლების თვალსაზრისით. ამ აუცილებლობით იყო გამოწვეული 2007 წელს გრძელვადიანი განსახლების პროგრამის შემუშავება, ხოლო მოგვიანებით 2008 წლის ომმა ეს აუცილებლობა კიდევ უფრო გაამყარა. რათქმაუნდა პროგრამის 2013 წლიდან ამოქმედებას ხელი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამ და მონდომებამ შეუწყო. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მანამდე არ გააჩნდა ერთიანი ხედვა დევნილები განსახლებათან მიმართებით მიუთითებს ქვეყნის მიერ აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის მზადყოფნის არქონაზე, რაც ძირითადად პოლიტიკური ნება იყო. აპელირება დაბრუნების თემით არ ამართლებს დევნილთა საცხოვრებლად შეუფერებელ და მოწყვლად პირობებში დატოვებას. გრძელვადიანი განსახლება არ ცვლის და არ უშლის ხელს დაბრუნების იდეას. ის უბრალოდ ქმნის ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს და ხელს უწყობს იძულებით გადაადგილებული პირების მაქსიმალურად ინტეგრირებულ გარემოში ცხოვრებას.

მნიშვნელოვანია გრძელვადიანი განსახლების, როგორც ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამის შემუშავება, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი თანმიმდევრული და ეფექტური განხორციელება. პროგრამის იდეის გაჩენიდან დღემდე, 10 წლის განმავლობაში, სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხრიდან დახარჯულია ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი, თუმცა პროგრამის ეფექტურობის დონე დაბალია, ვინაიდან დევნილთა 60 %-ზე მეტი ჯერაც ელოდება საცხოვრებლით დაკმაყოფილებას. ამას ხელს უწყობს ქვეყნის ცუდი ეკონომიკური დონე და არასაკმარისი პოლიტიკური

ნება, რაც საშუალებას არ იძლევა სახსრები ეფექტურად იქნას გადანაწილებული და დახარჯული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით ყოველწლიურად საჯარო მოხელეების პრემია დანამატებზე ქვეყანაში იხარჯება 250 – 320 მლნ ლარი, ხოლო დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსება ყოველწლიურად შეადგენს 70-80 მილიონ ლარს. პრემია-დანამატებზე დახარჯული თანხის ნახევარის აღნიშნული პროგრამისთვის გამოყენების შემთხვევაშიც კი შესაძლებელი გახდებოდა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლებით 3-ჯერ უფრო ეფექტურად მცირე დროში უზრუნველყოფა. პროგრამის აღნიშნული მცირე დაფინანსების შედარება პრემია-დანამატებთან გვაფიქრებინებს, რომ პროგრამის ეფექტურობის დაბალი დონე ეკონომიკურ ფაქტორზე მეტად განპირობებულია პოლიტიკური ნების არარსებობით.

შეჯამებისთვის :

- პოზიტიურად უნდა იქნეს შეფასებული იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, რამაც ხელი შეუწყო დევნილთა უფლებების სამართლებრივ განმტკიცებას. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაში , მათ შორის გრძელვადიანი განსახლების პროცესში საერთაშორისო გამოცდილებისა და კანონმდებლობის გაზიარება.
- პოზიტიურად უნდა იქნეს შეფასებული სახელმწიფოს მიერ აქცენტის გაკეთება დევნილთა გრძელვადიან განსახლებაზე.
- დადებითად უნდა იქნეს შეფასებული სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა სახელმწიფოს დაფინანსებით მკურნალობა, რაც ხელს

შეუწყობს ურთიერთობის გაუმჯობესებას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოზე დადებითი აზრის ფორმირებას.

- დადებითად უნდა იქნეს შეფასებული სამინისტროს მიერ დევნილთა განსახლების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ კომისიაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიმდინარეობას.
- მწვავე პრობლემას წარმოადგენს დევნილთა საფრთხისშემცველ საცხოვრებლებში ცხოვრება. უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს განსაკუთრებით ავარიულ მდგომარეობაში მცხოვრები დევნილების საცხოვრებლებით უზრუნველყოფა რაც შეიძლება სწრაფად
- უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ პროგრამის დაფინანსება არის დაბალი და არასტაბილური, რაც განაპირობებს პროგრამის არაეფექტურობას. პროგრამის არაეფექტურობას ხელს უწყობს ლარის ინფლაცია.
- უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც , რომ დევნილების სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობები წლიდან წლამდე ფაქტობრივად არ იცვლება.
- უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული კანონსა და კრიტერიუმებში არსებული ხარვეზები, რომლებიც შეიძლება გახდეს განსახლების პროცესში ხარვეზების წარმოშობის მიზეზი, მათ შორის ცალკეული ოჯახების მიერ სხვადასხვა ხერხით ერთზე მეტი საცხოვრებლის ან ანაზღაურების მიღება, ასევე ხარვეზს წარმოადგენს კომისიის სხდომის ოქმში დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის , როგორც უარყოფითი ისე დადებითი გადაწყვეტილებების

ფაქტობრივი და სამართლებრივი ახსნის არარსებობა. ასევე დევნილთა შემწეობის შესახებ კანონის ხარვეზებიც.

- უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული დევნილთა ინფორმირებულობის დაბალი დონე, მათ შორის განსახლებული დევნილების მიერ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ შესახებ ინფორმაციის ნაკლები ფლობა.
- ასევე უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული, როგორც პროგრამის შემუშავებაში ისე ხანგრძლივი განსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში დევნილთა დაბალი ჩართულობა და თავისუფალი არჩევანის არ არსებობა, რის გამოც დევნილები თავს გარიყულად მიიჩნევენ.
- ასევე უარყოფითად უნდა იქნეს შეფასებული ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ, როგორც განსახლებული ისე საცხოვრებელი უზრუნველყოფის მომლოდინე დევნილების პირობების გაუმჯობესებაში დაბალი ჩართულობის დონე.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის დროს გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა. მათ შორისაა დევნილთა ცუდი საცხოვრებელი პირობები და ფართების არასაკმარისობა, მათ შორის უკვე განსახლებულ დევნილ ოჯახებშიც. ასევე გამოიკვეთა, რომ დევნილთა უმეტესობა თავს არაინტეგრირებულად მიიჩნევს და ამის მთავარ მიზეზად სამუშაოსა და ღირსეული საცხოვრებლის არ არსებობას ასახელებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფართის განსაკუთრებულ პრობლემას განიცდიან ის ოჯახები, რომლებსაც კომპაქტური დასახლებების საერთო საცხოვრებლებში დაუკანონდათ ბინები. კვლევამ აჩვენა, რომ დევნილთა სხვადასხვა შემწეობები არის არასაკმარისი, არ შეესაბამება საარსებო მინიმუმს და შეაქვს უმნიშვნელო წვლილი დევნილთა პირობების გაუმჯობესებაში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსახლებული დევნილების ხელახალი ინტეგრაციის დონე არის დაბალი, რასაც ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიური კავშირის არარსებობა და დევნილების მიერ იზოლირებულობის განცდა. ასევე კვლევამ აჩვენა, რომ დევნილთა უმეტესობა გრძელვადიანი განსახლების ასპექტებიდან უპირატესობას ანიჭებს დაბრუნების იდეას, თუმცა ეს მაჩვენებელი დაბალი იყო ახალგაზრდა რესპოდენტებს შორის. რაც შეეხება თავად პროგრამის მიმართ დევნილთა დამოკიდებულებას, გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა მიესალმება არნიშნული პროგრამის განხორციელებას, თუმცა თვლის რომ ამით სახელმწიფო მათ ინტეგრაციას ცდილობს, რაც დროთა განმავლობაში ხელს შეუშლის აფხაზეთში დაბრუნების საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა

- საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი; ასოციაცია „დეა“. (2014). „*დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა საჭიროებები და პრიორიტეტები.*“. გაეროს ქალთა ორგანიზაცია.
- Amnesty International . (1998). *Georgia: Summary of Amnesty International's concerns* . London : Amnesty International .
- Anthony Giddens. (1984). *The Constitution of Society: Outline of the Theory of Structuration*. Polity Press/Berkley: University of California Press. Cambridge: Polity Press/Berkley: University of California Press. Retrieved 05 07, 2018
- Beyani, C. (2014). *Report of the Special Rapporteur on the human rights of internally displaced persons*. UN.
- Cooley, C. H. (1910). *Social organization : a study of the larger mind*. New York: New York : C. Scribner's. Retrieved 04 07, 2018, from <https://archive.org/details/socialorganizat00cool>
- EU. (n.d.). *Delegation of the European Union to Georgia*. Retrieved from www.eeas.europa.eu: https://eeas.europa.eu/delegations/georgia_en
- Guiding Principles on Internal Displacement. (n.d.). In *Principles 28, 29, 30*.

- Human Right Watch. (2011). *Living in Limbo : The Rights of Ethnic Georgians Returnees to the Gali District of Abkhazia*. New York: Human Right Watch. Retrieved from <https://www.hrw.org/report/2011/07/15/living-limbo/rights-ethnic-georgians-returnees-gali-district-abkhazia>
- internal displacement monitoring centre. (2018). *Unsettlement: Urban displacement in the 21st century*. Retrieved 05 27, 2018
- John T. Cacioppo Harry T. Reis ; Alex J. Zautra. (2011). *Social Resilience - The Value of Social Fitness With an Application to the Military*. American Psychological Association.
- Johnson, C. R. (2010). *Partition as a Solution to Ethnic Civil War: Statehood, Demography, and the Role of Post-War Balance of Power for Peace*. Unpublished PhD dissertation. Maryland.
- Joseph SALUKVADZE, David SICHINAVA, David GOGISHVILI . (n.d.). *SOCIOECONOMIC AND SPATIAL FACTORS OF ALIENATION AND SEGREGATION OF INTERNALLY DISPLACED PERSONS IN THE CITIES OF GEORGIA* .
- Parsons, T. (1951). *The Social System*. Retrieved from <http://home.ku.edu.tr/~mbaker/CSHS503/TalcottParsonsSocialSystem.pdf>
- Paul Knox; Steven Pinch. (2010). *Urban Social Geography*. Retrieved from [chisineu.files.wordpress.com: https://chisineu.files.wordpress.com/2014/06/urban-social-geography.pdf](https://chisineu.files.wordpress.com/2014/06/urban-social-geography.pdf)
- Peter Kabachnik, B. M. (2016). *Return or Integration? Politicizing Displacement in Georgia*. New York.
- Peter Kabachnik; Beth Mitchneck; Joanna Regulska. (n.d.). *Return or Integration? Politicizing Displacement in Georgia*.
- Principle 12. (n.d.). In *Guiding Principles on Internal Displacement*.
- Principle 22-d. (n.d.). In *Guiding Principles on Internal Displacement*.
- principle 28. (n.d.).
- principle 7. (n.d.).
- Sean Loughna, T. B. (2010, 03). *NOT DISPLACED, OUT-OF-PLACE EDUCATION OF IDP CHILDREN IN GEORGIA*. Retrieved from http://lib.ohchr.org: http://lib.ohchr.org/HRBodies/UPR/Documents/Session10/GE/NRC-IDMC_NorwegianRefugeeCouncil-Report-Annex3-eng.pdf
- Sean Loughna; Tamar Bregvadze; Nino Partskhaladze . (2010). *Not Displaced, out-of-place: Education of IDP Children in Georgia* . Tbilisi: Norwegian Refugee Council.
- Simon Bagshaw . (2000, 09). *Internally Displaced Persons and Political Participation: The OSCE Region*. (THE BROOKINGS INSTITUTION PROJECT ON INTERNAL DISPLACEMENT)

Retrieved from www.brookings.edu: https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/2000_politicalparticipation.pdf

Sveta Korsaiia; Mamuka kuparadze; Robert Lomia; Mikheil Mirzashvili. (2002). *Hoping for Peace*. UNOMIG.

UNHCR. (2011). *UNHCR Resettlement Handbook*. Geneva: Division of International Protection. Retrieved 04 07, 2018

UNITED NATIONS - Office for the Coordination of Humanitarian Affairs. (n.d.). *Guiding Principles on Internal Displacement*.

აბლოთია, მ. (2018 წლის 13 აპრილი). გრძელვადიანი განსახლების პროგრამა.

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. (2014). *სააგენტოს შესახებ*. მოპოვებული <http://livelihood.gov.ge>: <http://livelihood.gov.ge/about-დან>

დევნილთა სამინისტრო. (2017). *დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი (პროექტი)*. თბილისი.

დევნილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის დონორთა მიერ გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების ხარჯვის მონიტორინგის ანგარიში 2010. (თ. გ.). მოპოვებული <http://www.nplg.gov.ge>: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1|--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-OutfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.6&d=HASH6f4140fe7b8eb76ef380f8.3-დან>

თუშურაშვილი, გ. (2018 წლის 05 06). დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხები. (ე. კურდღელია, ინტერვიუერი)

სამინისტრო, ს. ო. (2013 წლის 28 ოქტომბერი). *ბრძანება №621*. მოპოვებული matsne.gov.ge: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2058626/0/ge/pdf-დან>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. (2013). მუხლი 1. In *დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესი*. თბილისი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. (1995, 1999 წლის 25 06). მოპოვებული matsne.gov.ge: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1672-დან>

საქართველოს პარლამენტი. (1995). *საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ* საქართველოს ორგანული კანონი. მოპოვებული 2018 წლის 27 05, matsne.gov.ge: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1672>-დან

საქართველოს პარლამენტი. (2011 წლის 11 10). *საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ*. მოპოვებული 2018 წლის 25 05, matsne.gov.ge: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19798#!>-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). *იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა - 2016 წლის ანგარიში*. თბილისი.

სახელმწიფო სამთავრობო კომისია. (2007). *იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო*. მოპოვებული <http://mra.gov.ge>: <http://mra.gov.ge/res/docs/2013111918201884212.pdf>-დან

სიჭინავა, დ. (2014). *საქართველოს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები (2008-2014 წლების არჩევნების მაგალითზე)*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობა. (2017). *შვეიცარიის თანამშრომლობის 2017-2020 წლების სტრატეგია სამხრეთ კავკასიისთვის*.

ცესკო. (2016 წლის 8 ოქტომბერი). *პროპორციული მონაცემები*. მოპოვებული <http://results20161008.cec.gov.ge>: http://results20161008.cec.gov.ge/olq_2.html-დან

ჰაბერი, ჰ. (თ. გ.). *გასაკეთებელი კვლავ რჩება - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ორი წლის თავზე*. მოპოვებული www.old.civil.ge: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=23032>-დან

დანართი

ცხრილი 1 დევნილების სოფლად და ქალაქად განაწილება

| | იძულებით გადაადგილებამდე | | იძულებით გადაადგილების შემდეგ | |
|------------------------|--------------------------|---------|-------------------------------|---------|
| | სოფლად | ქალაქად | სოფლად | ქალაქად |
| ძველი ტალღის დევნილები | 61% | 39% | 19% | 81% |
| ახალი ტალღის დევნილები | 79% | 21% | 64% | 36% |
| სულ | 63% | 37% | 23% | 77% |

ცხრილი 2 დევნილთა განაწილება სოფლად და ქალაქად იძულებით გადაადგილების წლების მიხედვით

| | | |
|---|--------------------------|-------------------------|
| მველი ტალღის დევნილები (247,549 დევნილი) | ქალაქად მცხოვრები 81% | სოფლად მცხოვრები 19% |
| ახალი ტალღის დევნილები (26,395) | 36% | 64% |
| სულ (273,944) | 77% | 23% |

დიაგრამა 1



ცხრილი 3 დევნილთა განაწილება გადაადგილების წლების მიხედვით

| | |
|---|-------------------------------------|
| მველი ტალღის დევნილები (1992-1993 წწ.) | ახალი ტალღის დევნილები (2008 წ.) |
| 247,549 | 26,395 |
| 90% | 10% |
| სულ 273,944 დევნილი პირი, რაც შეადგენს 88,542 ოჯახს | |

ცხრილი 4 კოლექტიურ და კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები

| | | |
|---------------------|------------------|------------------------|
| კოლექტიურ ცენტრებში | კერძო სექტორში | სულ დევნილთა რაოდენობა |
| 129,728 (48.68%) | 144,216 (52.32%) | 273,944 |


ცხრილი 5 დევნილთა კომპაქტური დასახლებების კორპუსები და მცხოვრებთა რაოდენობა თბილისში

| უბანი | ჩასახლებათა რაოდენობა | მცხოვრებ დევნილთა რაოდენობა |
|-------------|-----------------------|-----------------------------|
| ვაკე | 197 | 17 150 |
| გლდანის | 64 | 19 964 |
| სამგორის | 90 | 15 159 |
| ნამალადევის | 64 | 11 984 |
| საბურთალოს | 27 | 9 705 |
| დიდუბუ | 39 | 7 033 |
| ისანის | 45 | 7 860 |
| ჩუღურეთის | 29 | 6 118 |
| კრწანისის | 12 | 3 037 |
| მთაწმინდა | 49 | 2 934 |

ცხრილი 6

| საქართველოში რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა - სტატისტიკა რეგიონების მიხედვით www.idfi.ge | | |
|--|---------------------------------|--------------------|
| ტერიტორიული ორგანო | დევნილთა ჩასახლებების რაოდენობა | დევნილთა რაოდენობა |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 443 | 85 188 |
| შიდა ქართლი | 75 | 16 828 |
| იმერეთი | 154 | 25 228 |
| ქვემო ქართლი | 52 | 12 691 |
| კახეთი | 9 | 1 477 |
| მცხეთა-მთიანეთი | 3 | 10 956 |
| აჭარა | 11 | 6 622 |
| სამცხე-ჯავახეთი | 10 | 2 333 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 12 | 834 |
| სულ ჯამში: | 1 385 | 263 598 |

რუკა 1



ცხრილი 7 დევნილთა გრძელვადიანი განსახლება (2017 წლის იანვრის მდგომარეობით)

| | დევნილი ოჯახების რაოდენობა | გრძელვადიანი განსახლებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა | დევნილი ოჯახები, რომლებიც გრძელვადიან განსახლებას საჭიროებენ |
|--------------------|----------------------------|--|--|
| ოჯახების რაოდენობა | 88,542 | 35,475 | 53,067 |
| დევნილთა რაოდენობა | 273,944 | 101,591 | 172,353 |

ცხრილი 8 გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილები გადაადგილების წლების მიხედვით

| | გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილებული ოჯახები | | | გრძელვადიანი განსახლების მოლოდინში მყოფი ოჯახები | | |
|-----------------------------|--|-------------|--------|--|-------------|--------|
| | ახალი ტალღა | ძველი ტალღა | სულ | ახალი ტალღა | ძველი ტალღა | სულ |
| დევნილთა ოჯახების რაოდენობა | 7740 | 27,601 | 35,341 | 1337 | 51,864 | 53,201 |

ცხრილი 9 დევნილთა ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მშენებლობა - რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები წლებისა და დაფინანსების წყაროს მითითებით (თანხა მოცემულია ლარებში)

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|------------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი) | 78 92889 0 | 29767 300 | 68194 050 | 14391 050 | 90594 00 | 40865 90 | 11173 60 | |
| (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი) | 95950 | 8170 | 14763 10 | 37921 00 | 88005 60 | 80425 40 | 39392 50 | 14687 30 |
| ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) | | | 44527 60 | 14043 30 | 54330 030 | 85894 560 | 50697 960 | 21993 870 |
| მსოფლიო ბანკი | | 26146 30 | 2795 | 27952 00 | | | | |
| ჯამი | 78928 890 | 32361 930 | 76968 750 | 35022 500 | 72389 990 | 96023 710 | 55754 570 | 23462 600 |

იხ. ცხრილი 10 რეაბილიტირებული შენობების რაოდენობა და დანახარჯი (2013-2017 წ.წ)

| ქალაქი | შენობების რაოდენობა | გადარიცხული თანხა | | | | |
|-----------|---------------------|-------------------|--------|--------|--------------|--------|
| | | 2013 წ | 2014 წ | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ |
| თბილისი | 6 | 5 117 415 | | | | |
| ზუგდიდი | 2 | 1 249 999 | | | 2 011 973 | |
| გარდაბანი | 3 | 6 018 | | | | |

| | | | | | | |
|----------|----|---------------|---------|--------------|--------------|---------|
| | | 000 | | | | |
| ქუთაისი | 4 | 3 132 999 | | 1 593 065 | 803 314 | |
| რუსთავი | 4 | 1 833 081 | | | | |
| გორი | 2 | | | | 331 865 | 224 465 |
| ახალციხე | 1 | | 621 320 | 271 761 | | |
| ხაშური | 2 | | | 1 681 575 | 146 661 | |
| ბორჯომი | 1 | | | | 1 747 825 | |
| ჯამი | 25 | 45 548 494 | 621 320 | 3 546 402 | 5 041 640 | 224 465 |

(იხ. ცხრილი 11) ახალაშენებული შენობების რაოდენობა და დანახარჯი (2013-2017 წ.წ.)

| ქალაქი | შენობების რაოდენობა | ბინების რაოდენობა | გადარიცხული თანხა | | | | |
|----------|---------------------|-------------------|-------------------|--------|-------------|---------------|--------------|
| | | | 2013 წ | 2014 წ | 2015 წ | 2016 წ | 2017 წ |
| ქუთაისი | 2 | 640 | | | 167441 6 | 4076122 | 3144305 |
| ზუგდიდი | 16 | 744 | | | 196594 9 | 3672213 | 1342194 7 |
| გორი | 8 | 480 | | | 178371 4 | 1037981 9 | 8437393 |
| წყალტუბო | 2 | 140 | | | | | 2040087 |
| მცხეთა | 2 | 120 | | | | | 978008 |
| ჯამი | 30 | 2124 | | | 542408 1 | 18 128 154 | 2802174 0 |

შენიშვნა*

- ქუთაისის 640 ბინიდან დასრულებულია 160, ხოლო 480 დასრულდება 2019 წელს.
- წყალტუბოს ბინები დასრულდება 2018 წელს

მცხეთის ბინები დასრულდება 2018 წელს იძულებით გადაადგილებულ პრეტავის -

ცხრილი 12 სს "Hualing international special economic zone"- ბინების რაოდენობა და დანახარჯი

| ქალაქი | ბინების რაოდენობა | გადარიცხული თანხა | | | | |
|---------|-------------------|-------------------|------------|-----------|-----------|------------|
| | | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
| თბილისი | 629 | | 16 160 790 | 3 797 370 | 1 200 819 | 13 337 169 |

ცხრილი 13 დევნილთა ოჯახებისთვის ინდივიდუალური სახლების და ბინების შესყიდვა (სოფლად სახლები)

| პერიოდი (სრული კალენდარული წელი) | გადარიცხული თანხა | დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა |
|----------------------------------|-------------------|------------------------------------|
| 2013 | 413 424 | 30 |
| 2014 | 2 180 281 | 120 |
| 2015 | 8 669 338 | 441 |
| 2016 | 14 083 618 | 707 |
| 2017 | 12 576 802 | 612 |
| ჯამი | 37 923 463 | 1910 |

ცხრილი 15 მენაშენეებისგან გამოსყიდული ბინების რაოდენობა და დანახარჯი (2013-2017 წ.წ)

| ქალაქი | ბინების რაოდენობა | გადარიცხული თანხა | | | | |
|---------|-------------------|-------------------|------|------------|-----------|------------|
| | | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
| თბილისი | 696 | | | 16 990 327 | 5 478 416 | 7 431 724 |
| ქუთაისი | 602 | | | 5 274 721 | 4 230 962 | 10 112 640 |
| ბათუმი | 164 | | | | | 5 458 |

| | | | | | | |
|-------------|-------------|----------|----------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
| | | | | | | 420 |
| მარნეული | 68 | | | 164 185 | 2 678 394 | |
| ჯამი | 1530 | 0 | 0 | 22 429 233 | 12 387 772 | 23 002 784 |

შენიშვნა *

- მშენებლობა ქუთაისში დასრულდება 2019 წელს.
- მშენებლობა ბათუმში დაბრუნდება 2018 წელს.


ცხრილი 16 იძულებით გადაადგილებულ პრეტავის - დევნილთა ოჯახებისთვის იპოთეკური სესხის დაფარვა

| პერიოდი (სრული კალენდარული წელი) | გადარიცხული თანხა | დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა |
|----------------------------------|-------------------|------------------------------------|
| 2015 | 900 829 | 49 |
| 2016 | 857 567 | 44 |
| 2017 | 3 199 201 | 166 |
| ჯამი | 4 957 597 | 256 |


ცხრილი 17 დევნილთა შემწეობებისა და სოციალური დახმარების მიმღებ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა

| დევნილთა შემწეობის ბენეფიციარი დევნილები | მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარი დევნილები | თვეში 1250 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე დევნილები | დევნილის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა |
|--|---|--|---|
| 222,987 | 30,580 | 9213 | 270,068 |
| 82.6% | 11.3% | 3.4% | |
| | | | |

დიაგრამა 2



დიაგრამა 3



ცხრილი 18 დევნილთა დეკლარირებული შემოსავლები 2015-2016 წლებში

| დევნილთა რაოდენობა | საშუალო თვიური ხელფასზე (942) ნაკლები | 942-1250 ლარი თვეში | 1250 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე დევნილთა რაოდენობა | აქტიური შრომისუნარიანი დევნილების რაოდენობა (18-60/65) |
|--------------------|---------------------------------------|---------------------|---|--|
| | 20,300 | 5400 | 7800 | ≈ 156,000 |

ცხრილი 19 დევნილთა შემწეობა და საარსებო მინიმუმი

| | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|----------------------------------|--------|---------|---------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| საარსებო მინიმუმი | 87.92 | 107.047 | 109.07 | 118.52 | 113.38 | 135.28 | 139.26 | 133.45 | 136.58 | 141.91 | 145.48 |
| საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი | 166.51 | 202.73 | 206.568 | 224.46 | 214.72 | 256.20 | 263.74 | 252.74 | 258.67 | 268.75 | 275.51 |
| დევნილთა შემწეობა | 11/14 | 11/14 | 22/28 | 22/28 | 22/28 | 22/28 | 22/28 | 22/28 | 45 | 45 | 45 |

ცხრილი 20 დევნილთა რაოდენობა, რომლებსაც უშუალოდ დევნა არ განუცდიათ

| | | |
|---|---|--|
| სულ ამჟამად მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იღებს | 88,934 დევნილი 12,154 დევნილი | |
| დევნილის შემწეობის მიმღებთა რაოდენობა | 75,411 დევნილი (წლიური თანხა: 40,721,940 ლარი) | |
| დევნილთა რაოდენობა, რომლებსაც შემწეობის გაუქმების შემთხვევაში მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე გადასვლა შეეძლებათ | 7,863 დევნილი, ვინც რეგისტრირებულია ბაზაში 12,314 დევნილი, ვინც ამოღებულია ბაზიდან | შესაძლოა დაიზოგოს 34,144,620 ლარი (40,721,940 - 6,577,320) |

ცხრილი 21 სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეფასებული დევნილები

| კატეგორიები ოჯახის სარეიტინგო ქულების მიხედვით | შეფასებულ დევნილთა რაოდენობა | | სოციალური დახმარების მიმღები | | არსებული დანახარჯი | | სამომავლო დანახარჯი | |
|---|------------------------------|--------|------------------------------|--------|--------------------|-----------|---------------------|------------|
| | ახალი | ძველი | ახალი | ძველი | ახალი | ძველი | ახალი | ძველი |
| სოც. მომსახურების სააგენტოს ოჯახების შეფასების მეთოდი | | | | | | | | |
| 30,001 ქულაზე ნაკლები – თვეში 60 ლარი სულზე | 11,319 | 16,451 | 9,313 | 12,680 | 6,705,360 | 7,912,320 | 8,149,680 | 10,265,424 |
| 30,001–57,000 ქულა – თვეში 50 ლარი სულზე | 12,959 | | 9,263 | | 5,557,800 | | 7,775,400 | |
| 57,001–60,000 ქულა – თვეში 40 ლარი სულზე | 1,393 | 3048 | 402 | 0 | 192,960 | 0 | 668,640 | 0 |

ცხრილი 22 განსახლებით დაკმაყოფილებულ დევნილებზე დახარჯული თანხები

| | | |
|--|---|--|
| გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილის შემწეობის ბენეფიციარი | 101,591 დევნილი (35,341 ოჯახი) | |
| მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები | 79,041 დევნილი (წლიური დანახარჯი 42,682,140 ლარი) | |
| დევილთა რაოდენობა, რომლებსაც შემწეობის გაუქმების შემთხვევაში მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე გადასვლა შეეძლებათ | 16,088 დევნილი | |
| | 12,844 დევნილი, ვინც რეგისტრირებულია ბაზაში | მოსალოდნელი წლიური დანახარჯი: 14,809.800 ლარი (3,766,200 + 11,043,600) |
| | 19,780 დევნილი, ვინც ამოღებულია ბაზიდან | მოსალოდნელი საბოლოო დანახარჯი: 27,872,340 ლარი (42,682,140 - 14,809.800) |

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Social and Political Science

Elene Kurdgelia

**The impact of long-term resettlement (durable solution)
program on compactly settled IDPs in Poti and Tbilisi**

Human Geography

The master thesis is accomplished to obtain the Master's
academic degree in Human Geography

Supervisor: Davit Sichinava, PhD of Human Geography,
Assistant Professor

Tbilisi, 2018